აჭარელი თბილისელები, ანუ ეს ცესკოს შენობაა A2

შენ არა ხარ ღირსი, გერჭვას ჩემი ხელისუფლება! A8

გულახდილად B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი შაბათი, 8 ნოემბერი, 2003 წელი. №292 (504) ფასი 50 თეთრი

ბუმერანგი

ეკა კვესიტაძე

გზაზე სახედასახიჩრებული პაპუასი მოდის. ჰკითხეს, რა მოგივიდაო.

ახალი ბუმერანგი ვიყიდე, - უპასუხა პაპუასმა.

კი მაგრამ, სახე რატომ გაქვს დასახიჩრებული?

ძველი ვერ გადავაგდეო, – მიუგო მან.

ეს ანეკდოტი ჩემმა მეგობარმა მომწერა ამერიკიდან და ისიც დაამყოლა, რომ ძველის გადაგდება სწორად უნდა მოხდეს, თორემ ის ყოველთვის უკან დაგიბრუნდება.

პაპუასისა და ბუმერანგის ისტორია ჩვენს რელობას კარგად შეესაბამება.

რამდენიმე წლის წინ ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ფარიდ ზაქარიას სტატია "არალიბერალური დემოკრატიის აღზევება", რომელშიც ავტორს არჩევნების გზით ხელისუფლებაში აბსოლუტურად არალიბერალური ძალების მოსვლის მაგალითები მოჰყავს, დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ეს განწყობა მაშინ ქართველმა ინტელექტუალებმაც აიტაცეს და როცა "მოქალაქეთა კავშირი" არჩევნებს აყალბებდა და აყალბებდნენ ახალგაზრდა რეფორმატორებიც, მაშინ ჩაითვალა, რომ ეს ყველაფერი დემოკრატიის სახელით კეთდებოდა და რომ გაყალბებული არჩევნებით გადარჩენილი დემოკრატია უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნები.

სხვათა შორის, მაშინ კიდევ ერთი ძალიან დიდი შეცდომა იყო დაშვებული. "აღორძინებას", რომელიც "მოქალაქეთა კავშირის" ერთადერთი მეტოქე იყო 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, მმართველმა პარტიამ იგივე მეთოდები დაუპირისპირა. აჭარის ხელმძღვანელმა, რასაკვირველია, მაშინაც დაარღვია საარჩევნო კანონის ყველა პუნქტი, მაგრამ მაშინ არავის დაუყენებია სერიოზული ეჭვის ქვეშ აჭარაში სრული გაყალბებით ჩატარებული არჩევნების შედეგები. სამაგიეროდ, შეჯიბრება არჩევნების გაყალბებაში გაიმართა.

ყველაფერი ეს დღეს უკან დაგვიბრუნდა და არა მარტო ოპოზიციაში გადასულ პოლიტიკოსებს დაუსახიჩრა სახე, არამედ მთელ ქართულ საზოგადოებას.

გაგრძელება A2 გვერდზე

ცესკო წინასწარ შედეგებს ჯერაც არ აქვეყნებს

"დაუყოვნებლივ" ნიშნავს - "როცა მინდა"

ცენტრალური საარჩევნო კომისია კვლავ არ აჯამებს ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინასწარ შედეგებს. ასე რომ, საერთო სურათი არ იცვლება და ცესკო-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემების თანახმად, კვლავ "აღორძინების კავშირი" ლიდერობს. თუმცა, გუშინ არჩევნებში მონაწილე პარტიების და, განსაკუთრებით, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ "აღორძინება", საბოლოოდ, მხოლოდ მეორე იქნება. პირველ ადგილს კი პრეზიდენტის მხარდამჭერები დაისაკუთრებენ. ამავე ვერსიის თანახმად, "ნაციონალები", "ლეიბორისტები", "დემოკრატები" და "ახლები", შესაბამისად, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილებს გადაინაწილებენ. მაგრამ ისიც ცხადია, რომ საქართველოში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით, ასეთი წინასწარი პროგნოზების კეთება საკმაოდ საეჭვო საქმეა. თანაც, როგორც ჩანს, ვაჭრობა კვლავაც გრძელდება და როგორ გადაინაწილებენ ხმებს მასში მონაწილე სუბიექტები, ჯერაც უცნობია.

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არც ერთი ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა. არ გამართულა სხდომაც, რომელზეც კომისიის წევრებს საოლქო საარჩევნო კომისიებიდან შემოსული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შესახებ ინფორმაცია უნდა მოესმინათ. არადა, ცესკო-ში ამ ოქმების შემოსვლის ვადები უკვე ამოწურულია.

ამის მიუხედავად, ცესკო-ს იურისტები ამტკიცებენ, რომ საარჩევნო კოდექსი მკაცრად განსაზღვრავს მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების შედეგების დამტკიცების ვადებს – 6 ნოემბრის საღამოს ექვსი საათი. თუმცა, იურისტები თავს არიდებენ კანონის სხვა მოთხოვნის დაკონკრეტებას, რომლის მიხედვითაც, ოქმების დამტკიცების შემდეგ ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადაიგზავნოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. **"კანონი არ ითვალისწინებს, თუ დროის რა პერიოდს მოიცავს ცნება "დაუყოვნებლივ",** – ასეთი პასუხი გასცეს "24 საათს" ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მომუშავე იურისტებმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ზუგდიდში „ნაციონალებს" ესროლეს

ხათუნა ჭანგირაშვილი

სროლა ზუგდიდის ცენტრში.

გუშინ, ზუგდიდის ცენტრში, სამხარეო პოლიციის შენობიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით, ნიღბებით სახედაფარულმა, ავტომატებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულმა ადამიანებმა ხალხს სროლა აუტეხეს. ისინი ქალაქის ცენტრში მაშინ გამოჩნდნენ, როდესაც მშვიდობიანი მიტინგის ჩასატარებლად შეკრებილი "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერები მიხეილ სააკაშვილის გამოჩენას ელოდნენ. ნიღბიანები შეკრებილ ზუგდიდელებში შეიჭრნენ და უმისამართო სროლა ატეხეს. ავტომატებიდან სროლა, დაახლოებით, 15 წუთის განმავლობაში არ შემწყდარა. ნიღბიანებმა სროლით გული იჯერეს და მშვიდად და უპრობლემოდ, სეირნობით გაერიდნენ იქაურობას. სროლის შედეგად დაიჭრა "ნაციონალური მოძრაობის" ორი აქტიური მხარდამჭერი, რომლებსაც გუშინვე, ზუგდიდის საავადმყოფოში, სასწრაფო ოპერაციები ჩაუტარდათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

დემოკრა... რაო?

ქაოსი სისტემით: გაყალბებები არჩევნებისას საქართველოში

ვანესა ლირტცი

"24 საათი" გთავაზობთ გერმანულ გაზეთში "დი ცაიტ" 6 ნოემბერს გამოქვეყნებულ სტატიას, რომელიც საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს შეეხება.

ვითარება აბსურდულია: ამომრჩეველი საკუთარ საარჩევნო უბანზე შედის, იღებს პასპორტს იმის მოლოდინში, რომ მისი სახელი საარჩევნო სიაში არის, მაგრამ იგი მხოლოდ ერთ-ერთი გარდაცვლილი ნათესავის სახელს პოულობს. უპირველესი და უმთავრესი პოლიტიკური უფლება, აირჩიოს საკუთარი მთავრობა, მას ერთმევა.

გასულ კვირას ეს ბედი მრავალმა ათასმა ქართველმა გაიზიარა, რომელთაც ახალი პარლამენტის არჩევა სურდათ.

გამოუსწორებელი ქაოსი არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე, უკვე არჩევნებისთვის მზადების პროცესში დაიწყო. იგი კიდევ უფრო განვითარდა გაყალბებული საარჩევნო სიებით ან შუქის სწორედ იმ მომენტში გამორთვით, როცა საარჩევნო ურნები ხმების დათვლელად გაიხსნა. თუმცა, ქაოსს გარკვეული სისტემაც ჰქონდა: გაყალბებული ბიულეტენები

გაგრძელება A5 გვერდზე

„ბურჯანაძე დემოკრატები" ბოლომდე იბრძოლებენ

"ბურჯანაძე დემოკრატები" ბოიკოტს უცხადებენ შევარდნაძის მიერ დანიშნულ პარლამენტს.

"2 ნოემბერს პარლამენტი ხალხს არ აურჩევია, ეს იყო ფარსი, რომლის შედეგად შევარდნაძისა და აბაშიძის რეჟიმებმა ხელისუფლების უზურპაცია განახორციელეს. მაშინ, როცა ხელისუფლებამ ათიათასობით ადამიანი ამომრჩეველთა სიებიდან მიზანმიმართულად ამოიღო და მათ უმთავრესი კონსტიტუციური უფლება წაართვა, არ შეიძლება პარლამენტი ხალხისგან არჩეულად ჩაითვალოს. ამიტომ ჩვენ ერთსულოვნად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამ პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობა არ მივიღოთ," - ასეთი განცხადებით ამცნო ბლოკმა "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" საზოგადოებას თავისი უპრეცედენტო გადაწყვეტილების შესახებ.

"ჩვენ არ ვითანამშრომლებთ უზნეობასთან და ვირჩევთ პროტესტის მშვიდობიან ფორმებს, რაც, ერთი მხრივ, პარლამენტში არშესვლით, მეორე მხრივ კი - კონსტიტუციური გზით ბრძოლაში გამოიხატება, რათა ჩვენ

გაგრძელება A2 გვერდზე

ერთი რეგიონი დანარჩენი საქართველოს ბედს წყვეტს

პოლიტიკურმა ელიტამ ამ პრობლემას უნდა მიხედოს, - აცხადებს ზურაბ ჭიაბერაშვილი

ვერიკო თევზაძე

"ის, რაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოხდა, შემაშფოთებელია. გაყალბება და დარღვევები აჭარაში სამართლებრივ სფეროს სცილდება. "სამართლიანი არჩევნები" ვერ ხედავს მათი გადაჭრის სამართლებრივ გზას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პოლიტიკურ კრიზისთან," - "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ჭიაბერაშილი საქართველოს პრეზიდენტისგან მოითხოვს პასუხს კითხვაზე: **"ვრცელდება თუ არა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ის, რაც აჭარაში ხდება, მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და მისი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სფეროა?"**

ჭიაბერაშვილის განცხადებით, დღეს საქართველოში ისეთი ვითარებაა, რომ ერთი რეგიონი წყვეტს არჩევნების ბედს, ქვეყნის მომავალს. **"თუ ქართულმა საზოგადოებამ, პოლიტიკურმა ელიტამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ქმედითი ნაბიჯები არ გადადგა,** - შენიშნავს ჭიაბერაშვილი, - **2005 წლის აპრილში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, მისი ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, ვინ იქნება საქართველოს მომავალი პრეზიდენტი."**

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" მონაცემებით, აჭარაში ჩატარებული არჩევნების შედეგები ცესკო-ს მონაცემებისგან მკვეთრად განსხვავდება. ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის მონაცემებით, აჭარაში ამომრჩევლის აქტივობა იყო 53 პროცენტი. უბნების დახურვის მომენტისთვის, ყველა მანიპულაციის შემდეგ, ოქმებში დაფიქსირებული ამომრჩევლის აქტივობა 80 პროცენტი იყო, დღეს კი, იმავე ოფიციალური მონაცემებით, ეს აქტივობა აჭარაში 95 პროცენტამდე გაიზარდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებს

თამარ ხორბალაძე

სახელისუფლებო ბლოკში სიტუაცია არ შეცვლილა - გუშინ ბლოკის ლიდერები სახელმწიფო კანცელარიაში დილიდან შეიკრიბნენ და მომავალი მოქმედების სტრატეგიასთან დაკავშირებით, დახურულ კარს მიღმა, საკმაოდ ცხარე დისკუსიებიც გამართეს.

"24 საათი" უკვე წერდა იმის შესახებ, რომ ბლოკის შიგნით პოზიცია ორად გაიყო: უფრო "ლიბერალურად" განწყობილი ფრთა, როგორც ამბობენ, თანაბლოკელებს პარლამენტში თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად სერიოზული პარტიის "შეშვებას" სთავაზობდა. მათი ლოგიკით, ბარიერის გადალახვის საშუალება, ექსცესების თავიდან აცილების მიზნით, უნდა მიეცათ არა მხოლოდ "აღორძინების", "ლეიბორისტების" და "ნაციონალებისთვის", როგორც ამას უფრო რადიკალური ფრთა მოითხოვს, არამედ მათთან ერთად "ბურჯანაძე-დემოკრატების", "ახლების" და "მრეწველებისთვის".

ამ ჯგუფის აზრით, საკუთარი ანუ ხელისუფლების პოზიციის ლობირება პარლამენტშიდა გარიგებების წყალობით უნდა მოხერხდეს, რის საშუალებასაც ზემოთ მოხსენიებული "ყველა პოლიტიკური ძალის მომცველი" პარლამენტი უდავოდ მისცემთ.

ამთავითვე ცხადია, რომ პირველობას არ თმობს სახელისუფლებო ბლოკი - ეს განწყობა ბლოკში საერთოა, მიუხედავად სხვა საკითხებში აზრთა სხვაობისა. მასშტაბურად იქნება წარმოდგენილი პარლამენტში "აღორძინებაც". როგორც კანცელარიის კულუარებში ამბობენ, "გაბერილი" ციფრების წარმოდგენაზე "ვიზა" ასლან აბაშიძეს თავად ედუარდ შევარდნაძემ მისცა. უკვე ეს ორი ძალა, მაჟორიტარების გათვალისწინებით, სახელისუფლებო "გათვლით" შედგენილ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოსაგროვებლად, სავარაუდოდ, საკმარისი იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ არც პრეზიდენტის მესამე და შემდგომი ვადებით არჩევა,

გაგრძელება A2 გვერდზე

პოლიტიკა

არჩევანი ჩაუშესკუსა და მილოშევიჩს შორის

"ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებას არჩევანს სთავაზობს. არჩევანი ჩვენმა ცენტრალურმა თუ ავტონომიურმა ხელისუფლებამ ჩაუშესკუსა და მილოშევიჩის ბედს შორის უნდა გააკეთოს. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ამ, მონინავე პოზიციებზე უცაბედად გასული პოლიტიკური ძალების ლიდერებმა საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის, კონკრეტულად, "ნაციონალური მოძრაობის" გამარჯვება არ აღიარეს.

A3

ეკონომიკა

სიღარიბის დაძლევის პროგრამას მსოფლიო ბანკიც იწონებს

გუშინ, ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამაზე და მოიწონეს იგი. თუმცა, საერთაშორისო ინსტიტუტების კეთილგანწყობა მომავალ წელს მაინც სერიოზულად არის დაკავშირებული სსფ-ს დასკვნასა და ქვეყანაში არსებულ სტაბილურობასთან.

A4

უცხოეთი

ერაყელმა პარტიზანებმა ამჯერად „შავი ქორი" ჩამოაგდეს

გუშინ ერაყის ჩრდილოეთში, ქალაქ თიქრითთან, კატასტროფა გაინცადა ამერიკულმა სამხედრო ვერტმფრენმა "შავი ქორი." ერაყში განთავსებული, აშშ-ს სარდლობის ცნობით, ვერტმფრენში მსხდომი ექვსი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

A5

სამართალი

პროკურატურამ „ჭიათურმანგანუმის" საქმეზე მორიგი საჩივარი მიიღო

თავის დროზე გავრცელებული ინფორმაციები იმის შესახებ, რომ სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმის" ხელმძღვანელთა დაჭერებით უშიშროების სამინისტრო პოლიტიკურ შეკვეთას ასრულებს, უკვე იურიდიული დოკუმენტებითაც დასტურდება. "ჭიათურმანგანუმის" 65-ტომიანი საგამოძიებო საქმე, რომლის შექმნასაც უშიშროების სამინისტრომ წელიწადნახევარი მოანდომა, ნელ-ნელა გამოძიების მიერ დაშვებული იურიდიული ხარვეზებით ივსება.

A7

ამინდი

თბილისი	16
ქუთაისი	20
სოხუმი	18
ფოთი	20
თელავი	14
ზუგდიდი	20
გორი	13
ახმეტა	14
ჭიათურა	16
გაბრა	17
სამტრედია	20

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1200
ევრო	2.4202
გირვანქა სტერლ.	3.5262
რუბლი	0.0711

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 რეკლამა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B1 სტუმარი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 კვირა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

ბუმერანგი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დღეს ყველამ გააცნობიერა, რომ თავისუფალი არჩევნები დემოკრატიის ქვაკუთხედია და დემოკრატიის სახელით გაყალბებულ არჩევნებს სიკეთე არ მოაქვს.

აბსოლუტური დემაგოგიაა, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თურმე, საქართველოში მოსახლეობას არჩევანის გასაკეთებლად ჭკუა და პოლიტიკური სიმწიფე არ ეყოფა და, ამიტომ, მათ მაგივრად არჩევანი ადამიანების ერთმა ჯგუფმა უნდა გააკეთოს; ამიტომ, მათ პრეზიდენტის მიერ დანიშნული მერი უნდა მართავდეს და ასე შემდეგ.

არ აქვს მნიშვნელობა იმას, რა შეცდომას უშვებს ამომრჩეველი კონკრეტული არჩევნების დროს და რამდენად სწორია მისი არჩევანი. მთავარი და გადამწყვეტი არის ის, რომ მას არჩევანის უფლება ყოველთვის ჰქონდეს, რათა ყოველთვის ჰქონდეს იმის საშუალება და შანსი, რომ ცუდი ხელისუფლება კარგით შეცვალოს; რათა პოლიტიკოსებმა ამომრჩევლის წინაშე ანგარიშვალდებულება იგრძნონ და ჰქონდეთ იმის შიში, რომ ხალხი აღარ აირჩევს, თუ ხალხის ინტერესი არ დაიცვა.

როცა არჩევანის უფლება მხოლოდ ერთი პოლიტიკური ჯგუფის ხელშია, ეს უფლება მას მონსტრად აქცევს, ძალად, რომელიც დარწმუნებულია იმაში, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, გამარჯვებული მაინც ის იქნება და ამიტომ, არ ადარდებს ის, თუ რას იფიქრებს მასზე მოსახლეობის თუნდაც დიდი უმრავლესობა.

საქართველოს ხელისუფლებას მამალაძეების და გაყალბების მექანიზმების დიდი იმედი რომ არ ჰქონოდა, ის, ბუნებრივია, ამდენ დანაშაულს ვერ ჩაიდენდა საკუთარი ხალხის წინაშე.

დღეს ეს ხელისუფლება აშკარად და ღიად აცხადებს: მართალია, მოსახლეობამ იაქტიურა, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სიებში თავი აღედგინა, მაგრამ მე ჩემსას მაინც მივაღწიე, სიები მაინც შევცვალე, არჩევნები ყველა სხვა მეთოდითაც გავაყალბე და მოვიგე, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის მცირე ნაწილიც კი არ მიჭერს მხარს. აჭარის ლიდერიც ასევე ღიად და დაუფარავად აცხადებს, რომ მართალია, მან კანონის ყველა პუნქტი დაარღვია, არჩევნები ტოტალურად გააყალბა, მაგრამ ჩვენ ვალდებულები ვართ, მისი პირველობა უსიტყვოდ ვაღიაროთ. ანუ ამ ხელისუფლებამ (რომლის ორგანული ნაწილია აჭარის ხელმძღვანელობაც) პირდაპირი მნიშვნელობით, მასხრად აიგდო ამ ქვეყნის მოსახლეობა და დაანახა ის, რომ მისი ნება ამ ქვეყანაში არასოდეს იქნება გადამწყვეტი.

დილემა, რომლის წინაშეც დღეს ქართული საზოგადოება აღმოჩნდა, სახეზეა.

ჩემი მეგობარი, რომელიც უკანდაბრუნებული ბუმერანგისგან სახედასახიჩრებულ პაპუასზე მწერდა, შეშფოთებული იყო იმით, რომ ძველის გადაგდება ისევ ცუდი გზით არ მომხდარიყო. ეს ცუდი გზა მისთვის ის ქუჩის აქციებია, რომელიც ყველას კარგად ახსოვს და რომელიც ყველაში ცუდ ასოციაციებს იწვევს. ის მეკითხებოდა სხვა გზაზე, გამოსავალზე, რომელიც შეიძლება კიდევ არსებობდეს და რომელიც პროტესტის ასეთ უკიდურეს ფორმას გამორიცხავდა.

ალბათ, არავის უნახავს იმდენი შეურაცხყოფილი ადამიანი, რომელიც მზად იყო, ქუჩაში გამოსულიყო, როგორც ამ დღეებში. ეს ადამიანები არც რადიკალი ზვიადისტები არიან და არც მარგინალი ძალები, რომლებიც ქუჩაში გამოსასვლელად მუდამ მზად არიან. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც კარგად ახსოვთ ის დღეები, რომლითაც დღეს ხელისუფლება გვაშინებს. მაგრამ, ეს ის ადამიანებიც არიან, რომელთაც დაიჯერეს, რომ ეს არჩევნები გადამწყვეტი იქნებოდა მათი და მათი შვილების მომავლისთვის, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს ჯერ იმისათვის, რომ სიებში თავი აღედგინათ, მერე იმისათვის, რომ ხმა მიეცათ, მაგრამ რომელთა ნება ხელისუფლებამ ერთი ხელის მოსმით გათელა და თან დაემუქრა, რომ ყველაფერი ყოველთვის ისე იქნება, როგორც ეს ამ ხელისუფლებას უნდა.

თუ ყველაფერი ისე დარჩა, როგორც დღეს არის, ანუ თუ ამ ხელისუფლებამ ეს ტოტალური გაყალბება შეირგო, მაშინ ყველაფერი ძალიან მარტივი სცენარით განვითარდება.

ხელისუფლების (აჭარის ხელმძღვანელობის ჩათვლით) პირველი სამიზნე, ბუნებრივია, თავისუფალი მედია გახდება. რომელიც მას ძვალივით ეჩხირება ყელში და რომელიც მისი ნომერი პირველი პრობლემაა. ამის შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სიტუაცია გაცილებით უფრო მარტივი იქნება.

ეუთო-ს დელეგაციას ნამდვილად ტყუილად აქვს იმის იმედი, რომ საქართველოს ხელისუფლება მომავალი არჩევნებისთვის მაინც მოუხმობს კეთილგონიერებას, მით უმეტეს, რომ დრო - წელიწადნახევარი საკმაოდ საკმარისია და ამომრჩეველთა ზუსტ სიას შეადგენს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ ხელისუფლებას ამ არჩევნებისთვის არ ჰქონდა დრო, ამომრჩეველთა სწორი სიები შეედგინა, ძალიან ცდება. ის ქაოსი, რომელიც 2 ნოემბერს სუფევდა სიებთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ხელისუფლების "დამსახურებაა" და მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც იგივე ქაოსი იქნება. რაც ნიშნავს იმას, რომ მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება საქართველოში პოპულარული პოლიტიკოსი ანუ ვის ექნება პრეზიდენტობის რეალური შანსი. მთავარია, ვის მხარეზე იმუშავებს გაყალბების მექანიზმები.

ეჭვიც არავის უნდა შეეპაროს იმაში, რომ აბაშიძე და შევარდნაძე ერთ საპრეზიდენტო კანდიდატზე შეთანხმდებიან, მასზე, ვინც შევარდნაძის ოჯახს და აბაძიშის რეჟიმს ხელშეუხებლობის ერთნაირ გარანტიებს მისცემს და გაყალბების გზით პრეზიდენტად სწორედ ამ ადამიანს დასვამენ.

ისინი, ვინც დღეს საუბრობენ იმაზე, რომ აჭარის ტოტალურად გაყალბებული შედეგების გაუქმება, ეს აჭარის დაკარგვას ნიშნავს და ამიტომ, აჭარის პირველობას უნდა შევეგუოთ, რატომ არ ლაპარაკობენ იმაზე, რომ თავგასული თავისუფლება და დამოუკიდებლობა აჭარას ცენტრალურმა ხელისუფლებამ უკვე დაუკანონა.

რას ნიშნავს ის, როცა აბაშიძე ცენტრალურ ბიუჯეტში თანხებს არ რიცხავს, იმიტომ, რომ მას ეს არ უნდა? რას ნიშნავს ის, როცა აბაშიძეს ნებისმიერ დროს ნებისმიერი რამის გაკეთება შეუძლია საქართველოს კონსტიტუციის, კანონების და საერთოდ, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ და ამაზე ცენტრალურ ხელისუფლებას რეაგირების მოხდენა არ შეუძლია? რას ნიშნავს ის, როცა აბაშიძეს თვითნებურად შეაქვს შესწორებები კონსტიტუციაში, თავს პრეზიდენტის სტატუსს ანიჭებს, რომელსაც შეიარაღებული ძალების შექმნის უფლება აქვს? არ ნიშნავს ეს იმას, რომ აჭარა აბაშიძისთვის უკვე დიდი ხანია, დამოუკიდებელია?

და ეს მოხდა იმის გამო, რომ აბსოლუტურად უუნარო, კორუმპირებული და სუსტი ხელისუფლება პატარა დიქტატორთან ყოველთვის დათმობებზე მიდიოდა. მიდიოდა, ნაწილობრივ, თავისი უსუსურობის გამო და ნაწილობრივ, იმის გამო, რომ მნიშვნელოვან მომენტში აბაშიძის დახმარება სჭირდებოდა - როგორც ეს იყო წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როგორც ეს არის დღეს, და როგორც ეს იქნება მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისას.

ის, რაც დღეს აჭარას დაგვაკარგვინებს, იქნება არა ტოტალურად გაყალბებული არჩევნების შედეგების გაუქმება, არამედ შევარდნაძის კორუმპირებული და სუსტი ხელისუფლება. ერთადერთი, რასაც აბაშიძის მოუთოკავი მადის შეჩერება შეუძლია, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებაა, რომელიც აჭარის ლიდერს დაფინანსების არალეგალურ წყაროებს შეუწყვეტს.

ასე რომ, თუ ყველაფერი ისე დარჩა, როგორც დღეს არის, მაშინ საქართველოში აღარც თავისუფალი მედია იქნება, აღარც ღირსეული ადამიანები, რომელთაც დაგროვილი სიმყრალის ატანა აღარ შეუძლიათ, აღარც საკუთარი ღირსების მქონე ამომრჩეველი, აღარც მომავლის პერსპექტივა და აღარც აჭარა იქნება საქართველოს შემადგენლობაში.

თუ დღეს ინერტულები ვიქნებით, ეს ინერტულობა უკან ძალიან მალე და ძალიან სასტიკად დაგვბრუნდება.

მსოფლიოს უახლოეს ისტორიაში უკვე შეიქმნა პრეცედენტები, როცა სახალხო დემონსტრაციების გზით ქვეყნებმა უღირსი მმართველები მოიცილა და ღირსება დაიბრუნა. დღეს ჩვენ გვაქვს შანსი, პოსტსაბჭოთა სივრცეში შევქმნათ ჯანსაღი პრეცედენტი - რომ ჩვენ ვართ საზოგადოება, რომელსაც შეუძლია, უკეთესი მომავლისათვის იბრძოლოს და ხელისუფლებას დაანახოს, რომ ამ ქვეყანაში არჩევანს ხალხი აკეთებს და არა კორუმპირებული ნაძირლები.

„ბურჯანაძე დემოკრატები" ბოლომდე იბრძოლებენ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მივაღწიოთ არჩევნების შედეგების ბათილად გამოცხადებას," - აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

"ბურჯანაძე დემოკრატები" აცხადებენ, რომ ისინი ბოლომდე იბრძოლებენ თავისი ამომრჩევლის ხმების დასაცავად, და რომ ეს ბრძოლა კონსტიტუციურ და სამართლებრივ ფარგლებს არ გასცდება.

გუშინ ნინო ბურჯანაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ოპოზიცია ერთიანია და ისინი მონაწილეობას მიიღებენ "ნაციონალური მოძრაობის" მიერ დღეს დაგეგმილ დიდ საპროტესტო აქციაში.

აჭარელი თბილისელები, ანუ ეს ცესკოს შენობაა

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

"შეივსება დარბაზი?".

"აბა, რა ვიცი, არ ჩანს ხალხი".

"უკან დავსხდეთ, კამერების წინ ტრიალი გვინდა ახლა ჩვენ?".

ფილარმონიის დარბაზი თითქმის შეივსო. მხოლოდ უკანა რიგებში და ქანდარაზე დარჩა თავისუფალი ადგილები. დარბაზში გუგუნი დიდხანს გაგრძელდა - ზაფხულის შემდეგ უნახავმა მეგობრებმა თუ ნათესავებმა თბილად მოიკითხეს ერთმანეთი. "აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული აქციის მონაწილეებს შორის აჭარიდან ჩამოსულები მრავლად იყვნენ, თუმცა, ცოტნე ბაკურიამ რამდენჯერმე დაბეჯითებით გაიმეორა, დღეს მხოლოდ თბილისელები შევიკრიბეთო.

"ძალიან გთხოვთ, დარბაზში სიგარეტს ნუ მოსწევთ!" - გამოუცხადა "თბილისელებს" ფილარმონიის ადმინისტრატორმა და დაიწყო...

ილფისა და პეტროვის უკვდავი რომანის ერთ-ერთი გმირი, ელოჩკა შჩუკინა ოცდაათი სიტყვით იოლად გადიოდა. "მხეცობთ!", "ერთი ამას დამიხედეთ!", "მოკეტე!", "ცხოვრებას ნუ მასწავლით", - ლამის ამით ამოიწურებოდა ინჟინერ ერნესტ პავლოვიჩ შჩუკინის მეუღლის სიტყვათა მარაგი.

ამაზე მდიდარი ლექსიკით ვერც ასლან იბრაიმოვიჩ აბაშიძის "გმირი", ცოტნე ბაკურია დაიკვეხნის. "ექსტრემისტები", "ფაშისტები", "არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილები", "ჰომოსექსუალისტური იდეოლოგიის პროპაგანდისტები", "უკეთურები", "ბაცილები", "სისხლმწყურებულები", "ყალთაბანდების არმია", "უკურნებელი სენი", - ძირითადად, ამ სიტყვების აფრქვევდა გუშინ ფილარმონიაში "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ისე, თუ უფრო დაკვირვებით მოუსმენდით, ცოტნე ბაკურიას გამოსვლაში სახელისუფლებო ბლოკის "გამოთქმებიც" მოგზვდებოდათ ყურში: მომხსენებელმა ილაპარაკა უცხოეთის აგენტურაზე (გახსოვთ ირინა?), "საზოგადოებრივი ცნობიერების ზომბირებაზე" (მამალაძის საყვარელი გამონათქვამი)... ყოველივე ზემოთქმული, რა თქმა უნდა, "ჟვანია-სააკაშვილის სახელმწიფოებრივად დამნაშავე ჯგუფებს" შეეხებოდა.

"ვინ არის სააკაშვილი? ლაჩარი", - ხმას უწევს ბაკურია, მაგრამ იმას, ცხადია, აღარ ამბობს, ორიოდე დღის წინათ, როდესაც ეს "ლაჩარი" რუსთაველის გამზირზე მანიფესტაციას ატარებდა, "ლაღიძის წყლების" თავზე განთავსებულ ოფისში როგორ ჩააქრეს შუქი "მამაცებმა" და ფარდის უკან ატუზულებმა ადევნეს თვალი საპროტესტო აქციას. სამაგიეროდ, ბაკურია სიამაყით აუწყებს აუდიტორიას, რომ, თურმე, სააკაშვილის მიტინგის მონაწილეებს გასაუბრებია (აფერუმ, ცოტნეს გამბედაობას!) და აუხსნია მათთვის, რომ მიშა დემაგოგია და მას არ უნდა აჰყვნენ.

"ჩვენ ხმები მოგვპარეს თბილისში, ზუგდიდში და ქუთაისში", - შესჩიოდა "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის ლიდერი თანამებრძოლებს. აბა, იმას ხომ არ იტყოდა, მარნეულში, ბოლნისში და საერთოდ, ქვემო ქართლში, "აღორძინება" სახელისუფლებო ბლოკს საარჩევნო ხმების 30-პროცენტიან წილში რომ "ეჯდა"!

ცოტნე ბაკურიას საკმაოდ ხანგრძლივ გამოსვლაში რაღაც აზრობრივი დატვირთვა მხოლოდ ერთ წინადადებას ჰქონდა, რომლითაც მან საქართველოს პრეზიდენტს მიმართა: **"ან შეასრულე შენი მოვალეობა, ან გაუღე კანცელარიის კარები და დასვი ეს ბანდიტები შენს ადგილზე!"**

ყველაფერთან ერთად, "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის შეფი, "პლაგიატორიც" ყოფილა - ახალი ვერაფერი მოიფიქრა და თავის მიერ მაგრად გამოლანძღული "ნაციონალებისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" მარშრუტს დაადგა: ფილარმონიაში შეკრებილ საზოგადოებას ცესკო-ს შენობისკენ გაუძღვა.

"ბიჭო, ბიჭო, რამდენები არიან, ქუჩა ვეღარ იტევთ!", - სიცილს ვერ იკავებდნენ აქციის მონაწილეთა "მრავალრიცხოვნებით" "გაოცებული" პარიკმახერები და მაღაზიების გამყიდველები, რომელთაც სალონები და დახლები მიეტოვებინათ.

"სასაცილოა ჩამოსულა თბილისში! დემონსტრანტებს ის უდგას სათავეში," - ურცხვად ატყუებდა მხედველობადაქვეითებულ მეგობარს ცილინდრიანი პენსიონერი.

ცოტნე ბაკურიას შეთხელებულმა ლაშქარმა "იმელის" შენობასთან ქუჩა გადაკეტა. არადა, ამის აუცილებლობა ნამდვილად არ არსებობდა - ტროტუართან ხალხი ოდნავ რომ შემჭიდროებულიყო, რუსთაველის გამზირზე ტრანსპორტის მოძრაობა არ შეფერხდებოდა.

"ახლა ცესკო-ს წინ ვიმყოფებით", - აუწყა "აღორძინების" "თბილისელ" წევრებს ბაკურიამ მიტინგის გახსნისას, შემდეგ კი აუხსნა, თუ რატომ მოიყვანა ისინი აქ.

"ამ არჩევნებზე მომპარეს არა საათი ან ჰალსტუხი, არამედ ხმა," - ეტყობა, თავისი საარჩევნო ხმა ჰქონდა მხედველობაში ბაკურიას, თორემ, გუშინ ის ნამდვილად არ ყოფილა დამუნჯებული: ცესკო-ს წინ მეგაფონში ზომაზე ხმამაღლაც კი გაჰყიროდა.

აქციის მონაწილეებს მან ისფხიზლისკენ მოუწოდა, რადგან **"სააკაშვილი აპირებს, ცეცხლში გახვიოს თბილისი და აჭარა საქართველოს ჩამოაცილოს."**

ამის შემდეგ მანიფესტანტები თავისუფლების მოედნისკენ უნდა წასულიყვნენ, მაგრამ ბაკურიამ "წინდახედულობა" გამოიჩინა. მიზეზით - ემანდ, პროვოკაცია არ მოგვიწყონო - აქცია დასრულებულად გამოაცხადა. ალბათ, სწორედაც მოიქცა - სანამ საკაშვილის "სამფლობელომდე" მიაღწევდა, შეიძლებოდა, ისედაც შეთხელებული თანამოაზრეთა რიგები კიდევ უფრო დაწრეტილიყო და თავისუფლების მოედანამდე მხოლოდ თავისი პარტიული ოფისის თანამშრომლებიღა მიჰყოლოდა.

"დარჩი ამაღამ ჩემთან, რამდენი ხანია აღარ გვიჭუკჭუკია, კაი დრო გევიხსენოთ," - აქციის დასრულების შემდეგ ასე ეხვეწებოდნენ ერთმანეთს "აღორძინების" მხარდამჭერი თბილისელები.

შორი გზაა ბათუმიდან თბილისამდე. დაიღალა ხალხი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

არც მისი გაპრემიერმინისტრება და არც თანამდებობების შთამომავლობით გადაცემა საქართველოში გამორიცხული არ იქნება.

ნათელი ხდება, რომ დაპირისპირება სახელისუფლებო ბლოკში უფრო შიდაბლოკური ინტრიგის სახეს ატარებს, ვიდრე - გონივრული გადაწყვეტილების სურვილით განპირობებული კამათისას.

"რბილი" პოზიციის "მატარებელი" სახელისუფლებო ბლოკის ლიდერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაჟა ლორთქიფანიძის ფიგურა, რომელიც პარლამენტში ზემოთ მოხსენიებული ძალთა ბალანსის მიღწევის შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის რეალური კანდიდატია. სწორედ მან განაცხადა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას, რომ **"არავითარი გარიგებები ოპოზიციასთან არ მიმდინარეობს და პარლამენტში 10-მდე პოლიტიკური პარტია მოხვდება."**

შემთხვევითი არ არის, რომ აღნიშნულ პოზიციას არ იზიარებს და განსაკუთრებულად მწვავედ რეაგირებს შექმნილ სიტუაციაზე ლევან მამალაძე, რომელსაც ასევე აქვს პარლამენტის სათავეში მოსვლის სურვილი და რომელსაც ამის შანსი მით უფრო უმცირდება, რაც უფრო მეტი სუბიექტი შევა პარლამენტში.

სწორედ ამიტომ, იგი ორი დღეა, პრაქტიკულად აღარ მალავს თავის პოზიციას და ბლოკის სიების გადახედვის მომხრეა.

"ისეთი ადამიანები, ვინც შანტაჟის ქვეშ ექცევა და რაღაც შიშის გრძნობა აქვს, ჩვენს რიგებში არ უნდა იდგნენ. ასეთი ადამიანები კი, როგორც ხელისუფლებაში, ასევე ბლოკის სიებშიც არიან," - აღნიშნა მამალაძემ, თუმცა მან კონკრეტული სახელების ხმამაღლა წარმოთქმისგან თავი შეიკავა.

და ბოლოს: "24 საათის" ინფორმაციით, ორი დღის წინ საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით შეკრებილმა უშიშროების საბჭომ ძალოვანებს ოპოზიციის წინააღმდეგ რადიკალური ქმედებების განხორციელების სანქცია თითქმის ერთხმად მისცა.

"ლეიბორისტები" ცრუობენ, მაგრამ რატომ?

"ლეიბორისტი" ჟვანია კმაყოფილია შეფასებით, რომ ეს იყო ჩეჩნეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის არჩევნებთან შედარებით უკეთესი არჩევნები.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ვიდრე ბლოკი "ბურჯანაძე-დემოკრატები" ახალი პარლამენტის დატოვებაზე ოფიციალურ განცხადებას გააკეთებდა, "ლეიბორისტულმა პარტიამ" "ბურჯანაძე-დემოკრატები" "ლეიბორისტთა" ხმების მითვისებაში დაადანაშაულა. **"შევარდნაძეს, ჟვანიასა და სააკაშვილს შორის შედგა უბინძურესი გარიგება, რომლის მიზანია, "ლეიბორისტების" მიერ მოპოვებული მანდატების ხარჯზე, საქართველოს პარლამენტში "ბურჯანაძე-დემოკრატების" ბანდიტური ჯგუფის შეყვანა,"** - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ლეიბორისტული პარტიის" საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსმა გელა დანელიამ.

"ლეიბორისტთა" მტკიცებით, ბოლო დღეების განმავლობაში "ბურჯანაძე-დემოკრატების" დასახმარებლად, საუბნო და საოლქო კომისიებში ოქმების გადაკეთებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. გელა დანელიას თქმით, საპროტესტო გამოსვლების შემდეგ ხელისუფლებამ "ბურჯანაძე-დემოკრატებს" მარნეულში - 9 ათასი, ხოლო ბოლნისში ათი ათასი ხმა დაუთმო (ისე, დანელიას ან ცესკო-ს მონაცემებში არ ჩაუხედავს, ან უბრალოდ ცრუობს).

თუ "ლეიბორისტებს" დავუჯერებთ, ბურჯანაძემ გადეპუტატება ხელისუფლებასთან გარიგების შედეგად მოახერხა: კერძოდ, ამ გამარჯვების სანაცლოდ, "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" ხელისუფლებას ათი ათასი ხმა დაუთმო. **"ხელისუფლებასთან ვაჭრობის შემდეგ გადაწყდა, რომ "ბურჯანაძე-დემოკრატები" უცხოეთის საარჩევნო უბნებიდანაც უამრავ ხმას მიიღებს,"** - დასძინა დანელიამ.

ვიდრე გელა დანელია ამ განცხადებებს გააკეთებდა, "ლეიბორისტთა" ლიდერი შალვა ნათელაშვილი თავისი პარტიის ოფისში ევროსაბჭოს მთავარ ექსპერტს ბერნარდ ოუენს შეხვდა. ერთსაათიანი დახურული შეხვედრის შემდეგ, ოუენმა "შრომის პარტიის" ოფისი უკომენტაროდ დატოვა. მის ნაცვლად, პრესა საქმის კურსში პარტიის საერთაშორისო მდივანმა ზურაბ ჟვანიამ ჩააყენა. ჟვანიას თქმით, მხარეებმა საქართველოს საარჩევნო კოდექსის იურიდიული ასპექტები განიხილეს, იმსჯელეს იმაზე, თუ რა ცვლილები უნდა განიცადოს დღევანდელმა კოდექსმა. ჟვანიას განმარტებით, ევროსაბჭოს ექსპერტმა ზოგადად შეაფასა 2 ნოემბრის არჩევნები და თქვა, რომ ჩეჩნეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ჩატარებულ არჩევნებთან შედარებით, ეს არჩევნები უფრო დემოკრატიული იყო.

24 საათი

მოკლედ

ხაშურში შესაძლოა, ტრაგედია დატრიალდეს

ხაშურის რაიონში "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვალერი გელაშვილი ცესკო-ს მოუწოდებს, რომ ხაშურის რაიონში არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი თვითონ გააკეთოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა ხაშურში ტრაგედია დატრიალდეს.

გალაშვილის მტკიცებით, იმის მიუხედავად, რომ მან არჩევნებში 300 ხმით მეტი დააგროვა, ხაშურის საოლქო კომისია, გარკვეული მიზეზების გამო, არ შეიკრიბა და შემაჯამებელი ოქმიც არ დაწერა. მისი თქმით, ხაშურის რაიონის მოსახლეობა ამის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს და მათ გელაშვილის მხარდასაჭერად, რამდენიმე დღეა, რკინიგზა აქვთ გადაკეტილი. ისინი მოითხოვენ, ცესკო-მ ოქმების შეჯამება დააჩქაროს. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

თბილისი. პოლიტიკურმა გაერთიანება "ერთობამ" თბილისის საოლქო სასამართლოში, არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნით, სარჩელი შეიტანა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 15 აფხაზი ოფიცერი 2004-2005 წლებში კვალიფიკაციას რუსეთის სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში აიმაღლებს. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო "REGNUM"-ს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უმაღლესი საშუალო-სპეციალური და საშუალო განათლების სამინისტროში აცნობეს. წყაროს თანახმად, აფხაზი სამხედრო მოსამსახურეები სტაჟირებას ჯავშანსატანკო, საინჟინრო-საავიაციო და საფრენოსნო, საინჟინრო, ჰაერსაწინააღმდეგო და ზოგად საჯარისო სპეციალობებში გაივლიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საარჩევნო ბლოკის "ერთიანი ოპოზიცია - იბერიის გაბრწყინება" ლიდერი გურამ აბსანძე ზუგდიდის ცენტრში "ნაციონალური მოძრაობის" აქციაზე მომხდარ შეიარაღებულ ინციდენტში ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერების მონაწილეობის თაობაზე საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ აღნიშნულ დეზინფორმაციას ხელისუფლება პირადად მისი და პოლიტიკური გაერთიანების წინააღმდეგ ავრცელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ევროსაბჭოს მთავარი ექსპერტი ბერნარდ ოუენ დახურულ კარს მიღმა "ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარეს შალვა ნათელაშვილს შეხვდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან სახელისუფლებო ბლოკის სხდომა გაიმართა, სადაც ბლოკის წევრებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან მიღებულ საარჩევნო შედეგებზე იმსჯელეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. არჩევნების მედია-ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის" გამგეობის თავმჯდომარემ კოტე კანდელაკმა სიღნაღის საარჩევნო ოლქში არჩევნების დროს მომხდარი დარღვევების შესახებ ისაუბრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ ყაზახეთის ქალაქ ალმა-ათაში მუშაობა დაასრულა დსთ-ს წევრი ქვეყნების სასაზღვრო უწყებათა ხელმძღვანელების ტრადიციულმა ყოველწლიურმა შეხვედრამ, რომელშიც საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძეც მონაწილეობდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ახლების" წევრი ვახტანგ ხმალაძე ზნეობრივს უწოდებს ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" მოთხოვნას არჩევნების შედეგების არცნობისა და ხელახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის თაობაზე. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ ულტიმატუმისგან, რომლითაც რამდენიმე დღის წინათ ეს ძალა, "ნაციონალურ მოძრაობასთან" ერთად ხელისუფლების მხრიდან გამარჯვებულად აღიარებას ითხოვდა. „მათი რამდენიმე დღის წინანდელი განცხადებები სამართლიანად არ მიმაჩნდა, ახლა კი მათ გადაწყვეტილებას ვიზიარებ", - აცხადებს ხმალაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" წევრი, სოციალისტი ზაქარია ქუცნაშვილი არასტრუოულად მიიჩნევს "ბურჯანაძე-დემოკრატების" მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ ისინი პარლამენტში შესვლაზე უარს ამბობენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "აფხაზეთში რუსეთის თანამემამულეთა კავშირმა" თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში მოქმედ რუსულენოვან სათვისტომოებს გაერთიანებისაკენ მოუწოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემებით, ბათუმის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი «დემოკრატიული აღორძინების კავშირის" ერთ-ერთი ლიდერი ჯემალ გოგიტიძე, ხოლო ქობულეთის - როსტომ ჯაფარიძე გახდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ცოტნე ბაკურია მოულოდნელს უწოდებს ბლოკ „ბურჯანაძე-დემოკრატების" გადაწყვეტილებას პარლამენტში შესვლაზე უარის თქმის შესახებ, თუმცა არ გამორიცხავს, რომ „ექსტრემისტებში მორალმა გაიღვიძა". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსთავის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოსო ალავიძე აპირებს, სასამართლოში გაასაჩივროს რუსთავის საოლქო კომისიის შემაჯამებელი ოქმი, რომლის თანახმადაც ის რუსთავში მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. ალავიძე რუსთავში "ნაციონალურ მოძრაობასა" და სახელისუფლებო ბლოკს ურთიერთგარიგებაში ადანაშაულებს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვავაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

არჩევანი რაუშესკუსა და მილოშევიჩს შორის

ლელა მჭედლიძე

"ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებას არჩევანს სთავაზობს. არჩევანი ჩვენმა ცენტრალურმა თუ ავტონომიურმა ხელისუფლებამ რაუშესკუსა და მილოშევიჩის ბედს შორის უნდა გააკეთოს. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ამ, მოწინავე პოზიციებზე უცაბედად გასული პოლიტიკური ძალების ლიდერებმა საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის, კონკრეტულად, "ნაციონალური მოძრაობის" გამარჯვება არ აღიარეს.

"ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები თავადაც ხვდებიან, რომ როგორც ედუარდ შევარდნაძე, ისე ასლან აბაშიძე, როგორც თავისი საარჩევნო პოზიციების დასათმობად, ისე ორი დიქტატორის არასახარბიელო ბედს შორის არჩევანის გასაკეთებლად მზად არ არიან. თავის მხრივ, არც "ნაციონალური მოძრაობა" აპირებს დათმობაზე წასვლას. დავით ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ **"ქართველი ერი ვერ შეეგუება პარლამენტში უმრავლესობით იმ ძალების მოსვლას, რომლებმაც თბილისში შვიდპროცენტიანი ბარიერიც კი ვერ გადალახეს."** თავად მისმა მოძრაობამ კი, ბატონი დავითის თქმით, აჭარის ავტონომიაშიც კი მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო, აჭარაში არჩევნებში მონაწილეთა ერთმა მესამედმა მათ მოძრაობას მისცა ხმა.

6 ნოემბერს აჭარის პარლამენტის მიერ აჭარის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებით, ავტონომიის ლიდერი აჭარაში, უმაღლეს სახელმწიფო პოლიტიკურ ფიგურასთან ერთად, უმაღლესი სამხედრო პირიც ხდება. "აჭარის მთავარსარდალს" საკმაოდ მაღალი წოდებების მინიჭების უფლება ეძლევა, ბრიგადის გენერლის წოდების ჩათვლით. როგორც აჭარის შიდა სამზარეულოში საკმაოდ კარგად ჩახედული ბერძენიშვილი აცხადებს, ამ ბრძანების ინგლისურენოვანი ტექსტი ბევრად უფრო საინტერესოა, რადგან მასში აბაშიძე "აჭარის პრეზიდენტად" არის მოხსენიებული. ბერძენიშვილის აზრით, ეს სახელმწიფო გადატრიალების გეგმის ნაწილია, რომელსაც შევარდნაძე და აბაშიძე ერთობლივად ახორციელებენ. ბერძენიშვილი ამტკიცებს, რომ აჭარის მეთაური, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად, **"რეგიონული ხელისუფლების სეპარატიზაციას აგრძელებს. არჩევნების შედეგების ტოტალური გაყალბებით კი ისინი ერთად სახელმწიფო გადატრიალების გზას ადგანან."** თუმცა, ბერძენიშვილმა გუშინვე განმარტა, რომ **"ნაციონალური მოძრაობა," თავის პოლიტიკურ პარტნიორებთან ერთად, შევარდნაძისა და აბაშიძის მიერ მოსახლეობის ხმების მითვისებას და საქართველოს მძევლის მდგომარეობაში ყოფნას არ დაუშვებენ."** თუ როგორ და რა გზით აპირებს ამის განხორციელებას ოპოზიციის ერთიანი ფრონტი, სააკაშვილის თანაგუნდელს აღარ დუკონკრეტებია. მისი შეფასებით, ამის თვალსაჩინო მაგალითს ხალხი უკვე დღეს, სავარაუდოდ, ოპოზიციის აქციაზე ისმენს.

ერთი რეგიონი დანარჩენი საქართველოს ბედს წყვეტს

ჰირველი გვერდიდან

გუშინდელ პრესკონფერენციაზე მასმედიის წინაშე წარდგა "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელი ტყიბულში ლაშა ჯიხვაშვილი, რომელიც იქ დაშავდა. როგორც ჯიხვაშვილმა განაცხადა, იგი ტყიბულში იარაღის მუქარის ქვეშ მუშაობდა.

"სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები და ცესკო საუბნო კომისიების მონაცემებს ცდომილებებით აჯამებენ. ეს გაყალბება საოლქო კომისიების დონეზე ხდება, - განმარტავს ზურაბ ჭიაბერაშვილი და იქვე აღნიშნავს ცესკო-ს **"არაეფექტურობას, ადმინისტრირების არარსებობას."**

პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა კიდევ ერთხელ გაამახვილეს ყურადღება გაყალბების ფაქტებზე და პრესას უჩვენეს იმ საარჩევნო ბიულტენების ქსეროასლები, რომლებიც გარდაცვლილ ადამიანებზე და, აგრეთვე, ხუთი წლის ბავშვზე, თბილისში კოსტავას ქუჩა №2-ში მცხოვრებ მარიამ გოგოლაძეზე არის გაცემული.

"სამართლიანი არჩევნების" დირექტორი ჟურნალისტებს უჩვენებს, თუ რად დაუჯდა სადამკვირვებლო მისია მათ ერთ-ერთ წევრს

ზუგდიდში „ნაციონალებს" ესროლეს

ჰირველი გვერდიდან

რას აკეთებდა იმ დროს პოლიცია, როდესაც ზუგდიდის ცენტრში, მშვიდობიანი მიტინგის ჩასატარებლად შეკრებილ ხალხში შეჭრილი ნიღბიანები ავტომატებიდან ისროდნენ? პოლიციას შეიარაღებულებისთვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია. სამართალდამცველები და სპეცდანიშნულების რაზმები იქ მხოლოდ სროლის შეწყვეტისა და ნიღბიანების წასვლის შემდეგ გამოჩნდნენ. **"რა გვექნა, თავდამსხმელებს შეუიარაღებელ პოლიციელებს ხომ არ ამოვახოცინებდით. პოლიცია იქ წესრიგის დასამყარებლად, მშვიდობიანი მიტინგის დასაცავად, უიარაღოდ იყო მისული, სროლის დაწყებისთანავე, პოლიციელები გაიქცნენ და შეიარაღდნენ, თუმცა ამასობაში, თავდამსხმელებმა გაქცევა მოასწრეს,"** - ასეთი პასუხი გაგცეს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებმაც მოგვიანებით დაცვა ქალაქში ორმაგად გააძლიერეს. ზუგდიდელი სამართალდამცველები გუშინ ირწმუნებოდნენ, რომ არაფერი იცოდნენ იმ ხალხის შესახებ, რომლებიც ქალაქის ცენტრში სროლა-სროლით დადიოდნენ და "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერების დაშინებას ცდილობდნენ. **"რომ ვიცოდეთ, ვინ იყვნენ, დამნაშავეებსაც ადვილად დავიჭერდით. ნამდვილად არ ვიცით, ვინ იყვნენ შეიარაღებული პირები და რომელ დაჯგუფებას ეკუთვნიან. სამწუხაროდ, მათ მიმალვა მოასწრეს,"** - ასეთია კანონდამცველთა პასუხი, რომელთაც მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობის მუხლით სასწრაფოდ აღძრეს.

მომხდარისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეიარაღებული ხალხი, ვინც სროლით სცადა მიხეილ სააკაშვილის მომლოდინე მომიტინგეების დაშინება, ტყეში გახიზნული შემოურიგებელი ზვიადისტები იყვნენ. მათი კონკრეტული გვარებიც დასახელდა. თუმცა, ეს ვერსია "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა კატეგორიულად გამორიცხა. მომხდარში მან ბრალი შევარდნაძესა და შინაგან საქმეთა მინისტრს დასდო.

ატეხილი სროლებისა და ამ სროლების ავტორთა მოთხოვნის ("არ გაბედოს სააკაშვილმა ზუგდიდში შესვლა") მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილი ქალაქში მაინც შევიდა. "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი, თავდაპირველად, სამხარეო პოლიციის წინ შეჩერდა, შემდეგ კი აქციის ჩატარების ადგილისკენ წავიდა. შეკრებილი ხალხი მას ოვაციებით შეხვდა. სროლამ სააკაშვილის მომლოდინეები ვერ დაშალა, პირიქით, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა.

"ეს თავდასხმა შევარდნაძისა და შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის მიერ დაქირავებულმა მოღალატეებმა განახორციელეს. ამ ყველაფერს შევარდნაძის მთავრობა აკეთებს. უშუალოდ შევარდნაძე და კობა ნარჩემაშვილი დგამენ ამ სცენებს. რას ერჩიან უბრალო ხალხს? ერჩიან იმას, რომ ჩვენი მხარდამჭერები არიან. ზუგდიდში დაღვრილი სისხლის თითოეული წვეთი უკანვე დაუბრუნდება თავად შევარდნაძეს, ეს ყველაფერი მას ძვირად დაუჯდება!" - ასე შეაფასა გუშინ ზუგდიდში მომხდარი "ნაციონალების" ლიდერმა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ედუარდ შევარდნაძეს დააკისრეს "ნაციონალური მოძრაობის " მხარდამჭერმა ზუგდიდელებმაც.

ცესკო წინასწარ შედეგებს ჯერაც არ აქვეყნებს

ჰირველი გვერდიდან

სხვათა შორის, საარჩევნო კოდექსის ამ მოთხოვნის უგულებელყოფაზე ყურადღებას არც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ამახვილებენ. როგორც ჩანს, ყველაზე მთავარი მათთვის ის პროცესებია, რომელიც კულისებს მიღმა მიდის.

აქედან გამომდინარე, არავინ იცის, ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების წინასწარ შედეგებს როდის გამოაცხადებს. როგორც ჩანს, კანონით განუსაზღვრელი ცნება "დაუყოვნებლივ", "როცა მინდადაა" აღქმული. კულუარებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა 2 მილიონ 200 ათასი იქნება.

გუშინ ცესკო-ში გამოჩნდა საზღვარგარეთის ქვეყნებში გახსნილი საარჩევნო უბნებიდან გადმოგზავნილი მონაცემებიც, თუმცა ეს ციფრები ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ოფიციალურად არ გაუხმოვანებია. ამ ციფრების მიხედვით, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები ყველაზე მეტად სახელისუფლებო ბლოკს გულშემატკივრობენ, შემდეგ კი მათი სიმპათიები შემდეგნაირად ნაწილდება – "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", "ახალი მემარჯვენეები", "გაერთიანებული დემოკრატები".

სხვათა შორის, ამ ციფრებით ყველაზე კმაყოფილები "მრეწველები" ჩანდნენ, თუმცა საზღვარგარეთიდან ჩამოსული მონაცემები, როგორც ჩანს, მათ დიდად ვერ წაადგებათ.

კულუარული ინფორმაციის თანახმად, ისინი შვიდპროცენტიან ბარიერს მიღმა ასლან აბაშიძისა და ავთანდილ ჯორბენაძის "წყალობით" აღმოჩნდნენ. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, "მრეწველებსა" და ასლან აბაშიძეს შორის შუამავლის როლი სახელმწიფო მინისტრს უკისრია და "მრეწველებს" შეჰპირებია კიდეც, რომ "აღორძინება" მათ ხმებს გადაუნაწილებდა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, "მრეწველებმა" დაპირებული ხმები ვერ მიიღეს. ისინი ან ავთანდილ ჯორბენაძემ მოატყუა, ან, უბრალოდ, ასლან აბაშიძემ "გადააგდო".

გუშინ ცესკო-ში "ახალი მემარჯვენეების" ლიდერებიც გამოჩნდნენ. ირაკლი იაშვილი და დავით კერესელიძე ჟურნალისტებთან აცხადებდნენ, რომ მათ უკვე ხელთ აქვთ სრული მონაცემები და ეჭვი არ ეპარებათ, რომ შვიდპროცენტიანი ბარიერი გადალახულია. **"ჩვეთან ერთად, ეს ბარიერი "დემოკრატებმაც" გადალახეს",** – განუცხადა "24 საათს" ირაკლი იაშვილმა.

რაც შეეხება თავად "ბურჯგანაძე-დემოკრატებს". ბლოკის ლიდერების სენსაციური პრესკონფერენციის შემდეგ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხათუნა გოგორიშვილი და მიხეილ მაჭავარიანი მივიდნენ. **"იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბლოკი ბარიერს გადალახავს, პარლამენტში არ შევალთ, თუმცა თითოეული მანდატისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ და მათ არავის დავუთმობთ,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ხათუნა გოგორიშვილმა. მიხეილ მაჭავარიანის თქმით კი, **"2 ნოემბრის არჩევნები პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ დეპუტატების დანიშვნები იყო. შესაბამისად, ჩვენ მომავალ პარლამენტში ჩვენი მოღვაწეობის აზრს ვერ ვხედავთ."**

და ბოლოს: საღამოს ათი საათისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე განთავსებული არჩევნების შედეგების საერთო სურათი ასე გამოიყურებოდა:

დათვლილი უბნები - 2285;

კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა - 1 559 659

შედეგები: ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" – 315 260 ხმა, "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" – 326 767 ხმა, ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – 78 776 ხმა, "საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია" – 182 514 ხმა, "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა" – 289 904 ხმა, ბლოკი "ბურჯგანაძე – დემოკრატები" - 118 555 ხმა, "ახალი მემარჯვენეები" – 102 568 ხმა.

ჯეოსელის წამახალისებელი გათამაშების წესები და პირობები — 1015

- ჯეოსელის წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ჯეოსელის ყველა აქტიურ აბონენტს
- წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია ისარგებლოთ მომსახურებით – 1015
- მომსახურებაზე 1015 დარეკვის საფასურია 0.50 ლარი (დღგ ს ჩათვლით)
- მოგების შანსი იზრდება ყოველი დარეგისტრირებისას ნომერზე – 1015
- შოუს მსვლელობისას, ანუ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად მობილური ტელეფონი ჩართული უნდა იყოს ორმხრივად
- ჯეოსელის წამახალისებელი გათამაშებისას წამყვანი უკავშირდება იმ აბონენტს, რომლის ნომერიც იქნება ამოღებული ლოტოტრონიდან
- დაკავშირებისას წამყვანი მოსთხოვს აბონენტს ამოირჩიოს რომელიმე რიცხვი 1 დან 15-ის ჩათვლით. თითოეული ნომრის უკანა მხარეს მითითებული იქნება პრიზის დასახელება (მათ შორის ე.წ. შავი ყუთიც)
- შავი ყუთის ამორჩევის შემთხვევაში წამყვანი არ გამოაცხადებს მასში მოთავსებულ საჩუქარს, იგი შეეცდება აბონენტს და შესთავაზებს გარკვეულ თანხას. ამგვარად, აბონენტს შესაძლებლობა ეძლევა არჩევანი გააკეთოს შეთავაზებულ თანხასა და გაურკვეველ პრიზს შორის
- თუკი ლოტოტრონიდან ამოღებულ ნომერთან დაკავშირება შეუძლებელი იქნება*, მაშინ წამყვანი ხელახლა ამოიღებს ახალ ნომერს
- ერთი შოუს განმავლობაში ერთიდაიგივე ნომრის ორჯერ ამოღების შემთხვევაში, მეორე მოგება გათილდება
- პრიზი გადაეცემა იღბლიანი სიმ-ბარათის წარმომდგენს
- 9 ნოემბრიდან ყოველ კვირადღეს, 22 საათზე, რუსთაველ 2-ის პირდაპირ ეთერში შესდგება ჯეოსელის წამახალისებელი გათამაშება
- სულ გაიმართება 10 წამახალისებელი გათამაშება და ყოველ გათამაშებაზე დასაჩუქრდება 15 აბონენტი.
- პირველ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის აბონენტები, რომლებიც 2 ნოემბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით ისარგებლებენ 1015-მომსახურებით, მეორე გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ის აბონენტები, რომლებიც ისარგებლებენ ამ მომსახურებით 9 ნოემბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით და ა.შ.
- მეათე გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის აბონენტები, რომლებიც წამახალისებელი გათამაშებისას (სულ 10 გათამაშება) ისარგებლებენ 1015-მომსახურებით მინიმუმ 50-ჯერ. მათი ნომერი მოთავსდება ლოტოტრონში თითოჯერ ყოველ ორმოცდამეათე ზარზე
- ჯეოსელის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ჯეოსელის თანამშრომლებს, დილერებს, დისტრიბუტორებსა და მათი ოჯახის წევრებს.
- აბონენტს მოგებული პრიზის შესაბამისი ფულადი თანხა არ გადაეცემა
- პრიზების გადაცემა მოხდება გათამაშებიდან არაუგვიანეს 10 დღისა

* წამყვანი 3-ჯერ აკრეფს ნომერს და ეცდება დაუკავშირდეს აბონენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის ტელეფონზე ისმის დაკავების ზუმერი.

საინფორმაციო სამსახური 928 ან 822 770177

სილარიბის დაძლევის პროგრამას მსოფლიო ბანკიც იწონებს

გუშინ, ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამაზე და მოიწონეს იგი. თუმცა, საერთაშორისო ინსტიტუტების კეთილგანწყობა მომავალ წელს მაინც სერიოზულად არის დაკავშირებული სსფ-ს დასკვნასა და ქვეყანაში არსებულ სტაბილურობასთან.

ამის შესახებ ჟურნალისტებს გუშინ პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილიამ ამცნო. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ ბანკის დირექტორთა საბჭომ პროგრამას მაღალი დონის დოკუმენტი უწოდა, თუმცა საქართველოს მთავრობას პროგრამის განხორციელებაში წარმმართველი როლის შესრულებისკენ მოუწოდა.

ბასილიამ გამოყო ის პრიორიტეტები, რომელთა განხორციელებაც მსოფლიო ბანკში აუცილებელ და გადაუდებელ საკითხებად მიიჩნიეს.

"მმართველობის სფეროს გაუმჯობესება (ანუ აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმირება), კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და საბიუჯეტო პროცესების სრულყოფა" - ასეთია ჩამონათვალი, რომლებზეც მსოფლიო ბანკი ამახვილებს ყურადღებას.

თემურ ბასილიას ინფორმაციით, დირექტორთა საბჭოზე იმსჯელეს საქართველოში გადასახადების აკრეფის გაუმჯობესებაზე, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირებასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისაგან მიღებული შემოსავლების ეფექტიანი მენეჯმენტის აუცილებლობაზე.

შეგახსენებთ, რომ სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური პროგრამის განხორციელება მომავალი წლიდან დაიწყება და, სავარაუდოდ, 2015 წლისათვის დასრულდება. თემურ ბასილიას განცხადებით, 2004-2005 წლებში გაწერილი პროგრამებისათვის 4 მილიონი ლარი გამოიყოფა. თანხის ნაწილს სახელმწიფო ბიუჯეტი გაიღებს, ხოლო ნაწილს – საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები.

თემურ ბასილიას თქმით, დაფინანსებაში გარკვეული დეფიციტი არსებობს, რომლის შესავსებადაც საერთაშორისო დონორებთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის დაძლევის პროგრამამ რამდენიმე კვირის წინათ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერაც მოიპოვა.

ამასთან, როგორც "24 საათი" უკვე წერდა, დეკემბრის დასაწყისში, ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართება, რომელიც საქართველოს დახმარების სტრატეგიის დოკუმენტს განიხილავს.

თემურ ბასილიას განცხადებით, დოკუმენტი უკვე მომზადებულია და მას, სავარაუდოდ, დეკემბერში დაამტკიცებენ. მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს დახმარების სტრატეგია ქვეყანაში ტურიზმის განვითარების და ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობას ითვალისწინებს. ჯერჯერობით, უცნობია თანხის რაოდენობა, რომელსაც მსოფლიო ბანკი გამოყოფს.

24 საათი

მოკლედ

სუფსის ტერმინალი კვლავ დაუცველია

შესაძლოა, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის კონტროლის გარეშე დარჩენილ სუფსის ტერმინალს ვერც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია დაეხმაროს. დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოდან კორპორაციაში გაგზავნილი წერილი, რომელშიც სამმართველო დაცვის განხორციელებისთვის აუცილებელი საწვავის გამოყოფასა და ელექტროენერგიის დავალიანების გადახდაში დახმარებას ითხოვს, გიორგი ჭანტურიას უწყებიდან განსახილველად გადაგზავნეს საერთაშორისო ნავთობკომპანია "ბი-პი"-ში. ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში აცხადებენ, რომ ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილება "ბი-პიმ" უნდა მიიღოს, თუმცა, შესაძლოა, მისმა წარმომადგენლებმა არათუ დახმარებაზე, თავად წერილის განხილვაზეც კი უარი თქვან, რადგან სამთავრობათშორისი ხელშეკრულების მიხედვით, ნავთობსადენის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამსახურს ბოლო ორი თვეა, საწვავი არ მიუღია, დენი კი 2 ნოემბრის შემდეგ, დავალიანების გადაუხდელობის გამო შეუწყდათ. მათი კუთვნილი ტექნიკა მთლიანად პარალიზებულია და ტერმინალის კონტროლი მხოლოდ ვიზუალურად, ჭოგრიტებით ხორციელდება. **მედია-ნიუსი**

"მწვანეები" გენმოდიფიცირებული სიმინდის წინააღმდეგ

სავაჭრო ომი აშშ-სა და ევროპას შორის კვლავ გრძელდება. "საქართველოს მწვანეთა მოძრაობის" მიერ ორგანიზებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საწინააღმდეგო კამპანიის ხელმძღვანელმა გიორგი მაღრაძემ განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ევროპის ქვეყნებში გენმოდიფიცირებული ტკბილი სიმინდის (Bt11) შეტანის შესახებ. მაღრაძის თქმით, ევროკომისია ამის გაკეთებას "ევროპაში გენმოდიფიცირებული კულტურების რეგულირების შესახებ" ახალი კანონის მიღებამდე ცდილობს, რაც ნიშნავს, რომ ევროპა აშშ-ს ზეწოლას ვერ უმკლავდება. როგორც მაღრაძე ამბობს, ევროკომისიის გადაწყვეტილება საფრთხეს უქმნის განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის კი საქართველოს. საქართველოში არ არსებობს კანონი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტისა და კულტივაციის რეგულირებისათვის. მსოფლიო გარემოსდაცვითი ქსელი "დედამიწის მეგობრები", რომლის წევრები საქართველოს "მწვანეებიც" არიან, წინ აღუდგნენ ევროკომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და ევროპაში გენმოდიფიცირებული სიმინდის შეტანას აპროტესტებენ. **მედია-ნიუსი**

"წითელ ხიდზე" ახალი საბაჟო-გამშვები პუნქტი აშენდება

აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საბაჟო-გამშვები პუნქტის - "წითელი ხიდის" მშენებლობა, სავარაუდოდ, დეკემბრის ბოლოს დაიწყება და მომავალ წელს დასრულდება. სამუშაოებს, რომელიც 2 მილიონ 100 ათასი დოლარი დაჯდება, ტენდერში გამარჯვებული კომპანია "ინჟმშენი" ჩაატარებს და ამერიკის მთავრობა დააფინანსებს. დაგეგმილია "წითელი ხიდის", ყაზბეგისა და სადახლოს საბაჟო-გამშვები პუნქტების მშენებლობა.

საბაჟო დეპარტამენტის კუთვნილ ორსართულიან საბაჟო-გამშვებ პუნქტში, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე აშენდება, მესაზღვრეები და მებაჟეები ერთად იმუშავებენ. აქ მსუბუქი ავტომანქანებისთვის ორი ზოლი გამოიყოფა. ცალკე ხაზები ექნებათ ავტობუსებსა და მსხვილგაბარიტიან მანქანებს. საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ მგზავრები საკუთარ ავტომანქანებს ვესტიბიულში დაელოდებიან. შენობაში და გარეთ ვიდეოკონტროლი და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა დამონტაჟდება. პირველ სართულზე საპასპორტო და საბაჟო კონტროლის სამსახურები განლაგდებიან, მეორეზე კი განთავსდება დასასვენებელი ოთახი, საძინებელი 10 კაცზე და სასადილო 16 კაცზე. **ინტერ-პრესი**

ხმის ჩამწერ კომპანიებს გაერთიანება სურთ

გერმანული ხმის ჩამწერი კომპანია "ბი-ემ-ჯი" გაერთიანებას გეგმავს "სონი მიუზიქთან". ახალი კომპანიის დირექტორთა საბჭოს "ბი-ემ-ჯის" ამჟამინდელი უფროსი როლფ შმიდტ-ჰოლცი უხელმძღვანელებს, ხოლო მისი პრეზიდენტი გახდება "სონი მიუზიქის" ახლანდელი ხელმძღვანელი ენდრიუ ლექი. გაერთიანების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებენ ასევე ბრიტანული "ემი" და ამერიკული "უორნერ მიუზიქიც".

ტენდენციის მიზეზად ანალიტიკოსები ასახელებენ მეკობრეობისა და არალეგალური მუსიკალური ინდუსტრიის განვითარების მზარდ ტემპებს, რასაც ინტერნეტის საშუალებით არალეგალური მუსიკალური ფაილების მიმოცვლამ დიდად შეუწყო ხელი. მიუხედავად ამისა, სავარაუდოდ, ევროკავშირისა და აშშ-ის ანტიმონოპოლიური უწყებები ორიდან მხოლოდ ერთ გარიგებას დაუშვებენ. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ეს იქნება "ბი-ემ-ჯი" – "სონი მიუზიქის" შერწყმა, რადგან ამ ორი კომპანიის შეერთებით წარმოქმნილი კომპანია მსოფლიო მუსიკალურ ინდუსტრიაში სიდიდით მეორე იქნება და გაყიდვების მოცულობით ამჟამინდელი ლიდერის - "უნივერსალ მიუზიქის" დაჯაბნა გაუჭირდება.

"ეარბასის" შემოსავლებმა მკვეთრად იკლო

ევროპულმა აეროკოსმოსურმა კონცერნმა EADS შემოსავლების მკვეთრი შემცირების თაობაზე განაცხადა. შემოსავლების კლება "ეარბასის" წარმოების შემცირებითა და კოსმოსურ დარგში შექმნილი რიგი პრობლემებითაა განპირობებული. მიუხედავად ამისა, "ეარბასი" იმედოვნებს, რომ შარშანდელივით 300 თვითმფრინავის აგებისა და, რაც მთავარია, გაყიდვის შემთხვევაში კონცერნი ამერიკულ "ბოინგს" მთელი 30-წლიანი კონკურენციის მანძილზე პირველად გაუსწრებს.

აზერბაიჯანს სსფ-ს მისია სტუმრობს

ამ დღეებში მსოფლიო სავალუტო ფონდის მისიის წარმომადგენლები აზერბაიჯანის ხელისუფლებას ხვდებოდნენ. შეხვედრის დროს განსახილველ საკითხებს შორის ერთ-ერთი პირველი იყო მოგების გადასახადზე დიფერენცირებული განაკვეთი. ამის შესახებ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ავეზ ალეკპეროვმა განუცხადა. მისი თქმით, ფონდის წარმომადგენლებმა მოლაპარაკების დროს მკაცრი პოზიცია დაიკავეს, რის გამოც აზერბაიჯანი აუცილებლად გაითავლისწინებს ფონდის რეკომენდაციას და უახლოეს მომავალში მოგების გადასახადის უნიფიცირებას მოახდენს. უფრო მეტიც - მინისტრის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მიიღოს გადაწყვეტილება და კომპენსაციის სახით მოგების გადასახადი რამდენიმე რეგიონში მნიშვნელოვნად შეამციროს. 2004 წლის ბიუჯეტში ის 24-25 პროცენტამდეა შემცირებული. სავალუტო ფონდის კიდევ ერთი მოთხოვნა ეხება აზერბაიჯანის კომერციული ბანკისთვის - "ბოსტ-ბანკ აზერბაიჯანისთვის" ივლისში აღებული კრედიტის უკან დაბრუნების უზრუნველყოფას. კრედიტის საერთო ოდენობა 100 მილიარდი მანეთით განისაზღვრა. ამ საკითხს აზერბაიჯანის ცენტრალური ხელისუფლება ფონდის მისიის ვიზიტამდეც აქტიურად განიხილავდა, თუმცა ვალის დაბრუნების ვადისა და მექანიზმის განსაზღვრა დღემდე ვერ მოხერხდა. სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტის იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც იმპორტირებული პროდუქციის დამატებითი ღირებულების გადასახადიდან ერთი წლით გათავისუფლებას ეხება. მინისტრთა კაბინეტმა ეს გადაწყვეტილება 2003 წლის 1 ოქტომბერს მიიღო.

დაინერგება თუ არა საქართველოში პლასტიკური ბარათები

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოში დღეისათვის მიმოქცევაშია 475 მილიონი ლარის ოდენობის ნაღდი ფულის კუპიურა.

საქართველოს ეროვნულ ბანკში აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში არსებული დაბალი სახელფასო ანაზღაურებისა და სამომხმარებლო ბაზარზე ნაღდი ფულით ანგარიშსწორების გამო უფრო ხშირად ხმარებაშია დაბალი ნომინალის კუპიურები (ერთ, ორ, ხუთლარიანი). მსხვილ კუპიურებზე მოთხოვნა ნაკლებია, რადგან დოლარიზაციის მაღალი კოეფიციენტის გამო დიდი გარიგებები, ძირითადად, უცხოურ ვალუტაში ხდება. გარდა ამისა, ქართული ვალუტა ნაკლებად წარმოადგენს დაგროვების საშუალებას. სხვა საკითხია ქვეყანაში პლასტიკური ბარათებით სარგებლობის დანერგვა, რაც ყველა ცივილური და განვითარებული ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და ეკონომიკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს და, რაც მთავარია, აუცილებელი პირობაა საგადამხდელო სისტემების მოწესრიგებული მართვისათვის.

სებ-ის საგადამხდელო სისტემების სამმართველოს უფროსის ვახტანგ ქარელის განცხადებით, წინააღმდეგ შემთხვევაში საგადამხდელო მექანიზმი არ იქნება მომგებიანი, საიმედო და ეფექტური. მისი თქმით, საქართველოში დღეისათვის პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორება, შეიძლება ითქვას, საწყის სტადიაშია. საქართველოში (სხვა ქვეყნების მსგავსად) პლასტიკური ბარათების დანერგვა სერიოზულ პრობლემებს წააწყდა, რაც სხვადასხვა გარემოებებმა განაპირობეს; კერძოდ, მოსახლეობის ძირითად მასას დაბალი ხელფასების გამო არა აქვს ბარათების შეძენის საშუალება და სურვილი, ორგანიზებული სამომხმარებლო ბაზარი არ არის უზრუნველყოფილი საჭირო რესურსებით, მოსახლეობის დიდი ნაწილი პროდუქციას ყიდულობს ბაზრებსა და ბაზრობებზე, ხალხი ჯერ კიდევ არ ენდობა "საბარათო შესყიდვებს", საბარათო სისტემების დასანერგად საჭიროა ძვირადღირებული ტექნიკური საშუალებები და სხვა.

საქართველოს ბანკის ინიციატივითა და ფრანგული კომპანიის დახმარებით, 1996 წელს დაარსდა სააქციო საზოგადოება "ჯორჯიან კარდი", რომლის ძირითადი აქციონერები დღეისათვის კომერციული ბანკები და ფიზიკური პირები არიან. 1997-2002 წლებში "ჯორჯიან კარდის" მიერ გამოშვებულია 11 016 ლოკალური და 14 880 საერთაშორისო ბარათი. ამავე პერიოდში ლოკალური და საერთაშორისო ბარათებით ფულის ბრუნვის მოცულობამ 88 502 946 ლარი შეადგინა. სისტემაში ჩართულია 14 ბანკომატი. ბარათებით სარგებლობა შესაძლებელია მომსახურების 107 წერტილში (სუპერმარკეტები, რესტორნები, კაზინოები, ავიასალაროები და სხვა).

საერთაშორისო და ლოკალური პლასტიკური ბარათების მომსახურების სფეროში ფუნქციონირებს სს "გაერთიანებული საფინანსო კორპორაციაც" (UFS), რომელიც ახორციელებს საერთაშორისო ბარათების მომსახურებას საქართველოს 125-ზე მეტ საბანკო დაწესებულებასა და სავაჭრო ობიექტში, აგრეთვე აწარმოებს მომსახურების ახალ სახეებს ინტერნეტის ქსელისა და მობილური კავშირგაბმულობის გამოყენებით. ამ სერვისის მეშვეობით შესაძლებელია AES თელასის გადასახადისა და "ტელეკომის" დავალიანების გადახდა, "მაგთისა" და "ჯეოსელის" ბარათების შეძენა.

ვახტანგ ქარელის აზრით, ნებისმიერი საგადამხდელო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს საკანონმდებლო ბაზა წარმოადგენს. აქ არსებული ხარვეზები ხელს უშლის საქართველოში საგადამხდელო სისტემების სრულყოფას. რაც შეეხება პლასტიკური ბარათების უშუალო მომხმარებელს, მისივე თქმით, საქართველოს მოსახლეობა შედეგს მხოლოდ მაშინ დაინახავს, როცა თვითონ გახდება პროცესების უშუალო მონაწილე და ისარგებლებს პლასტიკური ბარათებით.

რუსული ნავთობი ისრაელზე გაივლის

ნოემბრიდან ისრაელის ნავთობსადენი აშკელონ-ეილატი რუსული ნავთობის გადაქაჩვას დაიწყებს. ეს განცხადება პრემიერ არიელ შარონის მოსკოვიდან დაბრუნების დღეს გაკეთდა.

ამ მილსადენის მეშვეობით, რომელიც ხმელთაშუა ზღვის საზღვაო პორტ აშკელონს აკავშირებს წითელ ზღვაზე განლაგებულ პორტ ეილატოსთან, შესაძლებელი გახდება სამხრეთ რუსეთიდან შორეულ აღმოსავლეთამდე ნავთობის გადაქაჩვის მარშრუტის შემცირება. ეს მარშრუტი, რუსეთის ნავთობექსპორტის თვალსაზრისით, საკმაოდ პერსპექტიულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს. AP-ის მონაცემებით, დღეს იქ რუსული ნავთობის 10 პროცენტი მიემართება.

ჯერჯერობით არ ხმაურდება შეთანხმების მასშტაბები და იმ რუსული კომპანიების სახელები, რომლებიც ისრაელის ნავთობსადენს გამოიყენებენ; მაგრამ, ერთ-ერთი რუსული ნავთობკომპანიის ანალიტიკოსის პროგნოზით, ყველაზე რეალური კანდიდატები რუსეთის სამხრეთ რეგიონებში მომუშავე კომპანიები "ლუკოილი" და "როსნეფტია".

ნავთობსადენი აშკელონ-ეილატი სამოციან წლებში ისრაელისა და ირანის საერთო ძალისხმევით აშენდა. მისი ძირითადი დანიშნულება კი ამერიკასა და ევროპაში ირანის ნავთობის ტრანსპორტირება იყო. 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ ეს მაგისტრალი მხოლოდ მცირე რაოდენობით ეგვიპტური ნავთობის სიანის კუნძულებიდან ისრაელში გადასაქაჩად გამოიყენებოდა. 230-კილომეტრიანი მაგისტრალის გამტარუნარიანობა დღე-ღამეში 180 ათასი კუბური მეტრია.



ნავთობსადენისათვის თანხების გამოყოფა გრძელდება

ნინო ნარჩემაშვილი

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) დირექტორთა საბჭომ კასპიის ნავთობისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტებისათვის ინვესტიციები ვაშინგტონში 4 ნოემბერს გამართულ შეხვედრაზე დაამტკიცა (IFC-ის მიერ პროექტებისათვის გამოყოფილი ფინანსების შესახებ "24 საათი" უკვე წერდა). პირველი პროექტის ფარგლებში თავიდან აზერბაიჯანში, კასპიის ზღვაში არსებული ნავთობის საბადოს ათვისება მოხდება. აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის პროექტებიდან მიღებული შემოსავალი კი ნავთობის სახელმწიფო ფონდში ჩაირიცხება, რომლის აუდიტსაც საერთაშორისო კომპანია "ერნსტი და იანგი" განახორციელებს. აღსანიშნავია, რომ ნავთობის ფონდის ბალანსი ამჟამად დაახლოებით 787 მილიონ დოლარს შეადგენს. მსოფლიო ბანკის ნავთობის, გაზის, წიაღისეულის მოპოვებისა და ქიმიკატების განყოფილების უფროსის რაშად ქალდანის შეფასებით, აღნიშნულ პროექტებზე მუშაობისას მოხერხდა გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის მიღწევა. მაგალითად, "ხელშეკრულებები მასპინძელ მთავრობასთან", "მთავრობათაშორისი ხელშეკრულება", "ხელშეკრულება პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ" ფართო საზოგადოებისთვის იყო ცნობილი, რაც პირველი შემთხვევაა ასეთი სახის პროექტებთან მიმართებაში. რაც შეეხება ინფორმაციას აზერბაიჯანის მიერ ნავთობიდან მიღებული შემოსავლების შესახებ, მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ "აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო ფონდის" შექმნაში გაწეული დახმარების გამო იგი ნაწილობრივ გამჭვირვალე იქნება. მისივე თქმით, პროექტების ფარგლებში ხორციელდება მონიტორინგის ცხრა საფეხური, რომლის შედეგადაც ფართო საზოგადოების სამსჯავროზე შვიდი სხვადასხვა ანგარიში იქნება წარმოდგენილი. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში აცხადებენ, რომ ასეთი სახის მონიტორინგი და გამჭვირვალობა უპრეცედენტო მოვლენაა და შიდა მონიტორინგის გაწონასწორების საშუალებას იძლევა.

ორი სიტყვით

თბილისი. 4 ნოემბერს ავარიულად გამორთული მე-9 ენერგობლოკის ამუშავება ორშაბათისათვის გადაიდო. როგორც "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ვალერი ფანცულაიამ განაცხადა, იმის გამო, რომ დამატებითი სარემონტო სამუშაოები გახდა საჭირო, ბლოკის ამუშავება გადაიდო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ, დილით, მოსკოვის პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ოთხელის ქუჩა N4-ში აფეთქება მოხდა. აფეთქება მოსკოვის პროსპექტზე გამავალი გაზსადენიდან ბუნებრივი აირის გამოჟონვამ გამოიწვია. აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა იქვე ახლოს კედელი ჩამოინგრა. აფეთქება სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის დროს მოხდა, თუმცა არც "თბილგაზის" თანამშრომლები და არც შემთხვევითი გამვლელები აფეთქებისას არ დაზარალებულან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორში გადამამუშავებელი საწარმოების ხელშემწყობი პროექტის (SAVE) მეორე ფაზის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის ძირითადი მიზანია ქართული სასურსათო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და საერთაშორისო ბაზარზე მისთვის ადგილის დამკვიდრება. დაგეგმილია აგრეთვე წაბლის შემგროვებელთა ასოციაციის დაფუძნება, საწყობებისა და გადამამუშავებელი ცენტრების შექმნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელის გიორგი ქორქაშვილის ინფორმაციით, რაიონში გზების სრულყოფილად შეკეთებისთვის მილიონი ლარია საჭირო, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი მხოლოდ 8.000 ლარი დაიხარჯა. გზის ყველაზე რთულ მონაკვეთს — ნავთლუღის ბაზრიდან მოსკოვის გამზირამდე — ქორქაშვილის თქმით, დაახლოებით 100.000 ლარი სჭირდება. გარდა ამისა, სამგორის რაიონში სამი ათასმდე ავარიული სახლია, გამგეობის ბიუჯეტით კი წელს მხოლოდ ოცამდე სახლის შეკეთებაა შესაძლებელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კახეთის რაიონებში საშემოდგომო ხვნა-თესვის სამუშაოები გვიანდება. როგორც სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის საკრებულოში განაცხადეს, ამ სოფელში და მთელ რაიონში მოხნული და დათესილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 20-25 პროცენტი. ამ სამუშაოების ჩატარება დიზელის საწვავის სიძვირემ, აგრეთვე არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდში შექმნილმა დაძაბულმა სიტუაციამ შეაფერხა. ორი წელია, სიღნაღში მოსავალს წყალდიდობები და სეტყვა ანადგურებს. მიუხედავად იმისა, რომ ფერმერებს მიწის გადასახადისგან გათავისუფლება კანონით ეკუთვნით, ხელისუფლება მათ ამ შეღავათს არ აძლევს. მძიმე სიტუაციაა დედოფლისწყაროს რაიონშიც. იქ არსებული 40 ათასი ჰექტარი სავარგულიდან დღეისთვის მხოლოდ 20 ათასია მოხნული და დათესილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 14 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან (ვმო) თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის მე-13 სხდომა გაიმართება. კომისიის სხდომაზე, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი უხელმძღვანელებს, განიხილება ვმო-ში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებთან მიმდინარე მოლაპარაკებათა დეტალები. **ინტერ-პრესი**

პრივილეგია ProCredit Bank

პრივილეგიის პროგრამის ბანკის ყველა ფილიალსა და ბანკომატებში 2003 წლის 15 დეკემბრამდე

ProCredit Bank

პრივილეგიის ბანკს

მოაქვს შუქი!

ყოველი 21-ე, ჩამთვლის 15 დეკემბრამდე ბახსნის დეპოზიტს პრივილეგიის ბანკში (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქარად მიიღებს გენერატორს. დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს

ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 20-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
central@procreditbank.ge

ქუთაისის ბანკომატი
4600 ქუთაისი
წერეთლის ქ. 4
ტელ: (995 231) 4-87-05
kutaisioutlet@procreditbank.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
ომარ ხიზანიშვილის ქ. 1
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
gldani@procreditbank.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
დ. აღმაშენებლის ქ. 23
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4
poti@procreditbank.ge

ვაკის ბანკომატი
0179 თბილისი
მცხეთის ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
vake@procreditbank.ge

ზუგდიდის ბანკომატი
2100 ზუგდიდი
თაბუკაშვილის ქ. 1
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-45-74
zugdidi@procreditbank.ge

ვარკეთილის ფილიალი
0182 თბილისი
კოკეხეთის ქ. მე-2 ჩიხი
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
varketili@procreditbank.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
ღება ასათიანის ქ. 18
ტელ: (995 222) 7-24-20
ფაქსი: (995 222) 7-19-54
batumi@procreditbank.ge

საბურთალოს ბანკომატი
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
saburtalo@procreditbank.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 270) 8-16-09, 7-30-64
ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58
gori@procreditbank.ge

ბათუმის ბანკომატი
6000 ბათუმი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 222) 7-74-19
ფაქსი: (995 222) 7-74-19
batumioutlet@procreditbank.ge

სტადიონის ბანკომატი
0112 თბილისი
თავდადებულ მეუღლის 3/32
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
stationsquare@procreditbank.ge

მარნეულის ბანკომატი
3000 მარნეული
როტოყაშვილის ქ. 3
ტელ: (995 257) 8-16-00; 8-16-50
ფაქსი: (995 32) 94-31-36
marneuli@procreditbank.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
kutaisi@procreditbank.ge

ჯვრის ბანკომატი
0151 ჯვრის გზატკეცილი 112
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
lilo@procreditbank.ge

ახალციხის ბანკომატი
6801 ქობულეთი
დ. აღმაშენებლის ქ. 2
ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439
kobuleti@procreditbank.ge

ნაცნობი სურათი

მავრიტანიაში საპრეზიდენტო არჩევნები დასრულებული არც იყო, რომ ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ ისინი მასობრივად და თავხედურად გაყალბდა.

პრეზიდენტ მააუია ულდ საიდ აჰმედ ტაიას მთავარმა ოპონენტმა მოჰამედ ხუნა ულდ ჰაიდალამ განაცხადა, რომ ხელისუფლებამ მასობრივად ჩაყარა ბიულეტები საარჩევნო ურნებში, გამოიყენა ამომრჩევლის ყალბი ბარათები და მასობრივად ამოიღო სიიდან ოპოზიციის მომხრეები.

თავად ხმის მიცემის პროცესმა მშვიდობიანად ჩაიარა. ჩადრებში გამოწყობილი ქალები და ფარფარა კაბებში ჩაცმული კაცები მშვიდად იდგნენ საარჩევნო უბნების წინ წარმოქმნილ რიგებში. თუმცა, არჩევნების წინ დააპატიმრეს ყოფილი სამხედრო ლიდერი ჰაიდალა, რომელსაც სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში დასდეს ბრალი.

მავრიტანიაში, რომელმაც საფრანგეთისაგან დამოუკიდებლობა 1960 წელს მოიპოვა, ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემა ჯერ არ მომხდარა.

ჰაიდალა რამდენიმე საათში გამოუშვეს და მისმა ბანაკმა პირობა დადო, რომ თუ კენჭისყრა სამართლიანად ჩაივლიდა, იგი არჩევნების შედეგებს აღიარებდა

"არჩევნების გაყალბება და მრავალრიცხოვანი დარღვევები აშკარაა. ამას არც არავინ მალავს. ეს ყველაფერი დღისით, მზისით ხდება, - განაცხადა ჰაიდალას მოადგილემ, შეიხ ულდ ჰორმამ, – რაკი გაყალბებამ ასეთი მასშტაბები მიიღო, არჩევნების შედეგებს ჩვენ არ ვცნობთ".

პრეზიდენტ ტაიასათვის, რომელიც მავრიტანიას 19 წელია მართავს, ეს არჩევნები ყველაზე სერიოზული გამოცდაა. მას ხუთი კონკურენტი ჰყავს. ექსპერტების პროგნოზით, არჩევნებში მეორე ტური იყო მოსალოდნელი.

ნაცრისფერ პიჯაკსა და საფირმო მზის სათვალეში გამოწყობილმა ტაიამ ხმის მიცემის დროს განაცხადა, რომ შესაძლო გაყალბებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ეჭვი უსაფუძვლოა. "საარჩევნო ურნები გამჭვირვალეა, ამომრჩეველთა სია ინტერნეტშია განთავსებული. ამომრჩევლის ბარათის ფალსიფიცირება შეუძლებელია."

ტაია ქვეყანას 1984 წლიდან მოყოლებული რკინის მუშტით მართავს. ბოლო დროს მის მიერ გადადგმულმა დიპლომატიურმა ნაბიჯებმა მოსახლეობის დიდი ნაწილი გაანაწყენა. არაბულმა ქვეყანამ, რომელიც თავიდან სადამ ჰუსეინს უჭერდა მხარს, მოულოდნელად შეიცვალა საგარეო პოლიტიკა და მჭიდრო კავშირი დაამყარა ისრაელთან და აშშ-სთან.

ხუთი თვის წინ სამხედროებმა ტაიას დამხობა სცადეს, მაგრამ მათი ამბოხება სწრაფად ჩაახშეს. პრეზიდენტმა გადატრიალების ორგანიზებაში ისლამისტ რადიკალებს დასდო ბრალი.

ქვეყანაში სულ 1,1 მილიონი ამომრჩეველია. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ნაშუადღევისათვის მათ 40-50 პროცენტს ხმა უკვე მიცემული ჰქონდა

სამინისტროს განცხადებით, მან გამოიძია გაყალბების ყველა ბრალდება, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა.

ოპოზიცია ხალხის მოტყუებას და ქუჩაში გამოყვანას ცდილობს, – განაცხადა პრეზიდენტის წარმომადგენელმა ჰამუდ ულდ მუჰამედმა გაყალბების ბრალდებების საპასუხოდ.

ტაია თავის წინასაარჩევნო კამპანიაში ხალხს კეთილდღეობას ჰპირდებოდა. იმის იმედი, რომ მავრიტანიის სანაპიროებთან აღმოჩენილი ნავთობი ქვეყანას განვითარებას მოუტანს, მართლაც არსებობს.

"ჩვენ გვჭირდება ცვლილებები და უკეთესი მომავალი. ჩვენ ბევრი პრობლემები გვაქვს: სიღატაკე, უმუშევრობა, კორუფცია და რესურსების არასწორი მართვა," – ამბობს 18 წლის მარიან მინტ აიჩა.

ჰაიდალა ხელისუფლებაში პირველად 1980 წელს, გადატრიალების გზით მოვიდა. მას ახლა ფართო კოალიცია უჭერს მხარს: ისლამისტებით დაწყებული და ლიბერალებით დამთავრებული.

არჩევნების შედეგები უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

როიტერი

ერაყელმა პარტიზანებმა ამჯერად „შავი ქორი" ჩამოაგდეს

გუშინ ერაყის ჩრდილოეთში, ქალაქ თიქრითთან, კატასტროფა განიცადა ამერიკულმა სამხედრო ვერტმფრენმა "შავი ქორი." ერაყში განთავსებული, აშშ-ს სარდლობის ცნობით, ვერტმფრენში მსხდომი ექვსი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. სპეციალისტები ამჟამად ცდილობენ, გაარკვიონ, თუ რა გახდა ვერტმფრენის დაღუპვის მიზეზი, თუმცა ვარაუდობენ, რომ ის ერაყელმა პარტიზანებმა ჩამოაგდეს. ვერტმფრენი "შავი ქორი" მდინარე ტიგროსის ნაპირებთან, ადგილობრივი დროით, 9 საათზე ჩამოვარდა. ვერტმფრენის ბორტზე, სავარაუდოდ, 12 ამერიკელი ჯარისკაცი და ეკიპაჟის 4 წევრი იმყოფებოდა.

როგორც იუწყებიან, ვერტმფრენმა კატასტროფა მას შემდეგ განიცადა, რაც კვირას, დაღუპულ ამერიკელთა პატივსაცემად, ხსოვნის მემორიალი გაიხსნა.

საერთაშორისო სააგენტო "ასოშეიტედ პრესი", აშშ-ს არმიის წარმომადგენლებზე დაყრდნობით, იუწყება, რომ ვერტმფრენის ეკიპაჟი კატასტროფამდე რამდენიმე წუთით ადრე სარაკეტო თავდასხმის შესახებ გააფრთხილეს. ერაყელთა მიერ გაშვებული საზენიტო რაკეტის გასანადგურებლად ამერიკელებმა სითბური რაკეტა ისროლეს, თუმცა ამ აქციას წარმატება არ მოჰყოლია. როგორც აღვნიშნეთ, ეს "ასოშეიტედ პრესის" ინფორმაციაა და მას ამერიკელი სამხედროები, ჯერჯერობით, არ ადასტურებენ.

როგორც ცნობილია, ქალაქი თიქრითი ერაყის დამხობილი პრეზიდენტის, სადამ ჰუსეინის სამშობლოა. შესაბამისად, აქ ანტიამერიკული განწყობა საკმაოდ ძლიერია.

REUTERS

"შავი ქორის" ნამსხვრევები.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ერაყელმა პარტიზანებმა დარტყმები უკვე აშშ-ს საჰაერო ძალებზე გააძლიერეს. გასულ შაბათს, ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად, ერაყელებმა "Chinook"–ის ტიპის ამერიკული სამხედრო ვერტმფრენი ჩამოაგდეს, რის შედეგადაც ერთი ამერიკელი დაიღუპა, ხოლო ექვსი კი დაიჭრა.

ამასთანავე, აშშ-ს თავდაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ახალი წლიდან 85 ათასი ამერიკელი პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ერთდროულად ამდენი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

გუშინდელი დღე ერაყში მხოლოდ ამ ინციდენტით არ დასრულებულა. ქალაქ მოსულთან აშშ-ს სამხედრო კოლონა ერაყელი პარტიზანების ალყაში მოექცა, რის შედეგადაც ერთი ამერიკელი დაიღუპა, ხოლო ექვსი კი დაიჭრა.

ამასთანავე, აშშ-ს თავდაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ახალი წლიდან 85 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი ერაყში განლაგებულ გარკვეული რაოდენობის სამხედრო კონტიგენტს ჩაენაცვლება. თუმცა, აშშ-ს თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის განცხადებით, თუ ერაყში, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ვითარება გაუმჯობესდა, მომავალი წლიდან იქ არსებული სამხედრო კონტიგენტი შემცირდება. ამასთან ერთად, რამსფელდის თქმით, აუცილებელია, ამ დროისათვის მომზადდეს ერაყის არმია და ერაყის უშიშროების დაცვაზე თავად ერაყელებმა იფიქრონ.

აზერბაიჯანის მედია - არჩევნების პირველი მსხვერპლი

შაჰინ რჟაევი,
ვაფა ფარაჯოვა
IWPR

აზერბაიჯანის ახლადარჩეული პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი დამოუკიდებელ პრესასთან ანგარიშსწორება იყო. წამყვანი ოპოზიციური გამოცემების რედაქტორები დაპატიმრებულნი არიან, მათ გაზეთებს კი დახურვა ელის.

"იენი მუსავატის" რედაქტორი, რაუფ არიფოღლუ 27 ოქტომბერს აიყვანეს და სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. მას 16 ოქტომბერს აზერბაიჯანში არეულობის გამოწვევის მცდელობა ედება ბრალად.

15-ათასიანი ტირაჟით "იენი მუსავატი" აზერბაიჯანში ყველაზე დიდი გაზეთია. მისი რედაქტორი კი, ამავე დროს, პარტიის ლიდერის, ისა გამბარის მოადგილეც არის.

"რეჟიმმა გადაწყვიტა დასაჯოს, უფრო სწორად, შური იძიოს რაუფ არიფოღლუზე, რომელიც თავისი გაზეთის ფურცლებზე ააშკარავებდა მთავრობის სიხარბესა და კორუმპირებულობას," – ამბობს არიფოღლუს მოადგილე, აბასოღლუ.

არიფოღლუ ბაილოვოს ციხეში, მძიმე პირობებში იმყოფება. ადვოკატის თქმით, მისი კლიენტი ცუდად გრძნობს თავს. მით უფრო, რომ მას, როგორც მართლმორწმუნე მუსულმანს, რამადანის დღეებში მხოლოდ ღამით შეუძლია ჭამა, არადა საკვებს მხოლოდ დღისით აძლევენ, ისევე როგორც ყველა პატიმარს

არიფოღლუს დაკავება პირველად არჩევნების დასრულებისთანავე სცადეს. სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული რამდენიმე ადამიანი მის მანქანაში ძალით ჩასმას ცდილობდა. იგი გაიქცა და ნორვეგიის საელჩოს შეაფარა თავი. დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში იგი ოთხი დღე იმყოფებოდა და მხოლოდ მას შემდეგ გამოვიდა, რაც ელჩმა სტეინარ გილმა ხელისუფლებისგან მიიღო გარანტია, რომ არიფოღლუს კანონის სრული დაცვით მოექცეოდნენ.

"ვფიქრობ, არიფოღლუს ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ დაპატიმრების ღირსი ყოფილიყო. მე მარწმუნებდნენ, რომ მის წინააღმდეგ არავითარი პრეტენზიები არ ჰქონდათ," – განუცხადა ელჩმა ჟურნალისტებს.

ხელისუფლების მომხრე მედიამ და დეპუტატებმა ისლამისტი რედაქტორის შეფარებისათვის გილი ანათემას გადასცეს. 5 ნოემბერს ალიევის კამპანიის ერთ-ერთმა მენეჯერმა სიაუშ ნოვრუზოვმა, "დამნაშავის შეფარების" გამო, პარლამენტს მისი "პერსონა ნონ გრატად" გამოცხადება მოსთხოვა

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ვითარების განმუხტვა სცადა და განაცხადა, რომ ნოვრუზოვი მხოლოდ თავის პირად აზრს გამოთქვამდა. გილმა კი განაცხადა, რომ იგი თავისი ქვეყნის მთავრობის თანხმობით მოქმედებდა. ნორვეგიის სახელმწიფო კომპანია "სტატოილი" ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია აზერბაიჯანში.

საზოგადოდ, ჟურნალისტები აზერბაიჯანში ამოვარდნილი პოლიტიკური ქარიშხლის შუაგულში მოექცნენ. ბაქოში 16 ოქტომბერს მომხდარი გამოსვლების დროს 80 მათგანი დაშავდა, მათ შორის 20 - სერიოზულად. თუმცა, დღეისათვის საავადმყოფოებში არც ერთი მათგანი აღარ არის დარჩენილი. ყველაზე მაგრად დამოუკიდებელ და ოპოზიციურ ჟურნალისტებს მოხვდათ, თუმცა ვერც მთავრობის მომხრე ჟურნალისტები გადარჩნენ. სახელმწიფო ტელევიზიის ერთ-ერთი კორესპონდენტი ოპოზიციის მხარდამჭერებმა სასტიკად სცემეს.

კრიტიკოსები ამბობენ, რომ ზღვარი, რომელიც პოლიტიკასა და ჟურნალისტიკას შორის გადის, აზერბაიჯანში ძალზე ბუნდოვანია. დაზარალებულ ჟურნალისტთა უმრავლესობა, ამავდროულად, ოპოზიციის აქტივისტებიც არიან, რომლებიც არა მხოლოდ წერდნენ დემონსტრაციის შესახებ, არამედ მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდებებსაც ხმამაღლა გაჰყვიროდნენ. "დაზარალებული ჟურნალისტების დიდი ნაწილი თავის პროფესიულ მოვალეობას კი არ ასრულებდა, არამედ ყველაზე რადიკალური ოპოზიციის რიგებში იდგა," – ირწმუნება მილი-მეჯლისის დეპუტატი მუბარიზ გურბანლი.

არჩევნების შემდეგ, ოპოზიციურ პრესას სერიოზული პრობლემა შეექმნა სასამართლოებშიც. 5 ნოემბერს ბაქოს სასამართლომ ციღისწამებისათვის კომპანია "აზერსანის" სასარგებლოდ "იენი მუსავატს" 3000 დოლარის გადახდა დააკისრა. აბასოღლუს თქმით, პროცესზე გაზეთის მხრიდან არავინ ყოფილა, რაც კანონის დარღვევა იყო. გაზეთი ჯარიმის გადახდას არ აპირებს.

ვერც მეორე ოპოზიციური პარტიის, სახალხო ფრონტის გაზეთი აზადლიგი გადაურჩა ხელისუფლების რისხვას. პროსახელისუფლებო ტელეარხი "ა-ენ-ეს" მას 5000 დოლარს ედავება. გაზეთის საბანკო ანგარიშები უკვე გაყინეს.

"აზადლიგის" რედაქტორის ზახიდოვის განცხადებით, "ა-ენ-ეს"-ის სარჩელი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ნაწილია.

5 ნოემბერს ხელისუფლების მომხრე კიდევ ერთი დეპუტატი, გუდრათ ჰასანგულიევი გამოვიდა და მოითხოვა, რომ "აზადლიგი" გააძევონ თავისი შენობიდან, რომელიც "კულტურულ ძეგლს" წარმოადგენს.

"ა-ენ-ეს"-მა უჩივლა "იენი მუსავატსაც" და რუსულენოვან "ნოვოე ვრემიასაც", ამ გაზეთებში გამოქვეყნებული შეურაცხმყოფელი სტატიების გამო.

ოპოზიციური გაზეთები ჯერ კიდევ გამოდის, მათი ტირაჟი გაიზარდა კიდეც. თუმცა, უკვე გაჩნდა ტენდენცია - სახელმწიფოს კუთვნილი გამომცემლობები მათგან ძველი ვალების დაბრუნებას ითხოვენ და ზოგ შემთხვევაში მათ დაბეჭდვაზე უარს აცხადებენ. ბაქოს მეტროში ოპოზიციური გაზეთების გაყიდვა აიკრძალა.

ამ გაზეთებს ახლა პატარა გამომცემლობები ბეჭდავენ და კერძო პირები ყიდიან.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სახელმწიფო გამომცემლობებმა შეწყვიტეს კონტრაქტები ოპოზიციურ გამოცემებთან, "რადგან ისინი ძალადობისაკენ მოწოდებებს შეიცავდნენ".

"ზოგიერთ გაზეთსა და ჟურნალისტს ჰგონია, რომ კანონზე მაღლა დგას, მაგრამ კანონის წინაშე ყველა თანასწორია, ჟურნალისტებიც კი," – აცხადებს აზერბაიჯანული კანცელარიის წარმომადგენელი.

ვითარება ცოტა შერბილდა ილჰამ ალიევის ინაუგურაციის შემდეგ. ახალმა პრეზიდენტმა ოპოზიციურ მედიას დიალოგისაკენ მოუწოდა. ამის შემდეგ სახელმწიფო მედიიდან ოპოზიციურის წინააღმდეგ თავდასხმებმაც იკლო.

ორი სიტყვით

თურქეთი. თურქეთის ხელისუფლებამ უარი თქვა თავის გეგმაზე ერაყში შეიარაღებული კონტიგენტის გაგზავნასთან დაკავშირებით. ამის შესახებ ოფიციალური ანკარას წარმომადგენლმა სააგენტო "ბიბისის" განუცხადა. როგორც ცნობილია, გასულ თვეს თურქეთის პარლამენტმა ხმა მისცა მთავრობის გადაწყვეტილებას ერაყში თურქეთის არმიის დანაყოფების გაგზავნის შესახებ, მას შემდეგ, რაც ასეთი თხოვნით ანკარას ოფიციალურმა ვაშინგტონმა მიმართა. ამაზე ერაყის მმართველმა საბჭომ მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოხატა. ამასთანავე, ერაყის ჩრდილოეთში კომპაქტურად დასახლებულმა ქურთულმა მოსახლეობამ გამოთქვა შიში, რომ ერაყში თურქეთის არმიის შესვლას სისხლისღვრის ესკალაცია მოჰყვებოდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი, თურქეთმა თავის გეგმაზე უარი განაცხადა.

■ ■ ■

პალესტინა. სააგენტო "ბიბისის" ცნობით, ისრაელის სამხედრო მოსამსახურეებმა ღაზას სექტორში სამი პალესტინელი მოქალაქე მოკლეს. ისრაელის წყაროების ცნობით, ებრაელმა ჯარისკაცებმა ებრაულ დასახლება ჰან-იუნისთან პალესტინელთა ჯგუფს მას შემდეგ გაუხსნეს ცეცხლი, რაც იქ შეიარაღებული პირები შენიშნეს. ზოგიერთი წყაროს ცნობით, სხვადასხვა სახის ჭრილობები ცხრა ადამიანმა მიიღო.

■ ■ ■

აშშ. აშშ-ს სენატის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა აკრძალვის გაუქმებას კუბაზე აშშ-ს მოქალაქეების გამგზავრებასთან დაკავშირებით. ეს აკრძალვა პრეზიდენტ კენედის ინიციატივით ჯერ კიდევ 1963 წელს შემოიღეს. სენატის გადაწყვეტილების მიუხედავად, დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტი ამ ინიციატივას ვეტოს დაადებს.

პუტინის ევროპული ტურნე დასრულდა

ევროკომისია კი ბერლუსკონის "იუკოსის" საქმის გამო დაუპირისპირდა

ლევან ღირსიაშვილი

იტალიაში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ოფიციალური ვიზიტი დასრულდა. როგორც ვიუწყებოდით, იტალიის პრემიერ-მინისტრთან სილვიო ბერლუსკონისთან შეხვედრის გარდა, რომში რუსეთ-ევროკავშირის სამიტიც გაიმართა. თუკი პუტინის იტალიელმა კოლეგამ და მეგობარმა ბერლუსკონიმ რუსეთის მთავარი ხელისუფალი არ გაანაწყენა და კომპანია "იუკოსის" საქმესთან დაკავშირებით კრინტიც კი არ დაძრა, ევროკავშირმა აშკარად განსხვავებული პოზიცია აირჩია. ეს მოსალოდნელიც იყო. სამიტის დასრულების შემდეგ, ევროკავშირის ხელმძღვანელობამ გაავრცელა განცხადება, სადაც გამოხატულია ევროკომისიის პოზიცია "იუკოსის" და ჩეჩნეთის მოვლენებთან დაკავშირებით. კერძოდ, ევროკომისია არ ეთანხმება სილვიო ბერლუსკონის დამთმობ პოზიციას "იუკოსის" და ჩეჩნეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. დამკვირვებლები აცხადებენ, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ევროკომისია დაუპირისპირდა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ლიდერის პოლიტიკას. როგორც ცნობილია, ევროკავშირის თავმჯდომარეს ამ ეტაპზე იტალია და, შესაბამისად, სილვიო ბერლუსკონი წარმოადგენს. **"ჩვენ არ ვიზიარებთ პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის შეხედულებებს "იუკოსის" საქმესა და ჩეჩნეთის მოვლენებთან დაკავშირებით,"** - განაცხადა გუშინ ევროკომისიის წარმომადგენელმა რეიო კემპინენმა.

მისი თქმით, რომში გამართული შეხვედრის დროს, ევროკომისიის პრეზიდენტმა რომანო პროდიმ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს განუცხადა, რომ "იუკოსის" აწ უკვე ყოფილი ხელმძღვანელის მიხაილ ხოდორკოვსკის და მისი კუთვნილი სააქციო პაკეტის დაპატიმრება ევროპის შეშფოთებას იწვევს რუსეთში არსებული უცხოური ინვესტიციების ბედის გამო.

REUTERS

ჟაკ შირაკთან შეხვედრის შემდეგ პუტინის ევროპული ტურნე დასრულდა.

ბერლუსკონისადმი ეს კრიტიკა მას შემდეგ გამოითქვა, რაც იტალიის პრემიერ-მინისტრმა სამიტის შემდეგ გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ის თავის თავზე იღებს პრეზიდენტ პუტინის ადვოკატობას და ევროპული მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ჩეჩნეთის მოვლენების და "იუკოსის" საქმის შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა. ევროკომისიის წარმომადგენელმა კემპინენმა ამ განცხადებას ბერლუსკონის "პირადი აზრი" უწოდა.

ევროკომისიის აღნიშნულმა განცხადებამ ვლადიმირ პუტინის ევროპულ ტურნეში, რასაკვირველია, ცვლილებების შეტანა ვერ შეძლო. გუშინ რუსეთის ლიდერი საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც მხოლოდ ოთხი საათი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში ის თავის ფრანგ კოლეგას ჟაკ შირაკს შეხვდა და მასთან ერთად ელისეს სასახლეში სამუშაო ვიზიტის სადილიც მოასწრო.

რუსეთის დელეგაციის ვიზიტის ოფიციალურ დღის წესრიგში ერაყის საკითხის განხილვა და ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება იყო ჩართული.

რუსეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა უკვე მოილაპარაკეს, შეიმუშაონ ერთობლივი სქემა ორ ქვეყანას შორის ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების მიზნით. ამასთანავე, ორივე მხარე გეგმავს, რომ საფრანგეთსა და რუსეთს შორის ვიზების გაცემის გამარტივებული პრაქტიკა, მომავალში, რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებშიც აპრობირებული იქნას.

რაც შეეხება რუსეთში ამჟამად ყველაზე აქტუალურ საკითხს – ხოდორკოვსკის საქმეს, როგორც ჩანს, ის დღის წესრიგში შეტანილი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის პოლიტიკური და ფინანსური წრეების წარმომადგენლები თავიანთი ხელისუფლებისგან ამ საკითხის აქტიურ განხილვას მოითხოვდნენ.

საფრანგეთში "იუკოსის" საქმე არ განუხილავთ. სამაგიეროდ, გუშინ ორივე პრეზიდენტმა ხელი მოაწერა შეთანხმებას კოსმოსური თანამშრომლობის შესახებ, რომლის პირველი შედეგიც ახლო მომავალში საფრანგეთის გვიანაზე მდებარე კურუს კოსმოდრომიდან რუსული რაკეტა "სოიუზის" გაშვება იქნება.

როგორც ჩანს, ჟაკ შირაკმა სილვიო ბერლუსკონის მიბაძა და ხოდორკოვსკიზე და ჩეჩნეთზე საუბრით კრემლიდან ჩასულ ძვირფას სტუმარს ხასიათი არ გაუფუჭა.

დემოკრა... რაო?

პირველი გვერდიდან

ხომ სიბნელეში უფრო ადვილი შესაცურებელია, როგორც ამას აქაური ნორვეგიელი ელჩი ადევნებდა თვალს, რომელსაც ჯიბის ფანარი ჰქონდა თან.

ცხადია, რომ ნაკლოვანებათა ნაწილი დემოკრატიული გამოცდილების ნაკლებობასაც მიეწერება იმ ქვეყანაში, რომელსაც ქრისტესშობიდან მეოთხე საუკუნეში უკვე ჰქონდა სამეცნიერო დაწესებულებები, მაგრამ მხოლოდ ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში შეუდგა წინააღმდეგობრივ, დღემდე სისხლიანი გარჩევებით გამორჩეულ გზას დემოკრატიისაკენ. თუმცა, ბევრი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში სისტემურ, წინასწარ გააზრებულ გაყალბებასთან გვაქვს საქმე. 75 წლის პრეზიდენტის ახლო გარემოცვაში ბევრია ისეთი, ვინც ძალთა ახალი ბალანსის ჩამოყალიბებით არანაირად არაა დაინტერესებული. შევარდნაძის მიმდევრებისა და ნათესავებისაგან შემდგარ გარემოცვას, არჩევნების ამჟამად არსებული შედეგების მიხედვით, არ უნდა აშინებდეს ახალი პარლამენტი, რადგან ხმების უმრავლესობა პრეზიდენტის მომხრეთა ხელში იქნება.

არჩევნების ეს შედეგები იმავდროულად აჩვენებს, რომ პრეზიდენტის დრო დასრულდა. შევარდნაძის ბლოკს უკან მოსდევს "ნაციონალური მოძრაობის" გაერთიანება ქარიზმატული ლიდერის, მიხეილ საკაშვილის ლიდერობით. აქვს კი მას შანსი 2005 წელს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელშიც, როგორც აქამდე ცნობილია, შევარდნაძე მონაწილეობას ვერ მიიღებს? ეს ცხადი არაა. და მაინც, სააკაშვილი არის ყველაზე აქტუალური საკითხს ხოდორკოვსკის საქმეს, როგორც ჩანს, ის დღის წესრიგში შეტანილი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის პოლიტიკური და ფინანსური წრეების წარმომადგენლები თავიანთი ხელისუფლებისგან ამ საკითხის აქტიურ განხილვას მოითხოვდნენ.

საფრანგეთში "იუკოსის" საქმე არ განუხილავთ. სამაგიეროდ, გუშინ ორივე პრეზიდენტმა ხელი მოაწერა შეთანხმებას კოსმოსური თანამშრომლობის შესახებ, რომლის პირველი შედეგიც ახლო მომავალში საფრანგეთის გვიანაზე მდებარე კურუს კოსმოდრომიდან რუსული რაკეტა "სოიუზის" გაშვება იქნება.

როგორც ჩანს, ჟაკ შირაკმა სილვიო ბერლუსკონის მიბაძა და ხოდორკოვსკიზე და ჩეჩნეთზე საუბრით კრემლიდან ჩასულ ძვირფას სტუმარს ხასიათი არ გაუფუჭა.

დემოკრა... რაო?

პირველი გვერდიდან

ხომ სიბნელეში უფრო ადვილი შესაცურებელია, როგორც ამას აქაური ნორვეგიელი ელჩი ადევნებდა თვალს, რომელსაც ჯიბის ფანარი ჰქონდა თან.

ცხადია, რომ ნაკლოვანებათა ნაწილი დემოკრატიული გამოცდილების ნაკლებობასაც მიეწერება იმ ქვეყანაში, რომელსაც ქრისტესშობიდან მეოთხე საუკუნეში უკვე ჰქონდა სამეცნიერო დაწესებულებები, მაგრამ მხოლოდ ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში შეუდგა წინააღმდეგობრივ, დღემდე სისხლიანი გარჩევებით გამორჩეულ გზას დემოკრატიისაკენ. თუმცა, ბევრი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში სისტემურ, წინასწარ გააზრებულ გაყალბებასთან გვაქვს საქმე. 75 წლის პრეზიდენტის ახლო გარემოცვაში ბევრია ისეთი, ვინც ძალთა ახალი ბალანსის ჩამოყალიბებით არანაირად არაა დაინტერესებული. შევარდნაძის მიმდევრებისა და ნათესავებისაგან შემდგარ გარემოცვას, არჩევნების ამჟამად არსებული შედეგების მიხედვით, არ უნდა აშინებდეს ახალი პარლამენტი, რადგან ხმების უმრავლესობა პრეზიდენტის მომხრეთა ხელში იქნება.

არჩევნების ეს შედეგები იმავდროულად აჩვენებს, რომ პრეზიდენტის დრო დასრულდა. შევარდნაძის ბლოკს უკან მოსდევს "ნაციონალური მოძრაობის" გაერთიანება ქარიზმატული ლიდერის, მიხეილ საკაშვილის ლიდერობით. აქვს კი მას შანსი 2005 წელს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელშიც, როგორც აქამდე ცნობილია, შევარდნაძე მონაწილეობას ვერ მიიღებს? ეს ცხადი არაა. და მაინც, სააკაშვილი არის მაგალითი ახალგაზრდა პოლიტიკოსებისა, რომელთაც კორუფციასა და საქართველოში არსებულ სხვა მძიმე პრობლემებთან ბრძოლა სურთ. თუმცა, რამეს რომ მიაღწიონ, დღემდე დაქსაქსული, რეფორმებზე ორიენტირებული პარტიები უნდა გაერთიანდნენ. სამშაბათსა და ოთხშაბათს მათ ათასობით ადამიანს მოუყარეს თავი თბილისში, თავისუფლების მოედანზე. მათ არ სურთ გაჩუმდნენ იმაზე, რომ შევარდნაძე ხალხს ხმის უფლებას ართმევს. ეს უკვე თავისთავად არის ერთი ნაბიჯი დემოკრატიისაკენ.

სნსკ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენი

2003 წლის 4 ნოემბერს, ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის დირექტორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაფინანსების თაობაზე

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია აცნობებს საქართველოს მოსახლეობას, რომ მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის დირექტორთა საბჭომ, 2003 წლის 4 ნოემბერს, ვაშინგტონში, მიიღო გადაწყვეტილება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის პროექტის დაფინანსების თაობაზე.

მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის დაფინანსების შესახებ მიღებულმა ამ გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ეს პროექტი ხორციელდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ აღიარებული გარემოსდაცვითი ნორმებისა და ტექნიკური სტანდარტების სრული დაცვით, ღიად და გამჭვირვალედ. მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ დაადასტურა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, დამოუკიდებელი ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, პროექტის ინვესტორების მიერ შემუშავებული ნავთობსადენის ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და დაცვის მრავალშრიანი სისტემა სრულად უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხო ფუნქციონირებას

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის მთლიანი ღირებულება 3,6 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ნავთობსადენის პროექტისთვის თავად გამოყოფს 125 მილიონ აშშ დოლარს სესხის სახით და დამატებით მოიზიდავს 125 მილიონ აშშ დოლარს სინდიკატური სესხის სახით.

მსოფლიო ბანკმა ასევე დაამტკიცა საერთაშორისო გარემოსდაცვითი მრჩეველი კომპანია ''ბეისიპი'' (BEICIP),რომელიც დახმარებას აღმოუჩენს საქართველოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის (შაჰ-დენიზის) გაზსადენის პროექტების ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ამ პროექტების საერთაშორისო გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად განხორციელების საქმეში

2003 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს მხარემ და ბაქო-თბილისი-ერზრუმის (შაჰ-დენიზის) სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის პროექტის ინვესტორი ნავთობკომპანიების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს აღნიშნული გაზსადენიდან საქართველოსთვის შაჰ-დენიზის გაზის მოცულობების მოწოდების შესახებ. აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტების ღიად და გამჭვირვალედ განვითარების დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ზემოთაღნიშნული ხელშეკრულებების პაკეტი დღეიდან განთავსდება: საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში (გუდიაშვილის ქ.7), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში (ალექსიძის ქ.1), ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ჭავჭავაძის ქ. 1) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (კოსტავას ქ. 77), სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს ამ დოკუმენტებს.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ოფისი თბილისში
სანაპიროს ქუჩა № 4
ტელ: 92-02-46/47
ცხელი სატელეფონო ხაზი 92-02-54
ელ. ფოსტა gioc@gioc.ge

ორი სიტყვით

თბილისი. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე და მის შემდგომ პერიოდში, ქვეყანაში, 75 სამართალდარღვევის ფაქტია რეგისტრირებული. როგორც გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, რეგისტრირებული სამართალდარღვევათა ფაქტებიდან აღძრულია 48 სისხლის სამართლის საქმე. აქედან პროკურატურის სისტემაში 31 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროში - 17.

რეგისტრირებული სისხლის სამართლის საქმეებიდან ჩვიდმეტზე მიმდინარეობს წინასაგამოძიებო შემოწმება, 5 მასალაზე გამოტანილია სისხლის სამართლის არაღძრვის დადგენილება, 7 საქმეზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს მოკვლევა პირთა სისხლის სამართლის პასუხისგების განსაზღვრის თვალსაზრისით.

გენერალური პროკურატურის მონაცემებით, მიმდინარე კვირაში ოპოზიციური ძალების - "სააკაშვილი – ნაცმოძრაობის" და "ბურჯანაძე - დემოკრატების" მიერ დედაქალაქში მოწყობილ აქციებთან დაკავშირებით გენპროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე არაა აღძრული, რადგან მიცემული კვალიფიკაციის მიხედვით, საქმე უშიშროების სამინისტროს ქვემდებარეა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის №1 საპყრობილეში მყოფი პატიმარი, ყაჩაღობისათვის მსჯავრდებული, 23 წლის გიული ათარბეგაშვილი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ფულის გამოძალვის მცდელობაში ამხილეს. როგორც თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოდან აცხადებენ, პატიმარი 26 და 27 ოქტომბერს მობილური ტელეფონით სამსახურისა და საცხოვრებელი ბინის ტელეფონებზე დაუკავშირდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძეს, რომელსაც შვილიშვილის გატაცების მუქარით ფულად გამოსასყიდს სთხოვდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქურდული ტრადიციების მიმდევარი, ლანჩხუთელი 39 წლის ზაზა ლომიძე (მეტსახელად „გიჟუა") თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, ლომიძე, ორ სხვა პირთან ერთად, რკინიგზის ცენტრალური სადგურის გადასასვლელ ხიდზე თავს დაესხა 36 წლის ირმა მაისურაძეს და 42 მიხეილ ნირუაშვილს. ყაჩაღებმა ამ უკანასკნელს დანით არაერთი ჭრილობა მიაყენეს და გასტაცეს მობილური ტელეფონი და 120 ლარი. თავდამსხმელთაგან, ჯერჯერობით, მხოლოდ ლომიძე დააკავეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აფხაზეთიდან დევნილთა სარჩელი დააკმაყოფილა, რომელიც "დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის ერთ-ერთი მუხლის კონსტიტუციურობას შეეხებოდა. სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომლის მიხედვით, დევნილს საქართველოს რომელიმე რეგიონში დასახლების და რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში ეხსნებოდა დევნილის სტატუსი.

აღნიშნული სარჩელით, 23 იანვარს სასამართლოს მიმართა ოთხმა დევნილმა: ჯვანო ჯანელიძემ, ნინო უბერმა, ელეონორა ლაგვილავამ და მურთაზ თოდრიამ.

მათი განცხადებით, "დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის VI მუხლის II ნაწილის მესამე ქვეპუნქტის ნორმა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა დევნილებს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის იმ დებულებას, რომლის თანახმად, ყველა ადამიანი თანასწორი უფლებებით სარგებლობს რასის, ეროვნების, რწმენისა და საცხოვრებელი ადგილის განურჩევლად. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 41 წლის გელა მეფარიძე პოლიციელებმა ავტომანქანის გატაცების ბრალდებით მეტროსადგურ „სარაჯიშვილთან" დააკავეს.

მეფარიძის მიმართ წაყენებული ბრალდების თანახმად, მან 5 ნოემბერს მეტროსადგურ „სარაჯიშვილის" მიმდებარე ტერიტორიიდან გაიტაცა თბილისელი ლაშა შაკაიას კუთვნილი „მერსედეს-124". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინწინ საქართველოში აღირიცხა 23 დანაშაული, გახსნილია – 19. მოხდა ერთი მკვლელობის მცდელობა; გაიხსნა ხულიგნობის სამივე შემთხვევა და ყაჩაღობის ერთი შემთხვევა; მოხდა ერთი ძარცვა; ქურდობის შვიდი შემთხვევიდან გაიხსნა ოთხი; გატაცებული ერთი სატრანსპორტო საშუალება ნაპოვნია; გაიხსნა თაღლითობის ერთი შემთხვევა; ეკონომიკის სფეროში ჩადენილი ორივე დანაშაული გახსნილია; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით დაფიქსირდა 17 შემთხვევა; ამოღებულია ერთი ცეცხლსასროლი იარაღი; დაკავებულია სამი ძებნილი; არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია ორი დანაშაული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გასული დღე-ღამის განმავლობაში თბილისის პოლიციის განყოფილებებში სისხლის სამართლის ათი დანაშაულია რეგისტრირებული, მათ შორის რვა გახსნილია.

ერთი მკვლელობის მცდელობა გახსნილია, თუმცა ეჭვმიტანილი დაკავებული არ არის. გახსნილია ყაჩაღობის ერთი შემთხვევა. ოთხი ქურდობიდან ორი გაიხსნა. ტრანსპორტის გატაცების, თაღლითობის და ეკონომიკური დანაშაულის თითო შემთხვევა გახსნილია. გამოვლენილია ნარკოტიკის ორი მომხმარებელი.

■ ■ ■

თბილისი. სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტისა და სხვა შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებმა დააკავეს მკვლელობისათვის ბორჯომის შს სამმართველოს მიერ ძებნილი, 37 წლის გია მიქელაძე, რომელმაც 1991 წლის აგვისტოში, ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, ეროვნული კონფლიქტის ნიადაგზე მოკლა იქვე მცხოვრები ყარამან მაკოევი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ჩხოროწყუს რაიონის პოლიციამ დააკავა ქურდობისათვის ძებნილი, 37 წლის ჯუნერი მამულია. დაკავებისას მამულიას ჩამოართვეს ავტომატი „აკს" ერთი მჭიდითა და 30 ვაზნით. **მედია-ნიუსი**

პროკურატურამ „ჭიათურმანგანუმის" საქმეზე მორიგი საჩივარი მიიღო

ინგა ალავიძე

სერგო გოგოლაძის ადვოკატის მოთხოვნით სასამართლო პროცესი გადაიდო.

თავის დროზე გავრცელებული ინფორმაციები იმის შესახებ, რომ სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმის" ხელმძღვანელთა დაჭერებით უშიშროების სამინისტრო პოლიტიკურ შეკვეთას ასრულებს, უკვე იურიდიული დოკუმენტებითაც დასტურდება. "ჭიათურმანგანუმის" 65-ტომიანი საგამოძიებო საქმე, რომლის შექმნასაც უშიშროების სამინისტრომ წელიწადნახევარი მოანდომა, ნელ-ნელა გამოძიების მიერ დაშვებული იურიდიული ხარვეზებით ივსება.

შეგახსნებთ, რომ უშიშროების სამინისტრომ რამდენიმე თვის წინ დააპატიმრა საწარმოს რეაბილიტაციის მმართველი გოგი ლეჟავა, "ჭიათურმანგანუმის" დირექტორი საწარმოო და ტექნიკურ საკითხებში დემურ ასანიძე და ბუღალტერი სერგო გოგოლაძე.

სამივე დაკავებულს ბიუჯეტისთვის განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გადასახადების დამალვაში დასდეს ბრალი.

"ჭიათურმანგანუმში" არსებულ ფინანსურ დაღვევებთან დაკავშირებით დაიკითხა ფინანსთა მინისტრის ამჟამინდელი მოადგილე და საგადასახდო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ლევან ჩრდილელი. უშიშროების სამინისტრო მას ადანაშაულებს საწარმოში მიმდინარე ნეგატიური პროცესებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში. თუმცა, ლევან ჩრდილელს უშიშროების სამინისტროს რისხვა თავს არ დასტყდომია.

ძირითადი საქმიდან ცალკე გამოყოფილი სამტომიანი საქმე – საწარმოს რეაბილიტაციის მმართველის გოგი ლეჟავას საქმის მასალები, რომელსაც უშიშროების სამინისტრო მტკიცებულებას უწოდებს, დაახლოებით თვენახევრის წინ გენერალური პროკურორის მოადგილის ბადრი ბიწაძის დადგენილებით (№13-47-03) გაბათილებულია. მეტიც, გენერალურმა პროკურატურამ უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს მკაცრი შენიშვნები მისცა და, ფაქტობრივად, უკანონო პატიმრობაში მყოფი გოგი ლეჟავას გათავისუფლება მოითხოვა. ბადრი ბიწაძის დადგენილებაში ნათქვამი იყო ისიც, რომ "ჭიათურმანგანუმის" საქმეს, რომელიც საბოტაჟის მუხლით აღიძრა, უშიშროების სამინისტრომ არასწორი კვალიფიკაცია მისცა. თუმცა, მას შემდეგ, რაც მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე ქვეყნის პრეზიდენტმა სამართალდამცველებს "ჭიათურმანგანუმის" საქმის გამოძიების ბოლომდე მიყვანა მოსთხოვა და მკაცრადაც დატუქსა ისინი, გენერალურმა პროკურორმა მისი მოადგილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასწრაფოდ გააბათილა. სხვათა შორის, მსგავს პოლიტიკურ "შტურმში" მოჰყვა ისინის ამბოხების საქმეც. პრეზიდენტის ბრძანების შემდეგ გენერალურმა პროკურორმა დაკავებულ გვარდიელთა ბრალდებების გამაგრება დაიწყო და გამომძიებელი, რომელიც ამ საქმეს იძიებდა და რომელმაც შეწინააღმდეგება გაბედა, პოლიტიკური შეკვეთის შეუსრულებლობისთვის სხვა თანამდებობაზე გადაიყვანა.

რამდენიმე დღის წინ გენერალურ პროკურორს "ჭიათურმანგანუმის" საქმესთან დაკავშირებით მორიგი საჩივარი ჩაბარდა. მომჩივანი ამჯერად საწარმოს ბუღალტრის სერგო გოგოლაძის ადვოკატი გახლავთ. ადვოკატი გიორგი ტურაზაშვილი ითხოვს სერგო გოგოლაძის მიმართ აღძრული საქმის შეწყვეტასა და უკანონო პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის გათავისუფლებას. გიორგი ტურაზაშვილი აცხადებს, რომ უშიშროების სამინისტრომ საწარმოს ბუღალტერს ბრალი დასდო დანაშაულში (გოგი ლეჟავას მსგავსად), რომელიც არც იურიდიული და არც ფინანსური დოკუმენტაციით არ დასტურდება. მეტიც, უშიშროების სამინისტროს მტკიცება, რომ სერგო გოგოლაძემ ბიუჯეტს დიდი რაოდენობით გადასახადი - 94 ათასი ლარი დაუმალა, ამ დოკუმენტაციის მიხედვით, სხვაგვარად დასტურდება: ჭიათურის საგადასახადო სამსახურის მონაცემებით, სადავო 94 ათასი ლარი გოგოლაძემ ბიუჯეტში 30 ივლისს გადაიხადა. არადა, იგი 5 სექტემბერს ამ თანხის დამალვის ბრალდებით დააკავეს.

ადვოკატმა გიორგი ტურაზაშვილმა სარჩელით სასამართლოსაც მიმართა. გუშინ ვაკე-საბურთალოს სასამართლოში, ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესი უნდა გამართულიყო. თუმცა, ადვოკატისვე მოთხოვნით პროცესი გადაიდო. **"ჭიათურმანგანუმის" საქმესთან დაკავშირებით გუშინ კიდევ ერთი, ძალზე სერიოზული ინფორმაცია მივიღე. ეს ახალი მტკიცებულება კიდევ უფრო ამყარებს ფაქტს, რომ გოგოლაძე უკანონო პატიმრობაში იმყოფება. ამ მასალას სასამართლოს უახლოეს დღეებში წარვუდგენ,"** – აცხადებს გიორგი ტურაზაშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ მოსამართლე მის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს მიიღებს და უკანონო პატიმრობაში მყოფ საწარმოს ბუღალტერს პატიმრობიდან გაათავისუფლებს.

ბიზნესმენის მანქანის აფეთქებაში ბრალდებულის სასამართლოზე მოწმეებს კითხავენ

იქცევა თუ არა სასამართლო დარბაზი სერიოზული კომპრომატების გამომზეურების არენად

სოფიკო ჩხაიძე

სასამართლო პროცესი, რომელიც ორშაბათს უზენაეს სასამართლოში დაიწყო და არჩევნების შემდგომი ბატალიების გამო გარკვეულწილად ჩრდილში მოექცა, შესაძლოა, ხმაურიანი განცხადებებისა და კომპრომატების გამომზეურების არენად იქცეს.

უზენაესი სასამართლოს კოლეგია მოსამართლე ჯემალ ლეონიძის თავმჯდომარეობით შპს "მორკინალის" მეპატრონის ჯონი გიგანის მანქანის აფეთქებაში ბრალდებულის საქმის განხილვას შეუდგა. განსასჯელს, საბჭოთა სუკ-ის სტაჟიან თანამშრომელს, უშიშროების პოლკოვნიკს ალექსანდრე მაისურაძეს, რომელიც დაპატიმრების მომენტში ტელეკომპანია "იმედის" უსაფრთხოების სამსახურს ედგა სათავეში, განზრახ მკვლელობის მცდელობა და იარაღის უკანონოდ შენახვა ედება ბრალად.

ცნობილი ბიზნესმენისა და პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის სიძის მანქანის აფეთქებას, ამ აფეთქებაში ეჭვმიტანილად მაისურაძის მიჩნევასა და მის დაპატიმრებას თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

8 მაისს, დილით, სასტუმრო "აჭარასთან" ჯონი გიგანის კუთვნილი "ტოიოტას" მარკის "ჯიპის" აფეთქებისა და აფეთქებიდან მალევე გიგანის დაცვის წევრების მიერ ნაცემი ალექსანდრე მაისურაძისა და მისი თანმხლები ყურაშვილის სამართალდამცველ ორგანოებში წარდგენისთანავე გავრცელდა ხმები დაზარალებულ-ეჭვმიტანილს შორის საქმიანი ურთიერთობებისა და ბიზნესინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

აფეთქების დღესვე გამოძიებამ მაისურაძის მიმართ გაჩენილი ეჭვი აფეთქების ორგანიზების შესახებ სხვა მტკიცებულებებით გაამყარა და მისი ბინის ჩხრეკისას დიდძალი იარაღი ამოიღო.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისის პროკურატურაში მაისურაძის წინააღმდეგ აფეთქებისა და იარაღის შენახვის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო გიგანის დაცვის წევრების მიერ მაისურაძისა და ყურაშვილის ცემის გამო აღძრული საქმე. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებისას მიღებული დაზიანებების გამო მაისურაძემ რამდენიმე თვე საავადმყოფოში გაატარა, ყურაშვილი კი სწორედ ცემისას მიღებული სტრესიდან კარგა ხნის მანძილზე ვერ გამოერკვა, გიგანის დაცვის წევრების პასუხისმგებლობის საკითხი დღემდე არ დამდგარა. გამოძიების თქმით, ამდენი ხნის მანძილზე საქმის გაჭიანურების მიზეზი ის გახლავთ, რომ ვერ ხერხდება დაცვის წევრების მაისურაძესთან დასაპირისპირებლად მიყვანა.

გაცილებით ოპერატიული აღმოჩნდა პროკურატურა ალექსანდრე მაისურაძის წინააღმდეგ სამხილების შეგროვებისას და მისი დაპატიმრებიდან სამი თვის შემდეგ საბრალდებო დასკვნა გაამზადა. ამ საბრალდებო დასკვნაში ალექსანდრე მაისურაძე ჯონი გიგანის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულად უკვე მარტო ფიგურირებს – მასთან ერთად დაპატიმრებული ყურაშვილი გამოძიებამ დანაშაულში მონაწილეობის ირგვლივ მტკიცებულებების ვერმოპოვების გამო ზაფხულში გაათავისუფლა.

რაც შეეხება მაისურაძეს: როგორც გამოძიების მიმდინარეობისას, იგი ახლა სასამართლოზე ცდილობს საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას. მაისურაძე ირწმუნება, რომ სასტუმრო "აჭარის" მიმდებარე ტერიტორიაზე აფეთქების მომენტში შემთხვევით აღმოჩნდა და ძველი ნაცნობის – ჯონი გიგანისთვის მხოლოდ დახმარების შეთავაზება სურდა.

სხვათა შორის, გუშინდელ პროცესზე მაისურაძის მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების დეტალები ერთ-ერთმა მოწმემ - გურამ ბრეგაძემ დაადასტურა. მოწმის თქმით, იგი ავტომანქანის აფეთქებამდე იცნობდა როგორც დაზარალებულს - ჯონი გიგანს, ასევე ეჭვმიტანილს - ალექსანდრე მაისურაძესაც. გურამ ბრეგაძის განცხადებით, ავტომანქანის აფეთქების შემდეგ იგი შემთხვევის ადგილზე მივიდა, სადაც მაისურაძე ნახა. მისი ჩვენებით, ინციდენტის შემდეგ ალექსანდრე მაისურაძემ ჯონი გიგანს დახმარება შესთავაზა.

გუშინდელ პროცესზე კიდევ ორი მოწმე - ანზორ კერესელიძე და ილია გომართელი დაკითხეს. ისინი მაისურაძის ბინის ჩხრეკას ესწრებოდნენ. მათ ჩხრეკა-ამოღების ოქმებზე ხელი აქვთ მოწერილი. ორივე მათგანმა სასამართლოზე აჩვენა, რომ ალექსანდრე მაისურაძის ბინიდან ამოღებული იყო სხვადასხვა დასახელების ცეცხლსასროლი იარაღი და აღნიშნული დათვალიერების შედეგად ოქმებიც სწორად შედგა. მოწმეების დაკითხვას სასამართლო სამშაბათს გააგრძელებს.

სასამართლო, ცხადია, ჩვენების მისაცემად დაზარალებულს – ჯონი გიგანსაც გამოიძახებს. თავის დროზე გიგანი უკმაყოფილო იყო გამოძიების მიერ დადგენილი აფეთქების მოტივაციით. თბილისის პროკურატურის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეში გიგანის მკვლელობის მცდელობის მოტივად სახელდება ანგარება, კერძოდ კი, დაზარალებულ-ბრალდებულის, როგორც ბიზნესპარტნიორების, სამორინე "ოსკარის" წილებთან დაკავშირებული დაპირისპირება. თუმცა, თავის დროზე ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ჯონი გიგანმა განაცხადა, რომ მაისურაძე არასოდეს ყოფილა მისი ბიზნესპარტნიორი. მეტიც, მისი თქმით, აფეთქება არავითარ კავშირში არ არის სამორინე "ოსკართან" და უშუალოდ უკავშირდება საფეხბურთო კლუბ "დინამოს" საქმეს. იმავე ინტერვიუში გიგანმა ტელეკომპანია "იმედის" უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ალექსანდრე მაისურაძის დაჯგუფებაზეც ისაუბრა, რომლის დანაშაულებრივი ქმედებების დამადასტურებელი დოკუმენტების გამოქვეყნებას იგი სასამართლო პროცესზე აპირებდა. ძალაში რჩება თუ არა მისი მუქარა და გამოამზეურებს თუ არა იგი სერიოზულ სამხილებს სასამართლოში, ჯერჯერობით, უცნობია - ჩვენი მცდელობის მიუხედავად, გუშინ მასთან დაკავშირება ვერ შევძელით.

ჯოლოგუას ცხედრის ამოცნობაზე სამი დამოუკიდებელი ექსპერტი მუშაობს

გუშინ, სოხუმში, ტყვეთა გაცვლისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების ქართულ-აფხაზურ სახელმწიფო კომისიათა მოლაპარაკებები, ბაბუშერადან 35 ქართველი მეომრის ცხედრის გადმოსვენების შესახებ, წარმატებით დასრულდა. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების ქართული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ დობორჯგინიძე, ამ საკითხთან დაკავშირებით, სოხუმში ორი დღის განმავლობაში მართავდა მოლაპარაკებებს სეპარატისტთა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბასა და უშიშროების მინისტრ გივი აგრბასთან. მანამდე - წლეულს, ოქტომბერში, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გამართულ ქართულ-აფხაზური მაღალი დონის შეხვედრაზე ხელი მოეწერა პროტოკოლს, რომლის თანახმადაც, ცხედრების გადმოსვენება ნოემბრის შუა რიცხვებში უნდა დაწყებულიყო. როგორც ვლადიმერ დობორჯგინიძე სოხუმიდან იტყობინება, ცხედრების გადმოსვენება მომავალ კვირას დაიწყება და, სავარაუდოდ, ერთ კვირას გაგრძელდება. თბილისში ცხედრებს ექსპერტიზა ჩაუტარდებათ და იდენტიფიკაციის შემდეგ მათ დიღომში, წმინდა ნინოს სახელობის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალავენ.

რაც შეეხება კოდორის ხეობაში ორი წლის წინათ განვითარებული მოვლენების დროს აფხაზების მიერ ტყვედ აყვანილ და წლეულს სოხუმის ციხიდან გაქცეულ გერვასი ჯოლოგუას, მისი ცხედრის სამედიცინო ექსპერტიზა ჯერაც არ დასრულებულა. გერვასი ჯოლოგუა სეპარატისტებმა რამდენიმე თვის წინათ ოჩამჩირეში განხორციელებული სპეცოპერაციის დროს მოკლეს. მისი ცხედრის სამედიცინო ექსპერტიზა უკვე ერთი თვეა მიმდინარეობს, რადგან ჯოლოგუას დედა აცხადებს, რომ ცხედარი, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა ქართულ მხარეს გადასცეს, მისი შვილის არ არის. ცხედარს უკვე ჩაუტარდა დეტალური ანალიზი, მაგრამ საბოლოო დასკვნისთვის ქართული მხარე სოხუმში და ზუგდიდში დამოუკიდებლად ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის პასუხებს ელოდება. სამი დამოუკიდებელი ექსპერტის სამედიცინო ანალიზის შედარება ორ კვირაში დასრულდება. **მედია-ნიუსი**

ადვოკატები მოსამართლეებს ბრალდებას უყენებენ

ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს. საქმე ისაა, რომ მოსამართლეებს - ბიბილეიშვილს, გოგელიასა და გვენეტაძეს გუშინწინ უნდა გამოეტანათ განჩინება ორი ჩეჩენი ეროვნების მოქალაქის – ხანჩუკაევისა და მაგომედოვის საქმეზე. თუმცა, პროცესი გაურკვეველი ვადით გადაიდო. მოსამართლეებს პროცესის გადადების მიზეზი მხარეებისთვის არ გაუმჟღავნებიათ და არც მომდევნო პროცესის თარიღი დაუსახელებიათ.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ საქართველო-რუსეთის საზღვარზე დაკავებული ჩეჩნების - ხანჩუკაევისა და მაგომედოვის საქმეზე საოლქო სასამართლომ გამამართლებელი გადაწყვეტილება მიიღო. ეს გადაწყვეტილება გენერალურმა პროკურატურამ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა და მოითხოვა განსასჯელების დასჯა ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღის შეძენა-ტარებისა და საქართველოს საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევისთვის. უზენაესი სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება საბოლოო უნდა ყოფილიყო. "კონსტიტუციის 42-ე მუხლის ადვოკატები" მაგომედოვისა და ხანჩუკაევის საქმის განმხილველ სასამართლო კოლეგიას პროცესის შეგნებულად გაჭიანურების ბრალდებას უყენებენ და მოსამართლეთაგან პროცესის გადადების მიზეზის დასახელებას ითხოვენ.

24 საათი

ყაჩაღები ცხელ კვალზე დააკავეს

გუშინ ვანის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა კოპიტნარის საგუშაგოზე ნიღბებში გამოწყობილი და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ყაჩაღები დააკავეს. იმედა ძოწენიძე, ემზარ კოხრეიძე და მამუკა ინანეიშვილი თავს დაესხნენ ვანის რაიონის სოფელ შუამთაში მცხოვრებ მერაბ ჩაფიძის კუთვნილ ბენზინგასამართ სადგურს და იქ მყოფებს იარაღის მუქარითა და ძალადობით პირადი ნივთები ჩამოართვეს. ყაჩაღებმა ბენზინგასამართი სადგურიდან გაიტაცეს ფული და დიდი რაოდენობით ბენზინი. ყაჩაღობიდან ნახევარ საათში თავდამსხმელები პოლიციის ხელში აღმოჩნდნენ. ჩვენი ინფორმაციით, დაკავებულ სამივე ყაჩაღს სხვადასხვა დროს სასჯელი უკვე მოხდილი აქვს ერთი და იმავე ბრალდებით. ისინი ყაჩაღობის მუხლით არიან გასამართლებულნი.

"ყველა ქურდი და ყაჩაღი შექმნილი სიტუაციით სარგებლობს. იციან, სამართალდამცველებს ამ გართულებული არჩევნების პერიოდში მათთვის რომ არ სცალიათ და სხვა საქმით არიან დაკავებულები, ამიტომ უკან არაფერზე იხევენ. საბედნიეროდ, ამ შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავდამსხმელთა მოთხოვნა ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომლებმა მაშინვე უსიტყვოდ შეასრულეს. კოხრეიძემ, ინანეიშვილმა და ძოწენიძემ დანაშაული უკვე აღიარეს და ისიც თქვეს, რომ ყაჩაღობისას მათთან ერთად მეოთხე პიროვნებაც იმყოფებოდა. მასზე უკვე ძებნაა გამოცხადებული",- განაცხადა "24 საათთან" საუბრისას იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ზაზა ძნელაძემ.

24 საათი

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტების წარმოება – MS Word,
■ ალრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

ESM თბილისის საბაზო სკოლა-ლიცეუმი "ლიდერი"
აცხადებს მსმენელთა მიღებას შემდეგ კურსებზე:
1. ინგლისური ენა დონეების მიხედვით (Starter-დან Upper Intermidiate-ს დონის ჩათვლით). დონის დადგენა უფასოა;
2. ინგლისური ენის სწრაფშემსწავლელი კურსები (სასაუბრო ინგლისური);
3. ბიზნეს-რეფერენტი (ქართული და ინგლისური სექტორი);
4. კომპიუტერის შემსწავლელი კურსები:
■ საოფისე პროგრამები (Word, Excel),
■ Windows,
■ მულტიმედია,
■ ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა.
მეცადინეობა დაიწყება 3 ნოემბერს.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 32 97 83.
მისამართი: ნუცუბიძის 223.

გაზეთი ბათუმელები
NEWSPAPER BATUMELEBI www.internews.ge/batumelebi
batumelebi@batumi.net
დამოუკიდებელი პრესის არსებობის პრეცენდენტი აჭარაში

თბილისელები ვართ, გაგა...

ხმებმა, რომ "აღორძინების" მხარდასაჭერად ფილარმონიაში აჭარიდან ჰყავდათ ხალხი ჩამოყვანილი, განსაკუთრებით მანდილოსნები გაანაწყენა. "არ გვჭირდება ჩვენ აჭარიდან ხალხის ჩამოყვანა. ტყუილად ცდილობენ, ამ ხალხში აჭარლები იპოვონ, თბილისშიც იმდენი ვართ, რომ ვეყოფით," - ცხარობდნენ ფილარმონიიდან ცესკო-სკენ მიმავალი "აღორძინების" გულშემატკივარი ქალბატონები.

თამარ დვალი

"არ აყვეთ პროვოკაციებს. ჩვენს რიგებში სააკაშვილის მხარდამჭერები დადიან და ცდილობენ არეულობა შემოიტანონ!" - ამ სიტყვებით მიმართავდნენ ცესკო-ს შენობის წინ შეკრებილ "აღორძინების" ასამდე მხარდამჭერს ასაკოვანი ქალბატონები, რომლებიც ერთგვარად აკონტროლებდნენ სიტუაციას. ჩვენმა კითხვამ, "აღორძინების" მხარდასაჭერად აჭარიდან ხომ არ ბრძანდებით ჩამოსულები-თქო, ისინი ძალიან გააღიზიანა: **"შენ შემოგევლე, "აღორძინებას" აჭარიდან ხალხის ჩამოყვანა ნამდვილად არ სჭირდება. თბილისშიც იმდენი ვართ, რომ ვეყოფით. აქ იმიტომ მოვედით, რომ დავიცვათ ჩვენი ხმები, რომელიც ასე გაგვიყალბეს. "ბურჯანაძე-დემოკრატებმა", "ნაციონალებმა" და ე.წ "ახალმა ქართველებმა" სამივემ ერთად გაგვიყალბეს და წაგვართვეს ხმები."**

-"აღორძინება" პირველ ადგილზეა და მაინც თვლით, რომ ხმები გაუყალბეს?

-"ეგ ახლაა პირველ ადგილზე, თუ არა, აქამდე ხომ არ აცხადებდნენ მასე. ისნის რაიონში საშინელი დარღვევები მოხდა და ჩვენი შვილები და ჩვენ საერთოდ არ აღმოვჩნდით სიებში. ამაში ახლანდელ ხელისუფლებას კი არ ვადანაშაულებთ, არამედ, "მოქალაქეთა კავშირს", თავის ბარტყებით. როგორ შეიძლება საკრებულოს თავჯდომარე ოპოზიცია იყოს? ამ კაცს, ნათელაშვილის თქმისა არ იყოს, მართლა ფსიქიურად შეშლილი ხალხი მიყვება. გამსახურდია ოპოზიცია იყო, სანამ გახდებოდა პარლამენტის თავჯდომარე, ამის მერე ის ოპოზიციაში აღარ ყოფილა.. ესენი ამდენშიც ვერ ერკვევიან. საზღვარგარეთ კი დაამთავრეს, ვითომ, უნივერსიტეტები..." – იყო პასუხი.

ის ახალგაზრდები, რომლებიც "აღორძინების" დროშებით ხელში იდგნენ, აცხადებდნენ, რომ, რამდენჯერაც სააკაშვილი გამოვიდოდა, იმდენჯერ თავადაც გამოვიდოდნენ. **"თუ სააკაშვილი კიდევ გამოვა და პრობლემებს შეგვიქმნის აჭარის ხმების ჩათვლა-არჩათვლაზე, ჩვენც გამოვალთ. თუ საჭირო იქნება, აჭარიდანაც ჩამოვიყვანთ ხალხს. რა უფლებით გამოდის სააკაშვილი და აჭარის ხმებს ბათილად ცნობს. შევარდნაძემ შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს, თუ არის თავის ადგილზე, თუ არადა დაუთმოს მაშინ სააკაშვილს."**

ამ აქციამ ზოგიერთ გამვლელთა მცირედი გაღიზიანებაც გამოიწვია. ერთ-ერთ მონაწილეს გამვლელებმა "აღორძინების" დროშის ტარიც გადაუმტვრიეს.

წინ ცესკოსკენ.

ორთაჭალელი ზვიად "აღორძინების" დროშას აფრიალებს.

მაია მოსიაშვილის სვეტი

შენ არა ხარ ღირსი, გერქვას ჩემი ხელისუფლება!

- შვილო, ჟურნალისტი ხარ? გვითხარი, რა ვქნათ ახლა, რა გავაკეთოთ? - მეკითხებოდნენ ადამიანები 2 ნოემბერს. ის ადამიანები, რომლებსაც ხმის უფლება წაართვეს.

- დაგვეხმარე, რომ ხმა მივცეთ, - მთხოვდნენ ისინი და მეც მათსავით ბოლმის ცრემლები მაღრჩობდა, რადგან არ ვიცოდი, როგორ დავხმარებოდი.

- რა ვქნათ, სახლებში წავიდეთ თუ... - მეკითხებოდნენ და არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ისინი ახალგაზრდებიც იყვნენ და ჭარმაგნიც. ისინი ბევრნი იყვნენ. ისინი 2 ნოემბერს საბოლოოდ დაკარგა დღევანდელმა ხელისუფლებამ.

სამაგიეროდ, არავისთვის არაფერი უკითხავთ იმ პატიოსან ადამიანებს, რომლებიც დიდი ხანია ამქვეყნად აღარ არიან. მათ არ უკითხავთ, რატომ გაიხადა ხელისუფლებამ ისინი თავისი ტყუილისა და ფარსის თანამონაწილედ. მათ აღშფოთება არ გამოუხატავთ, აღშფოთებულნი და შეურაცხყოფილნი იყვნენ მათი მეუღლეები, შვილები და შვილიშვილები. ნეკროფილია ქართველებისთვის დამახასიათებელი არასოდეს ყოფილა. ჩვენ სიცოცხლისმოყვარე ერი ვართ და არ მოგვწონს ნეკროფილი, "მკვდარ სულებზე" შეყვარებული ხელისუფლება.

- "ეს იყო ყველაზე დემოკრატიული არჩევნები" - პრეზიდენტის ეს სიტყვები ხომ დაცინვაა და სხვა არაფერი, - ასე ფიქრობენ საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც ხელისუფლებამ ქვეყნის მოქალაქეთა სიიდან ამოშალა.

- აღარც ოპოზიციის გვჯერა. რატომ ვერ შეძლეს ჩვენი ხმების დაცვა. მთავრობას საკონსტიტუციო სასამართლოში ვუჩივლებთ, - ამბობდნენ გულგატეხილი ადამიანები. ჩვენს პრეზიდენტს და ხელისუფლებას კი მათი აზრი და გულგატეხილობა ჩირადაც არ უღირს.

- კი, ბატონო, დარჩა ხალხი სიის გარეთ, მაგრამ ისიც ხომ ხალხია, ვინც ხმა მოგვცა? - სახალხოდ კითხულობენ ხელისუფლების მეხოტბენი.

- ვინ არიან ისინი, ვინც ხმა ხელისუფლებას მისცა? პასუხი ყველამ კარგად იცის - ადამიანები, რომლებსაც თანამდებობა ყველაფრად უღირთ და კიდევ ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებამ დააშინა და დაატერორა: არ მოგვცემთ ხმას და ნახავთ, იმ სამსახურებსაც დაკარგავთ, სადაც 30 ლარიანი ხელფასი 2 წელია, არ აგიღიათ; არ მოგვცემთ ხმას და ნახავთ, მშვიდობა სანატრელი გაგიხდებათ...(!)

ასეა, პრეზიდენტს და მის გარემოცვას შეშინებული ხალხი მოსწონს. მხოლოდ მათ აღიარებს საქართველოს მოქალაქეებად, ვისი დაშინება და გაჩუმებაც შეუძლია. მხოლოდ კონფორმიზმი და ძალადობა, მხოლოდ ჩვენ ამ ქვეყანაში, - ასეთია მათი ლოზუნგი.

ამჟამინდელ ხელისუფლებაზე მიბმული ადამიანები ნიშნის მოგებით წამდაუწუმ აძახებენ ოპოზიციაში მოხვედრილ ყოფილ თანამებრძოლებს: თქვენ არ იყავით, არჩევნებს რომ აყალბებდით? ახლა ჩვენ უნდა გავაყალბოთ...

ეს პოზიცია აღიზიანებს ყველას, ვისაც სურს, რომ საქართველო პროგრესირებადი ქვეყანა იყოს. როგორ, თუ ოდესმე ვინმემ გააყალბა არჩევნები, ამის გამო სხვამაც იგივე უნდა გააკეთოს? ეს გამართლება არ არის, ეს ნიშნისმოგება და ხალხის ნების უარყოფაა. ხალხი კითხულობს: ნუთუ არ უნდა გაწყდეს ჯაჭვი უკანონობისა და გაყალბების, ასე ხომ შეიძლება უწყვეტი ჯაჭვი მივიღოთ - გააყალბებს ერთი, შემდეგ - მეორე, შემდეგ - მესამე და ასე შემდეგ.

2 ნოემბერს უამრავი ადამიანი მეუბნებოდა: ეს არჩევნებიც თუ ისე ჩატარდა, როგორც ადრე ტარდებოდა, აუცილებლად წავალ ამ ქვეყნიდან. არჩევნების შემდგომმა დღეებმა ეს აზრი კიდევ უფრო განამტკიცა

წავიდეს ის, ვინც ხელს მაგიდაზე აბრახუნებს და აცხადებს - არსადაც არ წავალ...

წავიდეს ის, ვისაც 150 ლარიანი ხელფასი აქვს და 50 ათას დოლარიან მანქანას და 100 ათას დოლარიან სახლს ყიდულობს...

წავიდეს ის, ვინც ხალხს აშინებს და ემუქრება...

წავიდეს ის სამართალდამცველი, რომელიც 100 ლარიანი ხელფასით "უანგაროდ იცავს" საქართველოს მოქალაქეებს და დღეში ათ ამდენს ხალხისა და სახელმწიფოს ჯიბიდან იპარავს, რომელიც ხელს აფარებს კრიმინალებს...

წავიდნენ ის კონფორმისტი პოლიტიკოსები, რომლებიც გარიგებისთვის და ფულის საკეთებლად მიდიან იმ სახელმწიფოს პარლამენტში, რომელსაც 2 მილიარდიანი საგარეო ვალი აქვს...

ჩვენ აქ დავრჩებით, ყველა, ვისთვისაც კანონი კანონია, პატიოსნება და ზნეობა სიმართლეა, ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა არა მხოლოდ სუფრასთან და სადღეგრძელოებში. ჩვენ აქ დავრჩებით, ვიბრძოლებთ და ასეთივე სულისკვეთებით გავზრდით ჩვენს შვილებს. ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ახლანდელი ოპოზიცია თუ ხელისუფლება, ან თუნდაც ვიღაც სხვა - თუ ისინი უკუაგდებენ ხალხის ნებას, თუ დაივსებენ თვალებს, დაიცობენ ყურებს და მხოლოდ საკუთარი ჯიბის ავსებით იქნებიან დაკავებულნი, ხალხი მათ წინააღმდეგაც გამოვა და ეტყვის: შენ არა ხარ ღირსი, გერქვას ჩემი ხელისუფლება!

ორი სიტყვით

თბილისი. ინტერპოლი დღეიდან ოფიციალურად შეუერთდა ამერიკის კიბერნეტიკული გიგანტის „მაიკროსოფტის" მიერ კომპიუტერული ვირუსების შემქმნელების წინააღმდეგ წამოწყებულ პროგრამას. „მაიკროსოფტმა" გლობალური ანტივირუსული კამპანიის დაწყების შესახებ განცხადება ოთხშაბათს გააკეთა. პროგრამის განხორციელებისათვის კიბერნეტიკული გიგანტი 5 მილიონ დოლარს დახარჯავს. „მაიკროსოფტი" მსხვილ ფინანსურ პრემიებს გადაუხდის მათ, ვინც ვირუსული პროგრამების შემქმნელებს გამოავლენენ. ინტერპოლი „მაიკროსოფტის" პროგრამაში საკუთარ სპეციალურ ქვედანაყოფს ჩართავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ახმეტის რაიონის სოფელ ბეროს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ფრესკები ნადგურდება. ეკლესიის ორი მხარე ჩამონგრეულია, ხოლო დარჩენილ ერთ ნაწილში უნიკალურ ფრესკებს სასწრაფო რესტავრაცია სჭირდება. სოფლის მცხოვრებლები საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისაგან დახმარებას ითხოვენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესი სამი თვეა დაიწყო, დაწყებითი განათლების დაწესებულებებს ჯერ სექტემბრის კვების ფული არ მიუღიათ. საბავშვო ბაღებს კვების ფულის სახით თვეში 250 ათასი ლარი ეკუთვნით. როგორც განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურში განაცხადეს, დაუფინანსებლობის მიუხედავად, ბაღების პროდუქტით უზრუნველყოფა გასული წლიდან დარჩენილი ნაშთითა და ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების საფუძველზე მაინც მოხერხდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შავი ზღვის დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დასუფთავების აქცია, რომელიც 31 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, უამინდობის გამო გადაიდო. როგორც მწვანეთა მოძრაობაში აცხადებენ, მოძრაობის ეკო-განათლების ჯგუფი შავი ზღვის დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ფოთში 10 ნოემბერს ჩაატარებს. **მედია-ნიუსი**

შოტლანდიური პატრიოტიზმი, ირონია და პოპ-მუსიკა B3
შუშაკი ცაკარიასს აქებს და სამ ქულას გეგმავს B4
TV-პროგრამა B7

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

ყველა, ვინც იარაღის ალმართვას გაბედავს, უსასტიკესად აგებს პასუხს

მაია ჭალაბანიძე

"ბურჯანაძე-დემოკრატებმა" გუშინ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს. მიხეილ სააკაშვილი კი დღეს "თავისუფლების" მოედანზე ელოდება ხალხს. ფილარმონიაში თავმოყრის შემდეგ მათ "დემოკრატები" შეუერთდებიან. ზურაბ ჟვანიას განცხადებით, მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს მათი გადაწყვეტილება, ხელისუფლებამ პარალელური დათვლის შედეგები თუ აღიარა. ხელისუფლება კი "სამართლიანი არჩევნების" და დამოუკიდებელი ეგზითპოლების შედეგებს ირონიულად უყურებს. სხვათა შორის, მთავრობა ვეღარ ამუხრუჭებს და ცესკო-ს ფანტასმაგორიულ შედეგებსაც გაშარჟება ემუქრება. ეს შოკის ბრალია, იმ შოკისა, რომელიც ხელისუფლებას ხალხის გულწრფელმა და საყოველთაო პროტესტმა მოჰგვარა. საქართველოში ახალი ათვლის წერტილად 2003 წლის 2 ნოემბერი შეგვიძლია ჩავთვალოთ. ამას ბევრმა ვერ გაუძლო და "დემოკრატიის ნიღბები" ჩამოიხსნა. დარჩენილ ორად ორ დემოკრატიულ ძალას წინ დიდი გამოცდა ელის. ეს გამოცდა ყველამ ერთად (მინუს ხელისუფლება) უნდა ჩავაბაროთ.

- რას მოიტანს არჩევნების ბოიკოტი? თუ პარლამენტში სხვა პოლიტიკური ძალები შევლენ და იმუშავებენ, რას მოიმოქმედებთ ასეთ შემთხვევაში?

- ჩვენ ყველანი ვაცხადებთ, რომ არჩევნებზე საშინელი დარღვევები მოხდა. ათიათასობით ადამიანმა ვერ მოიპოვა საკუთარი უმთავრესი კონსტიტუციური უფლება. ჩვენი აღრიცხვით, თბილისში ჩვენს მხარდამჭერთა შორის 56 ათასი ადამიანია, რომელიც არ იყო შეყვანილი სიებში. ამ ადამიანებს მოუხდათ, უარი ეთქვათ იმ მთავარ უფლებაზე, რისთვისაც დაწერილია საქართველოს და ნებისმიერი სხვა ქვეყნის კონსტიტუცია.

არჩევნების დღეს საბოლოოდ დაფიქსირებული 1 მილიონ 350 ათასი ამომრჩეველი (აჭარის და ქვემო ქართლის ჩათვლით) დღეს 1 მილიონ 900 ათასზე ავიდა. ანუ, ღირსებაშელახული ადამიანების ნაცვლად არჩევნები გააკეთა თითქმის 500-600 ათასმა ბუნებაში არარსებულმა ადამიანმა. ამ არარსებულმა ადამიანებმა, ბუნებრივია, არჩევნები გააკეთეს არარსებული და უმოქმედო ხელისუფლებისა და მთავრობის სასარგებლოდ. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ არჩევნები არა გაყალბებითა და დარღვევებით ჩატარდა, არამედ - არ შედგა.

პარლამენტის ის შემადგენლობა, რომლის წარმოსახვასაც ხელისუფლება ცდილობს, არანაირად არ ასახავს ქართული საზოგადოების ნებას. ბუნებრივია, არშემდგარი არჩევნების შედეგად არშემდგარი პარლამენტი შედგა. ჩვენ არ ვაპირებთ, სხვა ძალების მსგავსად იმ არარსებულ პარლამენტში ვისხდეთ, რომელსაც არანაირი ლეგიტიმური უფლებამოსილება არ გააჩნია. ამგვარ რთულ, ნინაალმდეგობრივ ვითარებაში ეს პოზიცია ავირჩიეთ და უზნეობას ვემიჯნებით.

ჩვენ იმისთვის არ ვიბრძოდით, რომ ან ოპოზიციის, ან სხვა სტატუსით გაგვეყვანა 20-25 დეპუტატი. ჩვენთვის მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ქართველი ხალხის მანდატის საფუძველზე დაგვეწყო სასიკეთო ცვლილებები. დღეს საზოგადოება მძიმე არჩევანის წინაშე დგას - ან შევეგუოთ ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ არჩევნების შედეგებს და ამით უარი ვთქვათ ჩვენს ღირსებაზე, ან - თავადვე უნდა განვსაზღვროთ ჩვენი მომავალი.

პროტესტის გამოხატვას ძალადობისკენ მიმავალი ფორმებით არ ვაპირებთ. ჩვენი პროტესტი უკიდურესად მწვავე და ხაზგასმულად მშვიდობიანი იქნება. ყველანაირ აქციებში მივიღებთ მონაწილეობას, იქამდე, ვიდრე ეს აქციები გარანტირებულად მშვიდობიანი იქნება.

ყველა სხვა პოლიტიკურ ძალას მოვუწოდებთ, არ ითანამშრომლონ ამ უზნეობასთან და უარი ვთქვათ თანამშრომლობაზე იმასთან, რასაც შევარდნაძის სისტემა ჰქვია.

თქვენ იცით, დიდხანს ვიყავი შევარდნაძის ორბიტაზე. 6 წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, მისი მარჯვენა ხელი ვიყავი. მქონდა ილუზია, რომ ბევრი რამის შეცვლას შიგნიდან შევძლებდი... შემდეგ, ორი წლის განმავლობაში, მისი ოპონენტი ვიყავი. თუმცა, როგორც მისი ოპონენტები, მაინც ვთამაშობდით იმ თამაშის წესებით, რასაც შევარდნაძე გვთავაზობდა. დღეს ერთხელ და სამუდამოდ, მკაფიოდ ვამბობთ უარს ამ თამაშის წესებზე.

დღეს ქვეყანა გზის გასაყარზე დგას. შეიძლება, ყველაფერი დავკარგოთ და მძიმე კონფრონტაციაში გადავეშვათ. პოზიცია, რომელსაც დღეს დავიკავებთ, უნდა იყოს არა, უბრალოდ, პოლიტიკური პოზიცია, არამედ ზნეობრივად უმწიკვლოც. ნებისმიერ უზნეობასთან შეხებაზე და თანამშრომლობაზე ერთხელ და საბოლოოდ ვაცხადებთ უარს. მხოლოდ ამგვარი მტკიცე ზნეობრივი პოზიციით შეიძლება დაპირისპირება ამ უზნეობასთან.

- რეგიონებიდან თბილისში ხალხის ჩამოყვანა არახალია. "აღორძინებას" ფილარმონიის შევსებაში ლტოლვილები, "მოქალაქეთა კავშირი", "ედპ", გამგეობები და საბიუჯეტო ორგანიზაციები დაეხმარნენ. როგორი იქნება ოპოზიციის ტაქტიკა ახლა, როდესაც ხელისუფლება აშკარა პროვოკაციაზე მიდის. აქვს თუ არა ოპოზიციას იმის უნარი, რომ პროვოკაციას არ წამოეგოს?

- იმ აქციებს, რომელსაც ჩვენ, "დემოკრატები" ვაწყობთ, ვაკონტროლებთ და ყოველგვარ პროვოკაციას გამავრცხავთ. საერთოდ, ყველა პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ამ მომენტს.

რაც შეეხება ხალხის ასე დაბარებით ჩამოყვანას - ხალხის განწყობის ხალხის ფსევდორაოდენობის ჩვენებით ჩანაცვლება, შეუძლებელია. შეუძლებელია ქვეყანაში, სადაც არსებობს თავისუფალი მედია, ამაყი და ღირსეული საზოგადოება. დღეს რკინის ფარდის მიღმა არ ვცხოვრობთ, რომ შავზე თეთრის წარმოჩენა შეიძლებოდეს.

კიდევ ერთხელ ვამბობ - ხელისუფლებას ძვირი დაუჯდება მცდელობა, იგნორირება გაუკეთოს ხალხის ნებას და წარმოაჩინოს, თითქოს ეს მცირე ჯგუფების აზრია.

მაკვირვებს უგუნურება იმ ხალხისა, ვინც აქამდე იღებდა მსგავს გადაწყვეტილებებს და ვინც დღემდე იგივე გზას ადგას. ეგონათ, რომ შეუმჩნეველი დარჩებოდა ნებისმიერი აბსურდი, რასაც არჩევნების შედეგს დაარქმევდნენ და საზოგადოება ამას გადაყლაპავდა. მათ ჰგონიათ, რომ დღეს რაღაცას ვეთამაშებით ამ ხალხს და ცოტა ხანში ეს ვნებები ჩაცხრება. ყველა ეპოქაში, კონტინენტზე და ქვეყანაში ასეთი ილუზიები ძალზე ძვირი უჯდებოდა ხელისუფლებას.

ვისურვებდი, რომ საქართველოში ხელისუფლების ცვლილება მაინც მშვიდობიანი და კონსტიტუციური ფორმებით მომხდარიყოს. ჩვენს ხელისფლებას, პირველ რიგში, პრეზიდენტს, უკიდურეს ფორმებამდე არ მიეყვანოთ ვითარება.

- ახლა, როდესაც აჭარის ლიდერმა საბჭოთა ადმინისტრაციული წესით დაყოფილ რეგიონში, საკონსტიტუციო ცვლილებებით ოფიციალურად დაიკანონა "პრეზიდენტობა" - რა საშიშროება ემუქრება შევარდნაძის ხელისუფლებას? გრძნობს თუ არა ამას შევარდნაძე, თუ ეს ერთობლივი ნამოქმედარია?

- მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძეს და აბაშიძეს მუდმივი ფლირტი აქვთ და ნებისმიერ სიტუაციაში შეთანხმებით მოქმედებდნენ, ვფიქრობ, რომ ის, რაც გუშინ აჭარამ გამოაცხადა - მათაც აღელვებთ.

საუბარია იმაზე, რომ საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი, უმშვენესი კუთხე ერთი ავანტიურისტის მძევალია. მას საერთოდ არ ესმის, რა თემებით თამაშობს. ტერიტორიული მთლიანობით, აჭარის გასვლა-არგასვლის შანტაჟით შეუძლებელია, შეფასების გარეშე დარჩეს. აბაშიძე იმ საკითხებით თამაშობს, რომელთა მოგვარებას, ბაბუამისმა, მემედ აბაშიძემ შესწირა თავი.

აბაშიძის ასეთი თავგასულობა ცენტრალური ხელისუფლების აბსოლუტური უუნარობით არის განპირობებული. ამ ხელისუფლებას მხოლოდ მიმდინარე, კლანებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანები აინტერესებს. მათი ქმედებების სხვა განმსაზღვრელი მოტივი არ არსებობს.

- კლანებს შეეხეთ. დარჩა კი სახელისუფლო ბლოკში ადამიანი, რომელსაც ჯანსაღი გადაწყვეტილების მიღება ჯერ კიდევ შეუძლია?

- არის ერთი-ორი ასეთი ადამიანი, რომელთა გვარებს არ დავასახელებ.

- რამდენად გავლენიანები არიან ისინი?

- არიან ისეთებიც, რომელთაც გარკვეული გავლენა აქვთ და უგუნურების ზღვარს გადასულები არ არიან. მაგრამ, მთლიანობაში ის, რასაც დღეს ხელისუფლება ჰქვია, აბსოლუტურად უპასუხისმგებლო წარმონაქმნია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო საქართველოს დღევანდელ და ხვალინდელ ინტერესებთან.

- ბლოკის შიგნით გადატრიალების საშიშროებას ვერ ხედავთ?

- კლანების დაპირისპირება ცხადი იყო. სახელისუფლებო ბლოკის სია იმთავითვე იმის მიხედვით შედგა, თუ ვინ რამდენ ადამიანს გაიყვანდა პარლამენტში.

შიგნით კი, მგონი, ყველას ერთი შიში აერთიანებს - სამართლიანად აღშფოთებული ხალხის შიში.

- რამდენად მონოლითურია თქვენი და "ნაციონალების" გაერთიანება? ხალხმა ზუსტად უნდა იცოდეს, რომ მიჰყვებიან არა პოლიტიკოსებს, რომელთაც ბოლომდე მაინც არ ენდობიან (ვგულისხმობ ჟვანია-სააკაშვილის დისკრედიტირების არაერთგზის მცდელობას), არამედ უნდა იცოდნენ, რომ მიყვებიან საქართველოსთვის, მართლაც, გულანთებულ, წესიერ ადამიანებს, რომელთა ნდობაც ბოლომდე შეიძლება...

- პოლიტიკური თამაშები, ინტრიგები ყოველთვის არსებობს. დღეს ჩვენ ერთად ვდგავართ. არ ვიცი, კიდევ როგორ შემიძლია იმის დემონსტრირება, რომ ჩვენთვის ის პრინციპებია ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ვქადაგებთ.

თუნდაც დღევანდელი განცხადებით, საზოგადოებას დავანახეთ, რომ არ გვჭირდება არც პარლამენტი, არც იმუნიტეტი, არც სავარძელი. გვჭირდება ერთადერთი რამ - შევძლოთ ამ ქვეყნის ჭაობიდან ამოყვანა. ორი წლის წინ, როდესაც ჩავთვალე, რომ საზოგადოებას სჭირდებოდა, დავტოვე პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი. დამისახელეთ სხვა პოლიტიკოსი, რომელსაც ამდენად ნათლად დაედასტურებინოს საზოგადოებისთვის, რომ ჩვენთვის, მართლაც, მთავარია ის სიტყვები და დაპირებები, რასაც მოსახლეობას ვეუბნებით.

- ეს არჩევნები ერთგვარად ლუსტრაციაც აღმოჩნდა. "დემოკრატიული ნიღბები" ჩამოხსნილია. დარჩენილ პოლიტიკურ სპექტრში ახლა რა პროცესებია?

- არ მიყვარს სხვა ძალების განქიქება. ამ ძალებთან არანაირად არ ვთანამშრომლობთ.

- არც ისინი გეხმაურებიან?

- "მრეწველები" გამოეხმაურნენ ჩვენს განცხადებას და ვფიქრობ, რაღაც ანალოგიურს ისინიც აპირებენ. თუმცა, მათ 7 პროცენტიანი ბარიერი არ გადაულახავთ.

ჩვენ არა ვართ ძალა, რომელიც პარლამენტს გარეთ დარჩა. ჩვენ ვართ ძალა, ვინც ადგილები მოიპოვა პარლამენტში და იმ მოპოვებულ ადგილებზე ვამბობთ უარს. ასეთი რამ მსოფლიო პარლამენტარიზმის ისტორიაში არ მომხდარა.

- ვთქვათ, ბოიკოტი შედგა და ახალი არჩევნები დაინიშნა (თუმცა, ეს ძნელად წარმოსადგენია). როგორ ფიქრობთ, თქვენი ელექტორატი კვლავ მივა არჩევნებზე?

- ხელისუფლების მთავარი ამოცანა სწორედ ჩვენთან ანგარიშსწორება იყო. არჩევნების წინა ღამეს სიებიდან მიზანმიმართულად ამოიღეს ათასობით (სამგორში 9000, დიდუბეში 11200, საბურთალოზე 12 000 და ა.შ.) ხალხი, რომელიც ორი დღით ადრე ჩვენვე აღვადგინეთ სიებში.

თუკი ადამიანები დაინახავენ, რომ სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად კარგი პირობები შეიქმნება, ძალზე დიდი ენთუზიაზმით მივლენ არჩევნებზე.

- "დემოკრატების" ბრიფინგის შემდეგ მრავალ ადამიანს დარჩა უკმარისობის გრძნობა. კონკრეტულად რას იტყვით საპროტესტო აქციაზე, რა იქნება შემდეგი ნაბიჯი, რა ეტაპები აქვს გასავლელი ოპოზიციას და, რაც მთავარია, ხალხს?

- შემდეგი ნაბიჯი პროტესტის შენარჩუნებაა. მთელს საქართველოში ფართომასშტაბიანი ხელმოწერების შეგროვების დაწყებას ვფიქრობთ, რათა საქართველოს მოსახლეობამ შევარდნაძის ხელისუფლებას უთხრას ის, რაც დღეს ჩვენ ვუთხარით. ქართველი ხალხი ამ არჩევნებს და პარლამენტს არ ცნობს.

რა თქმა უნდა, მივალთ "ნაციონალების" აქციაზე და იგივეს ვიტყვით.

- რამდენ ხანს გაგრძელდება აქციები?

- აქციების თვითმიზნური გაგრძელების მომხრე არა ვარ. დიახ, ჩვენი მშვიდობიანი პროტესტი დღითი დღე უნდა იზრდებოდეს, მაგრამ მხოლოდ აქციები და ქუჩაში გამოსვლა არ იგულისხმება, სხვა ფორმებიც არსებობს და ამას საზოგადოებას უახლოეს დღეებში შევთავაზებთ.

- ბრიფინგზე სამართლებრივი ბერკეტებით ბრძოლაზე იყო საუბარი. დღეს, უმთავრესი კონსტიტუციური - ხმის მიცემის უფლების იგნორირების, მშვიდობიანი აქციის სროლით დაშინების და სხვა უამრავი უკანონობის პირობებში, სამართალზე საუბარი უადგილო ხომ არ არის?

- თუ ოდესმე სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა გვსურს, სამართალზე ლაპარაკი არასდროს არ არის უადგილო. რთულია სამართლებრივი გზით სიარული, მაგრამ უნდა გვეყოს ნებისყოფა, რომ საქართველოში სახელმწიფოს შენება ერთხელ მაინც სამართლებრივი, კანონიერი და ძალადობისგან დაცული გზით დაიწყოს. ეს არის ჩვენი მრწამსი. არ შეიძლება ვიყოთ ის ქვეყანა, სადაც 12-15 წელიწადში ძალადობის ახალი ტალღა დატრიალდება. ერთხელ უნდა მოვიკრიბოთ ძალა და როგორი უზნეოც არ უნდა იყოს ჩვენი მოწინააღმდეგე, სამართლებრივი გზით ხელისუფლების შეცვლა და ხალხის ნების გამოხატვა უნდა მოვახერხოთ.

- როგორ ფიქრობთ, ასრულებს თუ არა ცალკეული პიროვნება, ლიდერი - გადამწყვეტ როლს ასეთ ვითარებაში და ძალების ასეთი დაპირისპირებისას, რაც დღესაა?

- ამ დღეებში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა პოლიტიკურ ლიდერებს გვეკისრება. უნდა გვესმოდეს, როდესაც ასეთი დუღილი მიდის, თითოეული არასწორი, ყალბი ნაბიჯი შეიძლება არა მას, არამედ, პირველ რიგში, საზოგადოებას დაუჯდეს ძალიან ძვირი. ამის ძალზე მწვავე გაკვეთილი არაერთხელ მივიღეთ. არ შეიძლება ახლა ლიდერებს ემოციები მართავდნენ. უნდა გვესმოდეს ჩვენი პასუხისმგებლობის განუზომელი დონე და სწორედ ამგვარად ვიღებდეთ გადაწყვეტილებას.

- რამდენად შესწევს დღეს უნარი პრეზიდენტს, გაითვალისწინოს საერთაშორისო აზრი და გაუფრთხილდეს საკუთარ იმიჯს, რომლითაც მუდამ თავს გვაწონებს...

- სამწუხაროდ, აქამდე არასდროს გაუთვალისწინებია.

- ზუგდიდში "ნაციონალების" ჩასვლას სროლა მოჰყვა. არის თუ არა თბილისში იგივეს განმეორების საშიშროება?

- თუ ხელისუფლება კატეგორიულ რეაგირებას არ მოახდენს, არ დაიპატიმრებს და სამართალში არ მისცემს ყაჩაღებს, ვინც სროლა გაბედა, აშკარა იქნება, რომ ამ ინციდენტის უკან ხელისუფლება დგას და ეს ნიშნავს, რომ ეს ხელისუფლება ძალიან ცუდად დაასრულებს თავის არსებობას.

- აჭარის მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ არავინ დაისჯება.

- მაინც მგონია, რომ სამეგრელო არ არის აბაშიძის კონტროლის ქვეშ, იქ სხვა წესებია. სულ მცირე იმედს ვიტოვებ, რომ ხელისუფლება რეაგირებას მოახდენს.

- და თბილისში იგივე არ განმეორდება...

- ყველა, ვინც იარაღის აღმართვას გაბედავს, უსასტიკესად აგებს პასუხს.



Suede: შევხვდებით მომავალ ცხოვრებაში

სახელგანთქმული ბრინატული ჯგუფის Suede-ის წევრებს ერთმანეთთან თანამშრომლობის სურვილი აღარ აქვთ. ამ დღეებში მუსიკოსებმა მწუხარებით აუწყეს თაყვანისმცემლებს, რომ ჯგუფი დაშლის პირასაა. ზამთრის საკონცერტო ტურნეს დასრულებისთანავე ისინი საავტორო პროექტებით დაკავდებიან, ხოლო რა იქნება შორეულ მომავალში – ამის განჭვრეტის სურვილი ამჟამად არ აქვთ. ჯერჯერობით კი არ სურთ მოამზადონ ერთობლივი ჩანაწერი. "მომავალი წლის დასაწყისიდან ჩვენ შევწყვეტთ ერთობლივ მუშაობას. ჩვენ არ ვაპირებთ ვიმუშაოთ ერთად მანამდე, ვიდრე ამას შემოქმედებითი აუცილებლობა არ მოითხოვს", - წერია ჯგუფის ოფიციალურ განცხადებაში. დასასრულს, მუსიკოსებმა მადლობა გადაუხადეს თაყვანისმცემლებს ერთგულებისთვის და შეჰპირდნენ: "შევხვდებით მომავალ ცხოვრებაში".

Suede-ის უკანასკნელი კონცერტები დიდ ბრიტანეთში 4-დან 13 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება. გედის სიმღერას ისინი ლონდონში, მანჩესტერსა და ბრისტოლში შეასრულებენ.

ბრაიან ადამსი არ ამხელს

ცნობილ კანადელ მუსიკოსს ბრაიან ადამსს რომანი ჰქონია პრინცესა დაიანასთან. დანიელი მსახიობი, ბრაიან ადამსის ყოფილი მეგობარი სესილი ტემსენი ამტკიცებს, რომ ეს ურთიერთობა დაიანას გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1996 წელს დაიწყო. ამის შესახებ მსახიობმა დანიურ ჟურნალს Billed Bladet-ს განუცხადა; ინტერვიუ კი მოგვიანებით ინგლისურმა გაზეთმა The Daily Mail-მა გამოაქვეყნა.

თავად ბრაიან ადამსი ინფორმაციას არც ადასტურებს და არც უარყოფს. "სესილი ტემსენმა საერთოდ, არაფერი იცის დაიანასთან ჩვენი ურთიერთობების შესახებ. და საერთოდ არავინ არაფერი იცის. ის, რაც თქვენ წაიკითხეთ, მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდებია", - უთხრა მომღერალმა გაზეთ The Daily Mail-ს. სიმღერა კი, რომელიც კანადელმა მუსიკოსმა პრინცესას მიუძღვნა, მათ შეხვედრამდე დაიწერა.

28 წლის დანიელი მსახიობი, რომელიც დარწმუნებულია საკუთარი მოსაზრებების უტყუარობაში ამბობს, რომ სწორედ ადამსისა და დაიანას რომანის გამო გაუფუჭდა ურთიერთობა მომღერალთან, რომელსაც 12 წლის განმავლობაში ხვდებოდა. მაგრამ, როგორც ავსტრალიური გაზეთი The Sydney Morning Herald აღნიშნავს, ადამსისა და ტემსენის ურთიერთობა მხოლოდ შარშან შეწყდა.

U2-მ სიმღერა გააჩუქა

თავის დროზე U2-ს წევრებმა – ბონომ და ეჯმა საგანგებოდ ფრენკ სინატრასთვის დაწერეს სიმღერა, რომლის შესრულებაც ამერიკელ მომღერალს არ დასცალდა. სიმღერის ავტორებმა გადაწყვიტეს ნამუშევარი, რომლის სახელწოდებაცაა Two Shots of Happy, One Shot of Sad, ახალგაზრდა ჯაზის მომღერლისთვის ჯორჯ ბუგატისთვის გადაეღოცათ. სიმღერა უკვე ჩაიწერა ბუგატის მორიგი ალბომისთვის A Night for Romance. თავად მომღერალი კმაყოფილია საჩუქრით და ამბობს: "ჩემს მუსიკაში ცოცხლობს სინატრას სტილი".

გერმანული ტემპი და იტალიური ტემპერამენტი ინტერნაციონალური „რიგოლეტოსთვის„

საოპერო თეატრი ელენა ბრილიოვასა და კორნელია ფონ კერსენბროკის გასტროლებს მასპინძლობს

მადი სერებრიაკოვა

საოპერო თეატრს ვნებებით ვერ გააკვირვებ. ვერდის "რიგოლეტო" თბილისში უკვე მრავალი წელია იდგმება. გუშინ თეატრში მისული მსმენელის დიდმა ნაწილმა თითქმის ზეპირად იცოდა მსახიობების ყველა მოძრაობა და ვოკალური თავისებურება. ერთი შეხედვით, ახალი რა უნდა იყოს! თუმცა, უკმაყოფილო თეატრიდან მაინც არავინ წასულა და არც ბევრჯერ ნანახისა და მოსმენილის გამო უგრძვნია მობეზრება. თბილისის საოპერო თეატრის რეპერტუარის ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და ჩვეული წარმოდგენა გუშინ მრავალმხრივ განსაკუთრებული იყო. ერთი მხრივ, გასტროლიორი სოლისტის – ელენა ბრილიოვასა და დირიჟორის კორნელია ფონ კერსენბროკის გამო, მეორე მხრივ, კი თეატრის ქართველ სოლისტთა საუკეთესო ნაკრების ოსტატობისა და განსაკუთრებული მონდომების დამსახურებით.

მართალია, მასპინძლებს "რიგოლეტო" უკვე ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი, მაგრამ გუშინდელი სპექტაკლი მაინც საკმაოდ სარისკო იყო. ელენა ბრილიოვა თბილისში მხოლოდ გუშინ ჩამოვიდა და ერთადერთი, ისიც არასრულფასოვანი რეპეტიცია გამართა პარტნიორებთან და ორკესტრთან. გუშინწინ იგი "ტრავიატას" მოსკოვის დიდ თეატრში მღეროდა, ერთი დღით ადრე კი სპექტაკლს დიუსელდორფში მართავდა. ყოველი შემდეგი მოქმედების მიზანსცენებს მომღერალს ანტრაქტის დროს აცნობდნენ: **"საოცარი პარტნიორები შემხვდა,"** - აღნიშნავს ბრილიოვა – **"ყველა მეხმარებოდა, ყველა მხარში მედგა, ასეთ გამოცდილ მუსიკოსებთან სიმღერაც ძალიან ადვილი იყო."**

თავის მხრივ, პროფესიონალიზმის დეფიციტს არც რუსი სოპრანო განიცდიდა. თავის დროზე ნინა დორლიაკის მოსწავლე, ბრილიოვა ამჟამად დიუსელდორფის თეატრის სოლისტია, წლების მანძილზე იყო მოსკოვის დიდი თეატრის (სადაც ამჟამადაც ხშირად გამოდის) სოლისტიც, მსოფლიოს საოპერო ცხოვრების ეპიცენტრში – ლა სკალას თეატრში კი დირიჟორ რიკარდო მუტის მიწვევით შეასრულა მოცარტის "ჯადოსნური ფლეიტა", ბერიოზ "უტისი", ასევე ორფის "კარმინა ბურანა". ბრილიოვა თბილისში პირველად არ მღერის. რამდენიმე წლის წინათ მან აქ "ტრავიატაც" შეასრულა: **"თქვენთან ძალიან მიყვარს ჩამოსვლა, სტუმრობა, სიმღერა** –აღნიშნავს მომღერალი - **"ძალიან სასიამოვნო გარემოა, არასოდეს არ მიგვრძნია თავი უცხოდ."**

მომღერლის არაჩვეულებრივ ვოკალურ-ტექნიკურ შესაძლებლობებს მისმა პარტნიორებმაც გაუსვეს ხაზი: **"ბრწყინვალე, მაღალი კლასის მომღერალია"** – აღნიშნავს თემურ გუგუშვილი, - **წარმოიდგინეთ, ერთ რეპეტიციაში ასეთი სპექტაკლის მომზადება, ორ დღეში კი "ტრავიატას" შეასრულებს ასევე ერთი რეპეტიციის შემდეგ".** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საკმაოდ აღიარებულ ახალგაზრდა მომღერალს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ (და ხშირად სჯობდნენ კიდეც) ქართველი პარტნიორები.

რევაზ ლაგვილავასთვის რიგოლეტოს პარტია იმდენად ჩვეულია, რომ საზღვრები როლსა და რეალურ ცხოვრებას შორის უკვე ძნელადღა იკითხება. ჭეშმარიტად ვერდისეული ბარიტონი, რომლის არტისტიზმი და ტემპერამენტი, ალბათ, ყველაზე საუკეთესოდ სწორედ რიგოლეტოს პარტიის შეფერება, გუშინ ჩვეულზე კიდევ უფრო მეტად ექსპრესიული იყო. მესამე და მეოთხე აქტის ფინალი მუსიკაში ყველაზე გაუთვითცნობიერებელ მსმენელსაც არ დატოვებდა გულგრილს.

რიგოლეტოსი არ იყოს, ჰერცოგის პარტია ტენორისთვის ერთ-ერთი ყველაზე ტიპური, ამავე დროს, საპასუხისმგებლოა. მეღოდია იმდენად დასამახსოვრებელია, რომ თავად ვერდიმ პრემიერის დროს სოლისტს მხოლოდ გენერალური რეპეტიციის დროს დართო ნება ბალადა ემღერა, რადგან ეშინოდა, რომ სპექტაკლის გამოსვლამდე მელოდია ქალაქში გავრცელდებოდა. თუმცა, რამდენადაც ყველასთვის ნაცნობია მელოდია, იმდენად მეტია შესაძლებლობა, რომ მჯობნის მჯობნი არ დაილევა. თემურ გუგუშვილის შემთხვევაში, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე მჯობნთაგანს ვუსმენთ ხოლმე. მსმენელის სიყვარულს გუგუშვილი ისედაც არ უჩიოდა. ამჯერადაც კი, მეოთხე აქტში მას ბისზეც მოუწია გამოსვლა.

რიგოლეტო - რევაზ ლაგვილავა, ჭილდა - ელენა ბრილიოვა.

როგორც ცნობილია, ბოლო დროს ოპერის თეატრში განსაკუთრებით მწვავედ იდგა ორკესტრის პრობლემა. სეზონის გახსნამდე სულ ცოტა ხნით ადრე თეატრი რამოდენიმე ათეულმა ორკესტრანტმა დატოვა. ამ პირობებში დირიჟორის პულტთან დგომა შესაშური არ არის, თუმცა გერმანელმა დირიჟორმა კორნელია ფონ კერსენბროკმა მაინც მოახერხა პრობლემებთან გამკლავება. რამდენიმე კვირის წინ კერსენბროკმა კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში "ამადიჩის" პრემიერას უხელმძღვანელა. ამ უკანასკნელს საკმაოდ არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰქონდა, თუმცა დირიჟორის ნამუშევარს ამ შემთხვევაშიც ყველა დადებითად აფასებდა. ცოტა ხნის წინათ კერსენბროკმა "რიგოლეტოს" ბაქოშიც უდირიჟორა. ბაქოშიც მთავარ პარტიას თემურ გუგუშვილი მღეროდა. ამ სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად და დირიჟორისა და მისი მასპინძლების გადაწყვეტილებით, იგი კიდევ რამდენიმე პროექტს განახორციელებს კავკასიაში.

ქართველ სოლისტებთან დირიჟორს ხანგრძლივი მუშაობის საშუალება არ ჰქონია, თუმცა სპექტაკლზე ეს ძნელად თუ შეიმჩნეოდა. **"შესანიშნავი დირიჟორია, კარგად იგძნობა პულსაცია"** – აღნიშნავს რევაზ ლაგვილავა, თუმცა იმასაც დასძენს, რომ მის მიერ მოცემული ტემპები იტალიური რეპერტუარის ტემპარამენტს მაინც არ შეეფერება. ასეა თუ ისე, თეატრის ორკესტრი არსებული სიტუაციის კვალობაზე ძალიან კარგად ჟღერდა.

9 ნოემბერს ოპერის მოყვარულნი კიდევ ერთ წარმოდგენას მოისმენენ ელენა ბრილიოვას შესრულებით. ამჯერად იგი "ტრავიატათი" წარსდგება ქართველი მსმენელის წინაშე.

კამიუდან რავალეკის და სხვათა გავლით

ნათია მირიანაშვილი

ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში მორიგი საღამო გაიმართა. ამჯერად დამსწრე საზოგადოებას საელჩოს კულტურის ატაშემ ახალი თარგმანები წარმოგვიდგინა. როგორც მოგეხსენებათ, მარტის თვეში, ფრანკოფონიის კვირეულთან დაკავშირებით, კამიუს სამი წიგნის თარგმანი ვიხილეთ, ხოლო კითხვის ზეიმს, რომელიც საფრანგეთში მხოლოდ სამი დღის მანძილზე აღინიშნა, საქართველოში ოქტომბერ-ნოემბრის თვეშიც ეხმაურებიან.

როგორც საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშემ - ფრანსუა ლორანმა აღნიშნა, საელჩო კარგა ხანია თანამშრომლობს მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამასთან, რომელიც ცნობილი ფილოსოფოსის, ფრანკოფონის და საზოგადო მოღვაწის სახელს ატარებს. მოკლედ, მერაბ მამარდაშვილის საზოგადოება, ქართველი გამომცემლები და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები ყოველწლიურად იკრიბებიან, რათა ფრანგული ლიტერატურის მთარგმნელები შეარჩიონ და შეძლებისდაგვარად, სამი-ოთხი მათგანი საფრანგეთის კულტურის სამინისტროს ფინანსური დახმარებით საფრანგეთს მიავლინონ ფრანგ გამომცემლებთან სათანამშრომლოდ და გამოცდილების მისაღებად.

ამჯერად ეს საპატიო მისია შვიდ ქართველ მთარგმნელს ხვდა წილად. სწორედ მათ თარგმანებს შეაფასებს ქართველი მკითხველი (რასაკვირველია, წიგნების შეძენის შემთხვევაში). ყველა წიგნი, რომლის პრეზენტაციაც დიუმას ცენტრში მოეწყო, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით, მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. რასაკვირველია, ვერც გამომცემლობა "სანის" გამოვტოვებთ, რომლის ძალისხმევითაც დაიბეჭდა ხსენებული თარგმანები. "სანის" დირექტორი ზაზა ბერიშვილი ფრანსუა ლორანმა ნამდვილ მუშკეტერს შეადარა, რადგან მისი დაჟინება და, შეიძლება ითქვას, საგამომცემლო საქმეში გმირობა, მუშკეტერების ხასიათს ესადაგება.

თუმცა, თარგმანების წარდგინებას არა პრეზენტაცია, არამედ, უფრო ლიტერატურული საღამო შეიძლება დაერქვას, რადგან თითოეული ნაწარმოებიდან ნაწყვეტებს ფრანგულ და ქართულ ენებზე ფრანსუა ლორანი, ვირჟინი კონსტანი, ახალგაზრდა ქართველი მსახიობები და ირაკლი კერვალიშვილი მხატვრულად გვიკითხავდნენ. სხვების რა მოგახსენოთ და, კულტურის ატაშე ფრანსუა ლორანი პროფესიონალ მსახიობებს არათუ ჩამოუვარდება მხატვრულ კითხვაში, არამედ მნიშვნელოვანწილად ჯობნის კიდეც.

და რაც მთავარია – წიგნები და თარგმანები...

მაშ ასე, **ვენსან რავალეკის** "მამალოების ქურდობა" - მთარგმნელი პაატა ჯავახიშვილი. უნდა ითქვას, რომ რავალეკი ერთობ უწმაწური ვინმე ყოფილა და თავის ნაწარმოებებში ისეთი სიტყვების ხმარება ჰყვარებია, როგორებიცაა – ტრაკი, ტყნაური და ასე შემდეგ...

ჟორჟ ფედოს პიესა "ეჭვის ჭია" ფრანგულიდან ირინა ღოღობერიძემ თარგმნა, **ბერნარ-მარი კოლტესის** "უდაბნოში დაბრუნება" – ეკა ენუქიძემ, **მარი დარიესეკის** "ტრუიზმები" – თამუნა ლომიძემ და შორენა ნინიაშვილმა. რაც შეეხება **ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის** "პატარა უფლისწულს", რომელიც გიორგი ეკიზაშვილმა თარგმნა, ცალკე საზეიმო კვირეულს მოუწყობენ, რომელიც ნამდვილი უფლისწულის ზეიმი იქნება. და კიდევ – "კულტურის პოლიტიკა" (საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება) მანანა მაჭავარიანმა და ნინო კიტოვანმა თარგმნეს.

საფრანგეთის კულტურის ატაშე ფრანსუა ლორანი.

რაც მთავარია, საღამო-პრეზენტაციას საქართველოში საფრანგეთის ახალი ელჩი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი-კაშია ესწრებოდა. მოკლედ, პარიზის ეროვნული თავდაცვის გენერალური სამდივნოს საერთაშორისო და სტრატეგიულ საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელი პირდაპირ თბილისში და პირდაპირ დიუმას ცენტრში მოწყობილ თარგმანების პრეზენტაციაზე მოხვდა, რითიც, შეიძლება ითქვას, საქართველოში თავისი ელჩობის სეზონი გახსნა.

თარგმნილი ნაწარმოებებიდან წაკითხული ნაწყვეტების მოსმენით დამაშვრალ საზოგადოებას უკვდავების წყაროსავით შეერგო ფრანგების მიერ შემოთავაზებული "ფურშეტი".

ბაქოს კედლები და წითელი ვარდები

თეონა ჯაფარიძე

გუშინ საღამოს რევოლუციის ზღვარზე მისულ თბილისში კიდევ ერთი გამოფენა გაიხსნა: გუგა კოტეტიშვილმა "ძველ გალერეაში" ბაქოში შექმნილი ფოტოები გამოფინა. ეკლექტური სტილით ცნობილი დიზაინერი, თავისი ერთი შეხედვით "აკადემიური" გამოფენით, ამ აბობოქრებულ ქალაქში, სწორედ რომ ეკლექტურობის განსახიერებად მოგვევლინა: პუბლიკას, ძირითადად, ქართველი მხატვრების რადიკალური ფრთა შეადგენდა. ფურშეტი, როგორც გუგას გამოფენებისთვისაა დამახასიათებელი, გუშინაც art-ისტული იყო: მაგალითად, ერთი წლის წინ გამოფენაზე, მახსოვს ის დამთვალიერებელს ცოცხალი, ულამაზესი ნატურმორტებით გაუმასპინძლდა "კლუბ 22"-ში. გუშინ საღამოს კი სალონურობას პირდაპირ რკინის ტაშტებში უხეშად ჩაყრილი ხილით დაუპირისპირდა, რევოლუციისაგან მოტანილ ჭუჭყს კი სუფთად გაპარსული წვერით, აკადემიური კოსტუმით და ხელში წითელი ვარდით. (სწორედ ასე იღებდა ის გამოფენაზე მისულ სტუმრებს). მისი ნამუშევრებიც სწორედ ასეთივე ორაზროვანია: "ძველ გალერეაში" წარმოდგენილი ნამუშევრები, რომლებიც ერთი შეხედვით დახვეწილ ფერწერას უფრო მოგაგონებთ, სინამდვილეში მიტოვებული სახლის ნანგრევების ფოტოებია. გუგა ხომ ნანგრევებიდან ხშირად ქმნის სილამაზეს. თავის დროზე დასავლეთის არტ-კრიტიკოსებმა ხომ მის ხელოვნებას ომის ნანგრევებიდან შექმნილი ხელოვნება უწოდეს (იგულისხმებოდა თბილისის ომი).

"ძველ გალერეაში" წარმოდგენილი ფოტოები სწორედ ის ნამუშევრებია, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი დღით გამოიფინა. ამ უჩვეულო ფოტოებმა საზოგადოების ყურადღება მაშინვე მიიპყრო და ამიტომ ნამუშევრები ამჯერად საგამოფენო სივრცეში მოხვდა, რათა დამთვალიერებელმა კიდევ ერთხელ ნახოს.

შეგახსენებთ: ყველაფერი ხელოვნების მენეჯერთა კავკასიის ქსელის კოორდინატორის - ქეთი კორძახიას პროექტით დაიწყო, რომელმაც ბაქოში თავი მოუყარა აზერბაიჯანელ, ფრანგ, ბალტიისპირელ და ქართველ მხატვართა ჯგუფს. (საქართველოდან ორი მხატვარი - ლადო ფოჩხუა და გუგა კოტეტიშვილი იყვნენ წარდგენილნი) ქეთის პროექტი ერთ-ერთ არტ-მიმდინარეობას, ლენდ-არტს უკავშირდებოდა, რომლის საშუალებითაც მხატვრებს, კასპიის ზღვაში ბაქოსთან ახლოს მდებარე გაპარტახებული კუნძული, ყოფილი სამხედრო ბაზა უნდა აეთვისებინათ. (კუნძულს "ნარგინი" ჰქვია) პროექტი სექტემბერში განხორციელდა და მის შესახებ პრესამ და ტელევიზიამ საზოგადოებას უკვე ამცნო. როგორც ქეთი კორძახიასაგან შევიტყვეთ, ამჯერად მზადდება პროექტის ამსახველი დოკუმენტური ფილმი, კატალოგი და ფოტო-მასალა.

გუგას კი ეს ფოტოები პროექტის დასრულების შემდეგ შეუქმნია: ეს კუნძულზე მიტოვებული დანგრეული სახლის ფრაგმენტებია. აქცენტი კედლის ფაქტურაზე და ფერზეა გაკეთებული და ერთი შეხედვით ფერწერას მოგაგონებთ. (უმჯობესია, მიხვიდეთ "ძველ გალერეაში" და თავად ნახოთ) როგორც ქეთი კორძახიასაგან შევიტყვეთ, აზერბაიჯანულ მხარეს დაებადა იდეა, რომ გუგას ფოტოებისაგან შეექმნას ალბომი - "ბაქოს კედლები".

გუგა კოტეტიშვილი მშვიდობის ვარდით.

დღეს ბაქოს კედლები თბილისშიც გამოიფინა. ბაქოს დიქტატურა საქართველოშიც რომ არ დაიბადოს, გამოფენაზე მხატვართა ერთი ჯგუფი ახალი ლოზუნგით გამოჩნდა: "კმარა ასლან ფაშა! კმარა ფაშიზმი!" ყველაფერ ამას კი გუგას წითელი ვარდი ახლდა თან. ასე, რომ გუგა კოტეტიშვილის "აკადემიური" გამოფენა, ნამდვილად, ჩაჯდა ჩვენი ქალაქის რევოლუციურ კონტექსტში.

შოტლანდიური პატრიოტიზმი, ირონია და პოპ-მუსიკა

თამარ ბაბუაძე

MTV-ისა და ედინბურგის "გარიგება"

როგორც ჩანს, არსებობს "კონტინენტური პატრიოტიზმიც". ის განსაკუთრებით მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როდესაც MTV-ის ევროპული მუსიკალური ჯილდოების გადაცემის ცერემონიალი ახლოვდება.

ამ დროს პიკს აღწევს საერთო-კონტინენტური განცდა, რომელსაც მატარებლით თუ ველოსიპედით, ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობისას თითოეული ევროპელი განიცდის ქვეცნობიერად.

ამ დროს ევროპელებს ეამაყებათ, რომ ჯილდოვდება სწორედ ევროპული MTV-ის ეთერში დატრიალებული სიმღერები. ე.ი. ჯილდოვდებიან მათი რჩეული შემსრულებლები.

მუსიკალურად გამოვლენილ ამ პატრიოტიზმს აქვს ხოლმე თავისი ეპიცენტრიც. შარშან ის ბარსელონა იყო, რომელიც პარალელურად აღნიშნავდა უდიდესი არქიტექტორის ანტონიო გაუდის წელსაც. თუმცა, MTV-ის ცერემონიალმა თავიანთი კუთხის ერთგულ ბარსელონელებს გაუდიც კი ცოტა ხნით გვერდზე გადაადებინა; ქალაქის მერს კი ათქმევინა, რომ მათთვის "ეს ცერემონიალი 1990 წელს ჩატარებული ოლიმპიური თამაშების შემდეგ უდიდესია".

წელს MTV-მ ერთიანი ევროპის ყურადღება მიმართა პატრიოტიზმის მხრივ არანაკლებ პრეტენზიული ქალაქისკენ – ედინბურგისკენ. აქ MTV-ის ორგანიზატორებს "საგრადა ფამილიას", ტორეადორებისა და პლაჟების ნაცვლად, დახვდათ ვისკით მთავრალი კილტიანი მამაკაცები, ბევრი პაბი, ბევრი მთა და დედოფალი მერით, უოლტერ სკოტით, კონან დოილით თუ შონ კონერით სავსე ისტორია. ანუ, მოხდა გაუთვალისწინებელი რამ – საერთო ევროპული სულისკვეთება ედინბურგში მაინც შოტლანდიურმა სიამაყემ დაჯაბნა. ეს ადგილობრივ-კონტინენტური პატრიოტიზმის ნაზავი MTV-ის მუსიკალურ ცერემონიალზეც ბევრჯერ გახმიანდა.

მეტიც, შოტლანდიელებმა ამ ერთი ღონისძიებით, რომელსაც შოუბიზნესის მთელი ვარსკვლავეთი ესწრებოდა, თავიანთი ტრადიციები და ისტორიაც მოხერხებულად "გაყიდეს". ამის დასტურად, ცერემონიალზე მისულმა შოტლანდიის პირველმა მინისტრმა ჯექ მაქკონელმა თქვა: MTV-ის ცერემონიალმა ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ტურიზმის რუქაზე დააბრუნაო და ივარაუდა, რომ შოუ ადგილობრივ ეკონომიკას 4 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეჰმატებს. თუმცა, ამაზე ოდნავ ქვემოთ, ახლა გადავხედოთ "როიტერსს", სი-ენ-ენ-სა და ბი-ბი-სის და ვნახოთ, რა ხდებოდა ქალაქში 6 ნოემბრის ღამეს.

საუკეთესო მამაკაცი - ჯასტინ ტიმბერლეიკი.

კრისტინა აგილერას საღამოს სენსაცია უწოდეს.

კილტიანი შოტლანდიელები ა

REUTERS

ფინქი.

ვიმ დიზელი.

შონ პოლი.

ბეიონს ნოულსი.

აგილერას შოუ

თუ შარშან ბარსელონაში უკონკურენტოდ ლიდერობდა ემინემი, წლევანდელი საღამოს გმირი ჯასტინ ტიმბერლეიკი იყო. ის საუკეთესო მამაკაცი შემსრულებელი გახდა და მოიპოვა ორი სხვა ჯილდოც – საუკეთესო ალბომისა და საუკეთესო პოპისთვის. **"შოტლანდიაში პირველად ვარ და მადლობა მინდა გადაგიხადოთ. ეს ულამაზესი ქვეყანაა, ხალხიც შესანიშნავი. უკვე გავსინჯე თქვენი პუდინგიც"**, - ასე იხდიდა მადლობას ტიმბერლეიკი, რომელსაც შოტლანდიაშიც მრავალი ფანი გამოუჩნდა.

სცენაზე მისი ყოველი გამოჩენა ოვაციებით აღინიშნებოდა. თინეიჯერებმა განსაკუთრებით ბევრი იცინეს ერთ წინასწარ დადგმულ ხუმრობაზე, როდესაც კრისტინა აგილერამ ტიმბერლეიკს შიშველი ქალის გასაბერი თოჯინა გადასცა – ჩვენ რომ ერთად ვმოგზაურობდით, იმ ავტობუსში დაგრჩაო.

თავად აგილერას კი "როიტერსმა" საღამოს მთავარი სენსაცია უწოდა, ოღონდ, სავარაუდოდ, უარყოფითი გაგებით და აი, რატომ: შოუს მასპინძელი მომღერალი კაბებს გასაოცარი სისწრაფით იცვლიდა. ერთხელაც კულისებიდან დაბრუნებული მონაზვნის კაბაში გამოცხადდა. შემდეგ ამღერდა და პარალელურად სტრიპტიზიც გააჩაღა. **"ბოლოს მის ტანზე ის ბიუსტჰალტერიღა დარჩა, რომელიც სიმღერა Dirrty-ს შესრულების დროს აცვია ხოლმე და რომელსაც, პრინციპში, ტანსაცმელს ვერც ვუწოდებთ"**, - წერდა "როიტერსის" კორესპონდენტი. ბი-ბი-სის ჟურნალისტი კი დასძენდა, რომ გამჭვირვალე კორსაჟში გამოწყობილი აგილერას გამოჩენაზე კილტიან შოტლანდიელ კაცებს ერთსულოვანი გმინვა აღმოხდათ.

თუმცა, მომღერალს სტრიპტიზი დაუფასდა. ის საუკეთესო ქალი-შემსრულებელი გახდა. **"ეს ჩემი შოუა და თუ ვინმე გაშიშვლების პრინციპით დავჯილდოვდება, პირველი მე ვიქნები"**, - ასე ახსნა მან გამარჯვება.

ედინბურგში შედგა შონ პოლის ოფიციალური ინაუგურაციაც. ის საუკეთესო ახალი შესრულების პრიზით დაავჯილდოეს. "როიტერსმა" კი მას "ბობ მარლის შემდეგ იამაკის უდიდესი ვარსკვლავი" უწოდა. შონ პოლმა ედინბურგელ პუბლიკას ბეიონს ნოულსთან ერთად სიმღერაც შეუსრულა. უნდა ითქვას, რომ იმ საღამოს ბეიონსსაც გულით ემღერებოდა: საუკეთესო რიტმ-ენ-ბლუზისა და საუკეთესო სიმღერის პრიზები სწორედ მას გადაეცა.

შოტლანდიელმა თინეიჯერებმა ბევრი იმხიარულეს White Stripes-ის ახალ ჰიტზეც Seven Nation Army-ზეც. ეს ისედაც რიტმული სიმღერა, კიდევ უფრო ენერგიულად ჟღერდა – ავტორებმა ხომ საუკეთესო როკის ჯილდო მოიპოვეს.

სამწუხაროდ, შოუს არ ესწრებოდა ემინემი, რომელმაც მადლობა საუკეთესო ჰიპ-ჰოპ ჯილდოსთვის ვიდეო-შეტყობინებით გადაიხადა (მან ეს პრიზი მეხუთედ მიიღო); არსად ჩანდნენ არც საუკეთესო ჯგუფის პრიზის მფლობელი "ქოლდფლეის" წევრები. ჯგუფის ლიდერი კრის მარტინი ლონდონში იმყოფებოდა, სადაც მეგობარი გოგონას, გვინეტ პელტროუს ფილმის – "სილვიას" პრემიერას ესწრებოდა. საღამო ფინქის გამოსვლამ დაასრულა. მან პუბლიკას ახალი სინგლი Trouble შეუსრულა.

პატრიოტიზმი და პრესა

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საერთო კონტინენტური განწყობა, რომელიც შარშან ბარსელონაშიც იგრძნობოდა, ედინბურგში შოტლანდიურმა პატრიოტიზმმა დაჯაბნა. ეს აშკარა იყო საკონცერტო დარბაზის ზღურბლიდანვე, სადაც "ოსკარის" წითელი ხალიჩის ინტერპრეტაციით წითელი ტარტანის ხალიჩა ეგო. კილტები ეცვათ სცენაზე გამოჩენილ ბიჭებსაც.

პუბლიკა გაძლიერებული სიამაყით ხვდებოდა წარმოშობით შოტლანდიელ ვარსკვლავებს: ჯგუფ "თრევისს", "თექსასის" შერლინ სპიტერსა და "გერბიჯის" შირლი მენსონს. "თრევისის" ბიჭები აცხადებდნენ, რომ **"MTV მსოფლიოში საუკეთესო ქვეყანაში ჩამოვიდა. ედინბურგს კი ხალხი აქამდე უსინდისოდ უვლიდა გვერდს, რადგან არსებობს ის დიდი ადგილი ბრიტანეთის ქვემო ნაწილში, რომელსაც ლონდონი ჰქვია"**.

შირლი მენსონიც დასძენდა, რომ **"შოტლანდიის შესაძლებლობებს აქამდე რატომღაც არ იყენებდნენ. ახლა კი ძალიან ვამაყობ, რომ, როგორც იქნა, MTV-მ არჩევანი მასზე გააკეთა"**.

საკუთარი ქვეყნის ღირსებებს იცავდა შერლინ სპიტერიც. ის წუხდა, რომ ამერიკელი ვარსკვლავები მათ დედაქალაქს "ედინ-ბოროუს" ეძახიან და ითხოვდა, იქნებ ეს სიტყვა სწორად გამოთქვათო.

ასე რომ, პატრიოტული ფონი იყო ის მთავარი ნიშანი, რაც წლევანდელ MTV-ის ცერემონიალს წინა წლებისგან გამოარჩევდა: შოტლანდიელებმა მადლობა გადაიხადეს მათი ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანის გამო, მაგრამ MTV-ის გამოჩენა საერთო ეროვნულ დღესასწაულად მაინც არ აქციეს.

ზომიერება შეინარჩუნა თვითონ პრესამაც. მართალია, "სკოტსმენი" და "ჰერალდი" ცალსახად წერდნენ, რომ ეს საღამო შოტლანდიის ტურიზმს ააყვავებს, მაგრამ არც გაშიშვლებული პოპვარსკვლავების გაკრიტიკება დავიწყებიათ. ყველაზე მძაფრი იყო "სკოტსმენში" გამოქვეყნებული კირკ ელგერის წერილი, რომელშიც ავტორი დასცინოდა კრისტინა აგილერასაც და ჯასტინ ტიმბერლეიკსაც. **"საუკეთესო შემსრულებელი ზემოთხსენებული მისტერ ტიმბერლეიკი გახდა. ის ისე მღეროდა, როგორც ნისკარტგადაყლაპული ჩიტი. მაგრამ მან მოახერხა და მშვენივრად მოირგო ჩემი ოთხფუნტიანი ქუდი, რომელიც სცენაზე გასვლამდე 500 ფუნტად მივყიდე. აი, ჩიჩოტკას ცეკვაც რომ ისწავლოს, ამ ბიჭს დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებდი"**, - ასე ასრულებდა წერილს ელგერი.

რაღა დაგიმალოთ და, ეს ბოლო აბზაცები ე.წ. პატარა ქვეყნის გამძაფრებული სინდრომით შეპყრობილმა დავწერე. ედინბურგში მსოფლიო დონის შოუს გამართვა და პატრიოტი შოტლანდიელების გამოჩენა ისე მესიამოვნა, როგორც თბილისის კარგად ყოფნა გამეხარდებოდა.

იქნებ, მოვლენები ჩვენთანაც ისე დაგვირგვინდეს, რომ მსოფლიო ტურისტულ რუქაზე ოდესმე თბილისიც გაიყვანონ; რომ მას ხალხმა გვერდი აღარ აუაროს "მიმდებარე რეგიონის ზედა ნაწილში განლაგებული დიდი ადგილის გამო, რომელსაც მოსკოვი ჰქვია"... თან, ალბათ, მანამდე საკუთარი ღირსების დაცვაც უნდა ვისწავლოთ და შოტლანდიელთა პრინციპით - "ედინ-ბოროუ კი არა ედინბრაა", ჩვენც გავბედოთ ხოლმე უცხოელთა დანამუსება - "თიბლისი კი არა თბილისი უნდა თქვათ!"

ათეულები

კვირის გესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით

წიგნი	ავტორი	გამომცემლობა	გაყიდული წიგნების რაოდენობა
"გოგორი"	ოთარ ჭილაძე	"რუსთავი 2 პრესი"	8
"რაც მავონდება და როგორც მავონდება"	ლანა ღოღობერიძე	"ბერეტი"	7
სონეტები (რ. ათაშუაძეულის თარგმანი)	უილიამ შექსპირი	"ბაკმი"	7
	დეკი (ურეშელი)	"რუსთავი 2 პრესი"	6
	საბავშვო ენციკლოპედია	ბაგურ სულავურის გამომცემლობა	6
"მოგვთა სარეცხი"	ო'ბერნი	"აიდ-მენეჯმენტ"	6
"საშოსელი პირველი"	გურამ დოჩანაშვილი	"ზანი"	5
"ზ8ნა"	რიტა ამაღლობელი	"ხაარი"	5
"დარის ზღაპრები"	ოტია ოსეელიანი	"ბაკმი"	4
"გიორგი პრწყინვალე"	ქაბუა ამირეჯიბი	"ბაკმი"	4
წიგნი	ავტორი	გამომცემლობა	გაყიდული წიგნების რაოდენობა

კვირის საუკეთესო ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

ფილმი/რეჟისორი	მსახიობი	უიკენდის შემოსავალი $	საერთო შემოსავალი $
1. "საშინი კინო-ჯ" ფეიდ უოლერი	ანა ფარისი, ქრის ლატიფა, ჩარლი შინი, პამელა ანდერსონი	20,817,468	77,540,714
2. "ძმა დათუ" აარონ ბლეიში	ხოაკინ ფენიქსი, ჯერემი სუარესი	19,404,492	19,802,809
3. Texas Chainsaw Massacre მარკუს ნისპელი	ჯესიკა ბილი, ერიკ ბალფორი	10,818,401	66,047,114
4. "რადიო" მაკ გოლინი	ქუბა გუდინგი უმცროსი, ედ ჰარისი	9,638,693	26,245,062
5. "გაქცეული სასაძრაგლი" გარი ფლედერი	ჯონ კუზაკი, ფასტერ პოფინი, ჯონ პავლინი	6,525,082	33,316,320
6. "შინტერული მფრინავე" კლინტ ისტვუდი	შონ პენი, ტიმ რობინსი, ლორენს ფიშბერნი, კევინ ბეკონი	6,232,376	33,546,588
7. "მოკალი მილი, ნან.1" ჭეფერონ გარანტინი	უმა ტურმანი, ფეიდ კარიდენი, ლესი ლა ფეირილ პანი	4,529,607	40,881,929
8. "როკის სკოლა" რიჩარდ ლინკლეიტერი	ჯეკ ბლეკი, მაკ ეითი, ჯოან კიუზაკი	4,522,814	69,244,526
9. "ვაშინძლისა პორტებს" ჯოელ კოენი	კეტრინ ზეტა ჯონსი, ჯორჯ კლუნი, ჯეფრი რაში	2,499,895	31,897,330
10. "კარგი ბიჭი!" ჯონ პოფსანი	მოლი შეანონი, შეიოუ პრიდჟრიკი, ბრიტანი მურფი, ვანესა რეგეტუტი	2,262,583	35,258,470



რიტმ-ენ-ბლუზის კვირის ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

შემსრულებელი	სიმღერა	ადგილი წინა კვირის ჩარტებში	ჩარტებში ყოფნის პერიოდი
1. ლუდაკრისი და შეანა	Stand Up	1	13
2. ამანი	Rain on Me	3	16
3. შეიოსი და შონ პოლი	Baby Boy	2	19
4. ჩინგი, ლუდაკრისი და სნუპ დოგი	Holidae In	6	10
5. იანგ ბლად ზი და ლილ ჯონი	Damn!	4	20
6. არ. კელი	Step In The Name of Love	5	39
7. ჯეისი ჯეი	Walked Outta Heaven	7	13
8. აუთქასთი და სლიფი ბრაუნი	The Way You Move	8	9
9. ლილ ჯონი, ისი ბაიგ ბოში და ან-იან ფუნკი	Get Low	10	31
10. არ. კელი	Thoia Thoing	9	19

პროფესიული ლიგა: რეფორმები გრძელდება

საქართველოს პროფესიული ლიგის ახალ გადაწყვეტილებებზე თითქმის უკვე ყოველდღიურად გაცნობებთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ჩემპიონატში რეფორმები მიმდინარეობს.

გუშინ და გუშინწინ საქართველოს პროფესიული ლიგის ხელმძღვანელებმა კონსულტაციები გამართეს საქართველოს ჩემპიონატის მატჩების ინსპექტორებთან და დირექტორებთან. ამ შეხვედრის მოწყობა პროფესიული ლიგისა და ქართული კლუბების ხელმძღვანელთა ერთობლივი ინიციატივა იყო, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ პრობლემების გადაჭრით, პირველ ყოვლისა, თავად კლუბები არიან დაინტერესებულები. კონსულტაციებისას განიხილეს რამდენიმე პრობლემა და მათი გადაჭრის მიზნით, შესაბამისი გადაწყვეტილებებიც მიიღეს.

რა დასამალია და, ყველაფერთან ერთად, საქართველოში მსაჯების უსაფრთხოების პრობლემაც დგას. პროფესიული ლიგა ვითარების დაუყოვნებლივ გამოსწორებას ცდილობს და საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე კლუბებს მსაჯების უსაფრთხოების მაქსიმალურად დაცვას ავალებს. ლიგის ხელმძღვანელთა აზრით, მსაჯების უსაფრთხოება თავად თამაშის ხარისხზეც იქონიებს გავლენას. "მსაჯს, რომელიც დაუცველია და იმაზე ფიქრობს, ვინმემ რამე არ დაუშავოს, ცხადია, უჭირს მატჩზე კონცენტრირება. აქედან გამომდინარე, ბევრია შეცდომა", - ითქვა შეხვედრაზე.

კონსულტაციებისას ისიც აღინიშნა, რომ საქართველოს ჩემპიონატის მატჩების შეჯამებისას ხშირად ხდება დარღვევებისა და მსაჯთა შეცდომების მიჩქმალვა, მოხსენებით ბარათებსა და ოქმებში ხშირად უზუსტო ინფორმაცია შეაქვთ. ამის გამო, არაობიქტური მსაჯები არ ისჯებიან და კვლავაც ინიშნებიან მატჩების სამსაჯოდ. პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობა მატჩების ინსპექტორებსა და მსაჯებს კატეგორიულად სთხოვს თამაშების ობიექტურად განხილვას და ოქმებში ნებისმიერი ნიუანსის შეტანას.

სიახლე იქნება ბავშვთა ფეხბურთშიც. შეხვედრაზე ისიც ითქვა, რომ ბავშთა გუნდების მატჩებზე მსაჯები დიდ ზეწოლას განიცდიან, პირველ ყოვლისა, მშობლების მხრიდან. ამის გამო, არაობიექტურმა მსაჯობამ ბავშვთა ფეხბურთშიც მყარად მოიკიდა ფეხი. ამიერიდან ბავშვთა გუნდების მატჩებზე მიავლენენ ეროვნული ჩემპიონატის ინსპექტორებს, რომლებიც დაეხმარებიან მსაჯებს, რათა ნორმალურ პირობებში მუშაობის საშუალება მიეცეთ.

„იუვე„ „ალეს„ გარეშეც ძლიერია!

ნინო პირველი

მიმდინარე სეზონში ტურინის "იუვენტუსი" სასწაულებს ახდენს. მარჩელო ლიპის გუნდი შესანიშნავ ფორმაშია და ერთნაირად კარგად ასპარეზობს როგორც სერია ა-ში, ისე იტალიის თასსა და ჩემპიონთა ლიგაში. 23 სექტემბერს ტურინელებს მძიმე დღე გაუთენდათ: "იუვეს" კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო მძიმედ დაშავდა და 45 დღით გამოეთხოვა ფეხბურთს. მაშინ ყველას ეგონა, რომ "იუვე" დელ პიეროს გარეშე დაილუპებოდა: სერია ა-შიც დაკარგავდა ლიდერობას და ჩემპიონთა ლიგაშიც, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ტურინელებმა "პინტურიკიოს" არყოფნაში ყველა მატჩი მოიგეს და მხოლოდ ორი დაასრულეს ფრედ: ერთი "მილანთან", "სან-სიროზე" და ერთიც "რეალ სოსიედადთან", სანსებასტიანში. "იუვემ" დაამტკიცა, რომ სულაც არ არის დამოკიდებული ალესანდრო დელ პიეროზე და მის გარეშეც საკმაოდ კარგად შეუძლია თამაში. ოთხი მატჩიდან სამი მოგება და ერთი ფრე ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ მადრიდის "რეალს" აქვს და, ესპანელებთან ერთად, "იუვე" ერთადერთი კლუბია, რომელიც ორი ტურით ადრე ჯგუფური ტურნირის დამთავრებამდე უკვე მერვედფინალშია გასული. "იუვენტუსი" ისეთია, როგორიც "რეალი", - მიაჩნიათ "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტებს, – წლეულს "იუვე" აუცილებლად ლიგის მოსაგებად იბრძოლებს. მერე სერია ა? ტურინელები არც ამაზე ამბობენ უარს. ალექს დელ პიეროსთვის წლევანდელ "სკუდეტოს" განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: "იუვეს" კაპიტანი 28 წლისაა და ძალიან უნდა, ტურინელ კლუბს 28-ე "სკუდეტო" მოაგებინოს. ეს ორმაგი საჩუქარი იქნება ჩემთვისო, - ამბობს კაპიტანი. მანამდე კი დიდი დროა, იტალიის ჩემპიონის ვინაობა ხომ გაზაფხულის მიწურულს უნდა გაირკვეს. კვირას, 9 ნოემბერს, დელ პიეროს დაბადების დღე აქვს. სწორედ ამ დღეს ის "იუვეს" უბრუნდება და ტურინულ "დელე ალპიზე" "უდინეზეს" ხვდება. ამ მატჩში გატანილი გოლებიც არ იქნებოდა ცუდი საჩუქარი იუბილარისთვის.

დელ პიერო "იუვეს" უბრუნდება, მაგრამ არა იტალიის ეროვნულ გუნდს. მისი ტრავმა იმდენად სერიოზული იყო, რომ ახლა არ ღირს რისკზე წასვლა და ზედმეტი დატვირთვა. "ალე" "იუვესთვის" მეტად საჭიროა, "სკუადრა აძურა" კი მის გარეშეც ჩაატარებს ორ ამხანაგურ მატჩს. რაც მთავარია, ნაკრებს უკვე აქვს ევროპის ჩემპიონატის საგზური და აღარ სჭირდება სერიოზული ბრძოლა. ჯოვანი ტრაპატონის (რომელიც ადრე "იუვენტუსში" მუშაობდა) შესანიშნავად ესმის, რომ "არ შეიძლება დელ პიეროს ჯანმრთელობის გარისკვა. ის ჯერ არ დაბრუნდება ნაკრებში", - ამბობს მარჩელო ლიპი.

მართალია, ლიპი ირწმუნება, დელ პიეროს გარეშეც შესანიშნავად ვთამაშობთო, მაგრამ მაინც ძალიან უხარია "პინტურიკიოს" დაბრუნება. თუნდაც იმიტომ, რომ მალე "რომას" წინააღმდეგ უწევს თამაში და ფაბიო კაპელოს გუნდს ლიპი მეტად სახიფათოდ მიიჩნევს. "ჩემპიონთა ლიგაში ესპანელები და ინგლისელები მეტად რთული მეტოქეები არიან, იტალიის ჩემპიონატში კი "რომას" გამოყოფდი. "მილანის" არ გვეშინია, მას ყოველთვის თანაბრად ვეთამაშებით. "რომა" უფრო რთული შემთხვევაა", - ამბობს ლიპი. არც არის გასაკვირი, ასე რომ ფრთხილობს. რომაულ კლუბებთან თამაში "იუვეს", ტრადიციულად, უჭირს. თუ ტურინელები საკუთარ მოედანზე ვინმესთან აგებენ, ეს ან "ლაციოა", ან "რომა". ახლა "რომა" საკმაოდ კარგ ფორმაშია, "იუვეს" და "მილანს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება და ლიდერობაზე აქვს პრეტენზია. სწორედ ამიტომ ფრთხილობს ასე მარჩელო ლიპი. "იუვეს" მენეჯერი ლუჩანო მოჯი კი აქედანვე იმუქრება, ამ სეზონში ყველაფერს მოვიგებთო. ამის პოტენციალი "იუვეს" ნამდვილად აქვს.

TV-სპორტი

შაბათი 8. ნოემბერი

NTV + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "რეალ სოსიედადი" – "იუვენტუსი"
15:00 "ექსპერტიზა"
15:30 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი
17:20 "გაიტანე!" ფრანჩესკო ტოტისთან ერთად
17:35 თავისუფალი დარტყმა
17:50 "ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი"
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:25 თავისუფალი დარტყმა
20:40 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 გერმანიის ჩემპიონატი
22:30 "ახალი ჩემპიონი"
23:30 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი
01:20 თავისუფალი დარტყმა
01:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

NTV + СПОРТ
10:00 "ყინულის ხანა". პროგრამა ჰოკეიზე
10:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
11:00, 13:45, 16:40, 21:30 პრესცენტრი
11:15, 21:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი
14:00 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "CUP OF CHINA"
16:55 ჰოკეი. ევროტური. "მეფის" თასი. რუსეთი – შვედეთი. პირდაპირი ტრანსლაცია ფინეთიდან
19:30 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "CUP OF CHINA"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "NEW YORK RANGERS" - "PHILADELPHIA FLYERS". პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
01:00 ახალი ამბები
01:15 ჰოკეი. ევროტური. "მეფის" თასი. ჩეხეთი – ფინეთი

EUROSPORT
06:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
11:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
14:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
14:30 ფეხბურთი. უეფას თასი
15:30 ფეხბურთი. უეფას თასი
16:30 ფეხბურთი. უეფას თასი
17:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
21:00 ჩოგბურთი. ჰოლივუდის ხეივანი
21:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
22:00 ფეხბურთი. უეფას თასი
23:30 მულტისპორტი
00:00 ექსტრემალური სპორტი
01:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
02:30 ახალი ამბები
02:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
04:00 ექსტრემალური სპორტი
04:30 ჩოგბურთი. WTA-ის ლეგენდები
05:30 ჩოგბურთი. ჰოლივუდის ხეივანი

ფეხბურთი

შუშაკი ცაკარიასს აქებს და სამ ქულას გეგმავს

მიხეილ აბაიშვილი

როგორც ცნობილია, საქართველოს პროფესიული საფეხბურთო ლიგის ინიციატივით, ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ყოველი მორიგი ტურის წინ გაიმართება მატჩისწინა პრესკონფერენციები. ჯერჯერობით, ამ სიახლეს პროფლიგის მხრიდან მხოლოდ რეკომენდაციის სახე აქვს და კლუბებს ამის გაკეთებას არავინ ავალდებულებს.

პირველი მატჩისწინა პრესკონფერენცია პროფლიგის ინიციატივის მეორე დღესვე, გუშინ გაიმართა. არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ ნოვაცია პირველმა თბილისის "დინამომ" და მისმა მწვრთნელმა, ივო შუშაკმა დანერგეს. თუმცა, მატჩისწინა პრესკონფერენციები შუშაკისთვის ნამდვილად არ არის უცხო ხილი. "დინამოსთვის" ტრიუმფალურ გასულ ჩემპიონატში მან რამდენიმე პრინციპული თამაშის წინ ჟურნალისტები მიიწვია და მედიის ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა.

გუშინდელი პრესკონფერენცია დიღმის ბაზაზე გაიმართა.

"ნებისმიერი "დერბი" სპეციფიკური ხასიათისაა. ასეთ თამაშებში, გუნდი, რომელიც სატურნირო ცხრილში უფრო მაღალ პოზიციას იკავებს, არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს ფავორიტად. შესაბამისად, ზეგინდელი თამაშის პროგნოზირება ძალიან ძნელია. მატჩზე გადამწყვეტ გავლენას იქონიებს პირველი გოლის ფაქტორი. მტკიცება არ უნდა, რომ "დინამოსა" და "ლოკომოტივის" ეს თამაშიც, წინა მატჩების



ივო შუშაკი: "გუნდის თამაშს სტაბილურობა შეეტყო".

მსგავსად, ტრადიციად ქცეულ უკომპრომისო და დაძაბულ ბრძოლაში ჩავიდის. თანაც, "ლოკომოტივს" ისევ ლუის ცაკარიასი ჩაუდგა სათავეში. გუნდის თამაშს სტაბილურობა და საიმედოობა შეეტყო, რაზეც "ლოკომოტივის" მიერ ჩატარებულ 2 მატჩში მოპოვებული 4 ქულა მეტყველებს. თუმცა, მოულოდნელი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ჩვენ გამარჯვების დიდი იმედი გვაქვს და 3 ქულას ვგეგმავთ", - განაცხადა ივო შუშაკმა.

მწვრთნელმა საკადრო პრობლემებზეც ისაუბრა. მისი თქმით, გიორგი ანჩაბაძე და კარლოს და როჩა, რომლებსაც, შესაბამისად, 3 და 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვთ, "ლოკომოტივთან" ვერ ითამაშებენ.

"თუმცა, დისკვალიფიკაციაც რომ არა, ეს ფეხბურთელები მოედანზე მაინც ვერ გამოვიდოდნენ, რადგან ძველი ტრავმები გაუმიზეზდათ. რაც შეეხება სხვა ფეხბურთელებს, თამაშამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და ძირითადი შემადგენლობის დასახელება ნაადრევია. თუმცა, იმას კი გეტყვით, რომ ამ მატჩში ახალგაზრდა თავდამსხმელის, სანდრო იაშვილის დებიუტი შედგება", - არ დაუმალა ცაკარიასს სტრატეგიული საიდუმლო შუშაკმა.

გასულ სეზონში "დინამო" ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე, სწორედ "ლოკომოტივთან" მატჩის შემდეგ გახდა ჩემპიონი. მაშინ "ლოკომოტივის" სტადიონზე რატი ალექსიძის მიერ მეორე ტაიმში გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით "დინამომ" გაიმარჯვა. ამ თამაშს მოჰყვა დიდი ვნებათაღელვა და "ლოკომოტივიდან" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების 50 პროცენტის გაშვება, რასაც სეზონის დასრულების შემდეგ ცაკარიასის წასვლაც (რომორც აღმოჩნდა, დროებითი) დაერთო.

ხვალინდელი მატჩი ნამდვილად არ არის ასეთი პრინციპული, თუმცა, ქართული ფეხბურთის არცთუ მრავალრიცხოვან მაყურებელს ურიგო სანახაობა არ ელის.

კალათბურთი

„დალასის„ დამარცხება საკმაოდ დიდი გმირობაა

სანდრო ნავერიანი

გუშინ გაიმართა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის სამი თამაში. სან ანტონიოში, "ესბისი ცენტრში", ადგილობრივმა "სფარზმა" "ლოს ანჯელეს ლეიკერსს" უმასპინძლა. მატჩი იმდენად დაძაბული იყო, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად ორი ოვერტაიმის დამატება გახდა საჭირო. კალიფორნიელებს რევანშის აღების კარგი შანსი მიეცათ. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში "სან ანტონიომ" ლოსანჯელესელები პლეიოფიდან გამოთიშა.

კალიფორნიელთა შემადგენლობაში შეუდარებელი იყო ბრაიანტი ო`ნილის ტანდემი. ორივემ ერთად გუნდს 72 ქულა შესძინეს (37+35). ო`ნილმა ოცჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. გერი პეიტონმა და კარლ მელოუნმა, შესაბამისად, 16 და 15 ქულა მოაგროვეს. მელოუნმა ასევე 19-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. "სან ანტონიოს" შემადგენლობაში არ იყვნენ გუნდის ლიდერები ტიმ დანკანი და ფრანგი ლეგიონერი ტონი პარკერი. ასეთი დანაკლისის მიუხედავად, "სფარზმა" მაინც კარგად ითამაშა. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ თამაშში ორი ოვერტაიმი დაინიშნა. "სფარზის" შემადგენლობაში, დანკანისა და კარტერის არყოფნაში, ლიდერობა თავის თავზე აიღო არგენტინელმა ლეგიონერმა მანიუ ჟინობილიმ (33 ქულა და 12 მოხსნა). 14-14 ქულა მოუტანეს გუნდს ჯეისონ ჰარტმა და რაშო ნესტეროვიჩმა. 15 ქულით და 8 მოხსნით დაეხმარა გუნდს მალიკ როუზი.

"ლეიკერსმა" 5 თამაშიდან ხუთივე მოიგო და ამ მაჩვენებლით საუკეთესოა ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში. მატჩის შემდეგ კობი ბრაიანტმა განაცხადა, რომ მოხარულია მიღწეული შედეგით, ყველაზე მეტად კი იმით, რომ მისმა გუნდმა სრულფასოვანი რევანში აიღო.

მეორე მატჩი ტორონტოში, "ეირ კანადა ცენტრის" პარკეტზე გაიმართა. ვინს კარტერმა და კომპანიამ "დალას მავერიკსს" უმასპინძლა. "ტორონტო რეფტორზი" ვაი-მასპინძელი გამოდგა დალასელი მოხეტიალეებისთვის. მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და უკანასკნელ მეოთხედამდე ვერავინ იტყოდა, თუ ვის უფრო დიდი შანსი ჰქონდა თამაშის მოგებისა. საბოლოოდ ტორონტოელმა რეფერებმა მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულეს. მათ რიგებში საუკეთესო იყო ვინს კარტერი, რომელიც ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ნელ-ნელა შედის ფორმაში. მან 19 ქულა მოაგროვა და 6 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. ანტონიო დევისმა, მორის პეტერსონმა და მილტ პალაჩიომ, შესაბამისად, 13, 12 და 11 ქულა მოუტანეს საკუთარ გუნდს. ტეხასელთა რიგებში კი, როგორც ყოველთვის, გერმანელი ლეგიონერი დირკ ნოვიცკი ბრწყინავდა. მან 27 ქულა მოაგროვა. ანტუან უოლკერმა და მაიკელ ფინლიმ, შესაბამისად, 14 და 11 ქულის მოგროვება შეძლეს. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ვინს კარტერმა განაცხადა, რომ ეს გამარჯვება მას და მის გუნდს ძალიან სჭირდებოდა, რათა თავიანთ ძალებში დარწმუნებულყვნენ. მართლაც, "დალასზე" გამარჯვება საკმაოდ დიდი გმირობაა, "დალასი" ხომ ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება ამ სეზონში.

მესამე მატჩი "ნიუ ჯერსი ნეთსის" "კონტინენტალ ეირლაინს არენაზე" გაიმართა. ნიუჯერსელებმა ინდიანელ აირლებს უმასპინძლეს. ტორონტოელთაგან განსხვავებით, ნიუჯერსელებს სცოდნიათ სტუმრმასპინძლობა. ინდიანამ მატჩი თავის სასარგებლოდ დაამთავრა. მათ შემადგენლობაში თავი გამოიჩინა რონ არტესტმა. მან 21 ქულა და 6 მოხსნა გააკეთა. ენტონი ჯონსონმა და ჯერმაინ ო`ნილმა, შესაბამისად, 17 და 15 ქულის მოგროვება შეძლეს. ინდიანელთა ცენტრმა დაცვაშიც გამოიჩინა თავი და 7 მოხსნასთან ერთად 6-ჯერ ჩაჭრა მეტოქის გადაცემა. ასევე გააკეთა 2 შედეგიანი გადაცემა. მასპინძელთა ლიდერი იყო კერი კიტელსი (23 ქულა, 9 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა). რიჩარდ ჯეფერსონმა, აარონ უილიამსმა და კეისონ კიდმა, შესაბამისად, 18, 15 და 10 ქულა მოაგროვეს.

გუშინვე გამოუტანეს განაჩენი "მინესოტა თიმბერვულვზის" ლიდერს, კევინ გარნეტს. მას 5000 დოლარის გადახდა დააკისრეს იმისთვის, რომ "იუტა ჯაზთან" გასვლითი მატჩის დროს ბურთი ტრიბუნებისკენ ისროლა. შეგახსენებთ: იმ მატჩში მსაჯებმა გარნეტი მეორე პერიოდში გააძევეს მოედნიდან. ასეთი იყო 7 ნოემბერი ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში.

ინფოთეკა

ფეხბურთი. მილანის "ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ ესპანურ "ვალენსიასთან" პაბლო აიმარის შეძენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წამოწყებას აპირებს. "ინტერი" "ვალენსიას" არგენტინელი ნახევარმცველით დიდად არის დაინტერესებული. ესპანური კლუბი კი ფეხბურთელის სანაცვლოდ 40 მილიონ ფუნტს მოითხოვს. "ინტერი" ამ თანხის გადახდისთვის მზად არ არის. მილანელები "ვალენსიას" გაცილებით ნაკლებ თანხას შესთავაზებენ, თუმცა, ფულთან ერთად, აიმარის სანაცვლოდ, ხავიერ ფარინოსისა და ივან კორდობას "გაღებას" აპირებენ.

■ ■ ■

ფეხბურთი. ტურინის "იუვენტუსი" ცენტრალური მცველის ძიებაშია და ამ მიზნით საკუთარი სკაუტიც მიავლინა ხორვატიაში. "იუვენტუსი" ზაგრების "დინამოს" მცველს, ბოისტან სეზარს აკვირდება. ახალი ცენტრალური მცველის შეძენის აუცილებლობის წინაშე ტურინელები იგორ ტუდორის ხანგრძლივი ტრავმების გამო დადგნენ.

■ ■ ■

ფეხბურთი. მალე "ლაციოს" მეკარეს, ანჯელო პერუცის, კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება, ახალი ხელშეკრულება კი ჯერ არ გაფორმებულა. პერუცის გადაბირებით უკვე დაინტერესდა ფრანგული "მონაკო", ასევე ინგლისური "ვულვერჰემპტონი" და "ბლექბერნი". "ლაციოს" პრეზიდენტი უგო ლონგო კი აცხადებს, რომ პერუცის გაშვებას არ აპირებს და მას აუცილებლად გაუფორმებს ახალ კონტრაქტს.

■ ■ ■

ფეხბურთი. "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ხელმძღვანელობისგან ახალი ფეხბურთელების შეძენას მოითხოვს. ფერგიუსონს გუნდის თავდასხმისა და ნახევარდაცვის გაძლიერება სურს და საჭირო თანხასაც ითხოვს. "მანჩესტერის" ხელმძღვანელობამ მწვრთნელის თხოვნა დააკმაყოფილა და ზამთრის სატრანსფერო სეზონში ახალი ფეხბურთელების შესაძენად 20 მილიონ ფუნტს გამოუყოფს. ფერგიუსონი "ვესტ ჰემის" თავდამსხმელის, ჟერმენ დეფოს და "ფულჰემის" თავდამსხმელის ლუი საჰას კანდიდატურებს განიხილავს.

■ ■ ■

ფეხბურთი. "არსენალის" ჰოლანდიელი თავდამსხმელი დენის ბერგკამპი, რომელსაც თვითმფრინავით ფრენის ეშინია, ჩემპიონთა ლიგის მომავალ მატჩში მილანის "ინტერის" წინააღმდეგ ითამაშებს, ოღონდ მილანში მანქანით ჩავა. "ცხადია, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია, მაგრამ "ინტერთან" თამაში ძალიან მინდა და მილანში აუცილებლად ჩავალ. თუ ჩვენ დარჩენილ მატჩებს მოვიგებთ, მერვედფინალში გავალთ", - აცხადებს ბერგკამპი. შეგახსენებთ, რომ ლონდონიდან მილანამდე 950 კილომეტრია.

■ ■ ■

ფეხბურთი. მილანური კლუბები "ინტერი" და "მილანი" გერმანული "შტუტგარტის" ახალგაზრდა თავდამსხმელის კევინ კურანეს შეძენით დაინტერესდნენ. "პანათინაიკოსისა" და "შტუტგარტის" უკანასკნელ მატჩში კურანეს "მილანის" წარმომადგენელი ჩეზარე მალდინიც აკვირდებოდა. "შტუტგარტთან" კონტრაქტი ფეხბურთელს 2005 წლამდე აკავშირებს, თუმცა, კლუბის ფინანსური პრობლემების გამო ვარაუდობენ, რომ "შტუტგარტი" მას მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე გაყიდის. კურანეს შეძენით "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ბარსელონაც" არიან დაინტერესებულნი.

■ ■ ■

ფეხბურთი. 21 სექტემბერს, "რომას" წინააღმდეგ მატჩში, ალესანდრო დელ პიერომ ტრავმა მიიღო და ამის შემდეგ "იუვენტუსს" ვერ ეხმარება. თუმცა, უკანასკნელი ინფორმაციით, დელ პიერომ ტრავმა მოიშუშა და მომავალ კვირას უკვე შეძლებს მოედანზე გამოსვლას. 9 იანვარს დელ პიეროს დაბადების დღე აქვს და მინდორზე დაბრუნება მისთვის საუკეთესო საჩუქარი იქნება. "დელ პიეროს უკვე შეუძლია თამაში. მისი დაბრუნება თანაგუნდელებზე კარგად იმოქმედებს. იმედი მაქვს, დელ პიეროს არ გამოიძახებენ იტალიის ნაკრების ამხანაგურ მატჩში, რადგან ის სულ ახლახან გამოჯანმრთელდა", - განაცხადა "იუვენტუსის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ.

ინფოთეკა

ფორმულა 1. წარსულში ცნობილი მრბოლი ჟან ალეზი გაბრაზებულია პოლიციასა და პრესაზე, რადგან მათი წყალობით გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც სიჩქარის გადაჭარბებისთვის მართვის მოწმობის ჩამორთმევას ეხება. ყოფილი მრბოლი, რომელიც ახლა DTM-ის სერიაში გამოდის, აცხადებს, რომ ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება, რადგან ავტოსტრადაზე 181 კმ/სთ მივქროდი და არა 191 კმ/სთ, როგორც ეგენი ამბობენო.

"ყველა რადიოსადგურმა და ინტერნეტ-რესურსმა არასწორი ინფორმაცია გაავრცელა, - აცხადებს ალეზი და იქვე იმასაც აღიარებს, რომ გზაზე სიჩქარე 130 კმ/სთ-ით იყო განსაზღვრული. ამასთან, 39 წლის ალეზი, რომელიც 2001 წელს ფორმულა 1-ში "ჯორდანის" ღირსებას იცავდა, არც წესრიგის დარღვევის ფაქტს უარყოფს. – ვაღიარებ, რომ შეცდომა დავუშვი".

გარდა ამისა, როგორც თავად ცნობილი მრბოლი გვამცნობს, ჯარიმის სახით, 750 ევრო გადაიხადა, მაგრამ მართვის მოწმობა არ ჩამოურთმევიათ. "ვწუხვარ, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით საფრანგეთის პოლიციამ ასეთი ხმაური ატეხა", - თქვა მრბოლმა.

■ ■ ■

ფორმულა 1. ის, რაც თავდაპირველად არასერიოზულად ჟღერდა, რეალობად იქცევა. ყოველ შემთხვევაში, 11 დეკემბერს უმაღლესი პილოტაჟის მოწმენი უნდა გავხდეთ. კერძოდ, ტოსკანიის ავიაბაზის ასაფრენ ბილიკზე ფორმულა 1-ის ბოლიდისა და რეაქტიული თვითმფრინავის ერთგვარი დუელია მოსალოდნელი. ბოლიდი "ფერარისაა" და მის კოკპიტში, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი იჯდება, უახლეს რეაქტიულ გამანადგურებელ ფრთოსან "EuroFighter"-ს კი პილოტი მაურიციო ჩელი მართავს. ბოლიდისა და რეაქტიული თვითმფრინავის საბრძოლო არენა 1500 მეტრის სიგრძის ტრასაა. პილოტებს სამი მცდელობა ექნებათ – 500, 1000 და 1500 მეტრ მანძილზე. უჩვეულო შეჯიბრების ინიციატორი და ორგანიზატორი იტალიის თავდაცვის მინისტრი ანტონიო მარტინოა.

ასეთი რამ პირველად არ ეწყობა. 1981 წელს კანადელი ჟაკ ვილნევი "ფერარი 126 CTK Turbo"-ით გაეჯიბრა თვითმფრინავ F-104-ს ("სთარფაითერი"). როგორ ფიქრობთ, ვინ მოიგო? წამმზომმა ვილნევის სასარგებლოდ ერთწამიანი უპირატესობა დააფიქსირა. თუ უფრო ადრეულ ისტორიას გადავხედავთ, იგი 1931 წელთან მიგვიყვანს. ტაციო ნუვოლარი, რომელიც "ალფა რომეო 2003"-ს მართავდა, თვითმფრინავ "Caproni 100"-ს გასჯიბრებია. მაშინ გამარჯვებული ფრთოსანი გამოსულა.

■ ■ ■

ცურვა. ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, იტალიელ დომენიკო ფიორავანტის ექიმებმა შეჯიბრებებისგან დროებით დასვენება ურჩიეს. სავალდებულო სამედიცინო შემოწმებისას, 26 წლის მოცურავეს, რომელსაც 100 და 200 მეტრზე ბრასით სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლები აქვს მოპოვებული, გულზე უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გარკვეული პრობლემები აღმოაჩნდა. აქედან გამომდინარე, ეჭვქვეშ დადგა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ფიორავანტის გამოსვლის და, შესაბამისად, ტიტულის დაცვის პერსპექტივაც. "ეს ინფორმაცია ჩემთვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი. ექვს თვეში ერთხელ გვამოწმებენ, მაგრამ ამჯერად ტესტირებამ სხვა შედეგი აჩვენა. მართალია, შოკირებული ვარ, მაგრამ სპორტში დაბრუნების იმედს მაინც არ ვკარგავ".

■ ■ ■

კალათბურთი. ხუთშაბათს დასრულდა საკალათბურთო ევროლიგის პირველი ტური. მთავარი სენსაცია B ჯგუფის ბინადრებმა შემოგვთავაზეს. კერძოდ, ლიტვის "ჟალგირისმა" შინ საბაერძნეთის "პანათინაიკოსი" დაამარცხა (80:74).

ჯგუფი A

ოლიმპია (სლოვენია) - პარტიზანი (სერბეთი) 69:67

ციბონა (ხორვატია) - პო ორტეზი (საფრანგეთი) 72:71

ჯგუფი B

ჟალგირისი (ლიტვა) - პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 80:74

სკიპერი (იტალია) - კრკა (სლოვენია) 97:86

მაკაბი (ისრაელი) - უნიხაკა (ესპანეთი) 88:73

C ჯგუფი

შლესკი (პოლონეთი) - ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 82:88

ტაუ კერამიკა (ესპანეთი) - ეფეს პილსენი (თურქეთი) 83:87

■ ■ ■

ჩოგბურთი. დები უილიამსები, რომლებიც ლოს ანჯელესში WTA ჩემპიონატს ტრავმების გამო გამოტოვებენ, ადასტურებენ, რომ კორტზე გაისად, იანვარში დაბრუნდებიან. სერენას ავსტრალიაში, პერტის ტურნირზე ასპარეზობა განუზრახავს, ხოლო ვინუსს - ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე.

■ ■ ■

ფიგურული სრიალი. როგორც მოსალოდნელი იყო, სიუ შენი და ხონბო ჩაჟაო სპორტულ ცეკვებში გასათამაშებელ ჩინეთის თასზე მოკლე პროგრამის შემდეგ ლიდერობენ. მეორე ადგილზეც მასპინძლები - ცზინ პანისა და ცზიან ტონის წყვილია. რუსები, მარია პეტროვა და ალექსეი ტიხონოვი, რომლებმაც Skate Canada-ზე ასპარეზობისას ჩინელებს აჯობეს, მესამე ადგილზე არიან.

■ ■ ■

კრივი. მას შემდეგ, რაც მარკო ანტონიო ბარერამ ხელთ იგდო ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა და ტეხასის შტატის საკრივო ლიცენზია, ახლა მთელი გულისყური 15 ნოემბრის ორთაბრძოლისკენ აქვს მიმართული. ამ დღეს მას მენი პაკიაოსთან შერკინება ელის. ცოტა ხნის წინ გამჟღავნდა ინფორმაცია, რომ 1997 წელს ბარერასთვის თავის ტვინის ოპერაცია გაუკეთებიათ. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციის მიზეზი კრივით გამოწვეული ტრავმა არ ყოფილა, ბარერას სპორტული მომავალი ეჭვქვეშ დააყენეს. ახლა ბარერას რინგისკენ გზა ხსნილი აქვს. ექიმის დასკვნაში, რომელიც 3 ნოემბრითაა დათარიღებული, ნათქვამია, რომ ბარერას ჯანმრთელობის მდგომარეობა მშვენიერია. დასკვნა მისი ავადმყოფობის ისტორიასა და ნეიროლოგიურ გამოკვლევას ემყარება.

ჩოგბურთი

ჰიუსტონში გამოჩნდება ვინ როგორი „შანსიანია"

10 ოქტომბერს ჰიუსტონში სტარტს აიღებს მასტერსის თასის გათამაშება. ეს ტურნირი იგივეა, რაც მსოფლიო ჩემპიონატი. მის რვა მონაწილეს პლანეტის უძლერეს ჩოგბურთელებად მიიჩნევენ. ჯერ კიდევ არ გარკვეულა არგენტინელი დავიდ ნალბანდიანის ბედი. შეგახსენებთ, რომ მას კისტა აქვს, რის გამოც გამოტოვა ბაზელის ფინალი და პარიზის მასტერსი. თუ ნალბანდიანი ვერც ამ ტურნირში გამოვა, მაშინ მის ადგილს ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი დაიკავებს.

სანდრო ნავერიანი

ლურჯ ჯგუფში დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი. ამ ჯგუფში მონაწილეობას იღებენ ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული ანდრე აგასი, "როლან გაროს" ტრიუმფატორი ხუან კარლოს ფერერო და "უიმბლდონის" გამარჯვებული როჟე ფედერერი (ამ ჯგუფში იქნება ნალბანდიანი ან ფილიპუსისი). ჯგუფში სამი ჩოგბურთელია, რომელთაც მოგებული აქვთ "დიდი სლემის" სხვადასხვა ტურნირი. სპეციალისტები თვლიან, რომ ფერეროსა და აგასის ნახევარფინალს მიღმა ვერავინ დატოვებს. როგორც იცით, ანდრე აგასიმ პარიზის მასტერსი იმიტომ გამოტოვა, რომ ჰიუსტონისთვის კარგად მომზადებულიყო, ამიტომაც ელიან მისგან ამ ტურნირის მოგებას. ფედერერის შანსი კი ნაკლებია. ბოლო დროს შვეიცარიელმა ძალიან ცუდად ითამაშა, რაც იმის თქმის საბაბს იძლევა, რომ ის ტურნირის ფავორიტად არ მივიჩნიოთ. ნალბანდიანზე არაფერს ვიტყვით იმის გამო, რომ ჯერ გაურკვეველია, მიიღებს თუ არა მონაწილეობას ამ ტურნირში. ფერერო მეორე ნომრად არის განთესილი. ვფიქრობ, ფერერო დღეს საუკეთესო ჩოგბურთელია (თუმცა, საჩემპიონო რბოლაში მეორე ადგილი უკავია). სპეციალისტთა აზრიც ემთხვევა ჩემსას, მაგრამ როდიკი იმიტომ არის პირველ ნომრად განთესილი, რომ საჩემპიონო რბოლას სათავეში უდგას.

წითელ ჯგუფში პირველი ადგილი, წესით და რიგით, ამერიკელს უნდა ერგოს. შუტლერი და მოია აუტსაიდერებად ითვლებიან, რაც, ალბათ, ლოგიკურია. არგენტინელი გილიერმო კორია მეოთხე ნომრად არის განთესილი.

ლურჯ ჯგუფში პირველ ადგილზე გასული ნახევარფინალში წითელ ჯგუფში მეორე ადგილზე გასულს შეხვდება. თუ როდიკმა და ფერერომ თავ-თავის ჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს, მაშინ ისინი ფინალამდე ერთმანეთს არ შეხვდებიან (თუ, რა თქმა უნდა, ფინალამდე მიაღწიეს). და თუ ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, მაშინ ძალზე საინტერესო სანახაობა იქნება.

იმ შემთხვევაში, თუ ფედერერმა ტურნირი მოიგო და ფერერომ და როდიკმა ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგეს, მაშინ ფედერერი პირველი ჩოგბურთელი გახდება, მაგრამ ეს ნაკლებად რეალურია. ანდრე აგასი ვერ გახდება პირველი ჩოგანი, რადგან ტურნირის მოგების შემთხვევაში მას 150 ქულა მოემატება, რაც მხოლოდ მესამე ადგილისთვის არის საკმარისი. ასევე შანსი აქვთ, მესამე პოზიცია დაიკავონ გილიერმო კორიამ და რაინერ შუტლერმა, მაგრამ ეს მოხდება მაშინ, თუ აგასი და ფედერერი ვერც ერთ თამაშს ვერ მოიგებენ და შუტლერი ან კორია ტურნირში გაიმარჯვებს. არავითარი შანსი არა აქვს კარლოს მოიას, რომ ერთი საფეხურით მაღლა აიწიოს, მეტიც: მას "შანსი" აქვს, ნალბანდიანს დაუთმოს მეშვიდე ადგილი.

უკვე იცით, რომ წლეულს ორორი მასტერსი მოიგეს როდიკმა და ფერერომ. ამ უკანასკნელმა მონტე კარლოსა და მადრიდის

GRAPHIC NEWS

ტურნირებში მოიპოვა პირველობა, ხოლო ამერიკელმა კანადისა და ცინცინატის ტურნირები მოიგო. აგასის მოგებული აქვს მაიამის მასტერსი, ხოლო გილიერმო კორიამ ჰამბურგის ტურნირში მოიპოვა გამარჯვება. გახდება თუ არა ხუან კარლოს ფერერო პირველი ესპანელი, რომელიც სეზონს პირველ ნომრად დაასრულებს? თუ ამერიკელმა ეს ტურნირი მოიგო, მაშინ ეს მისთვის რიგით მეშვიდე იქნება ამ წელიწადს. მაისიდან სექტემბრამდე კი მის ცხოვრებას, ინტიმური ეპიზოდების გარდა, გააშუქებს გადაცემა "reality show". მოკლედ, როდიკი და მისი ფანები არ მოიწყენენ. მაგრამ, მანამდე საჭიროა თამაში, თანაც, კარგი თამაში.

ფორმულა 1

ჯაშუშთა წრე იზრდება

"ტოიოტა" ყურადღების ცენტრშია.

ფორმულა 1-ის ბინადრის - "ტოიოტას" ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი კვლავაც ღვივის. ყურადღების ცენტრშია ისევ "ტოიოტას" აეროდინამიკის განყოფილების ინჟინერი ანჟელო სანტინი, რომელსაც მანამდე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, პირობითად ანდრეა სი-თაც მოიხსენიებდნენ. საქმე ეხება სამრეწველო ჯაშუშობას, ანუ აეროდინამიკის მუშაკს, რომელიც 1995 წლიდან 2002 წლის თებერვლამდე "ფერარიზე" მუშაობდა, ახლა კი "ტოიოტასთვის" იღვწის. იტალიური საჯინიბოს მესვეურნი მას, ყოფილ თანამშრომელს, გარკვეული ინფორმაციის მოპარვაში ანუ ჯაშუშობაში ადანაშაულებენ. ახლა ირკვევა, რომ სანტინი მარტო არ ყოფილა. კერძოდ, მოდენას პროკურატურის ძალისხმევით ჯაშუშთა წრე სამამდე გაიზარდა.

"ტოიოტას" ხელმძღვანელობა, რა თქმა უნდა, ყოველივეს უარყოფს და აცხადებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი რამ ნამდვილად მოხდა, ის არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საჯინიბოს მხრიდან ჩადენილი დანაშაული, რადგან ამის შესახებ არაფერი ვიცოდითო. ბუნებრივია, ბრალდებას უარყოფს თავად სანტინიც: "ჩვენი ბოლიდი TF103 მხოლოდ გარეგნულად ჰგავს "ფერარი F2002"-ს (მოდელი სახელწოდებით F2002-ს იტალიურმა საჯინიბომ 2002 წლის სეზონში გაიყვანა სტარტზე, თუმცა, ვიდრე ახალ ბოლიდს – F2003GA მოიყვანდა საბრძოლო მზადყოფნაში, 2003 წლის სამ ეტაპზეც შარშანდელი მოდელით სარგებლობდა.- რედ.). ბოლიდთა ტექნიკური მახასიათებლებიც განსხვავებულია. მაგალითად, ჩვენ სხვა საბურავებს ვიყენებთ. "ტოიოტაში" კი საკუთარი პროფესიონალიზმის გამოვლენის საშუალება მომეცა. ეს სულაც არ ნიშნავს ასლების გაკეთებას.

რა თქმა უნდა, ბოლიდები ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ სხვაობა ბევრად მეტია: ძრავის სფეროში, დიზაინში, საბურავებში, აეროდინამიკის თითოეულ წვრილმანში", - ირწმუნება სანტინი.

ამასობაში კი პროკურატურა ცდილობს, გაარკვიოს, ინჟინერმა კონკურენტებისგან გადმოიღო თუ არა შეუფასებელი თვალით დაუნახავი გარკვეული იდეები. ან, იქნებ სულაც "ფერარის" საიდუმლო ინფორმაცია "ტოიოტას" მოახმარო.

რაგბი

ლელო, ლელო და ისევ ლელო

ჰაატა თოთაძე

სწორედ ასეთია ახალზელანდიელ გულშემატკივართა მოწოდება რჩეულ თანამემამულე მორაგბეთა მიმართ, რომელთაც დღეს პირველებს მოუწევთ მეოთხედფინალში თამაში სამხრეთ აფრიკელებთან. მსოფლიო თასის ჯგუფური ეტაპის დასრულებიდან ერთი კვირის თავზე მეოთხედფინალების დრო დადგა.

ახალი ზელანდია vs სამხრეთ აფრიკა

დღემდე არსებული მსოფლიოს სამი ჩემპიონიდან დღეს ერთი უთუოდ გამოეთიშება ასპარეზობას. ძნელი სათქმელია, ვინ იქნება ეს, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტები თუ რაგბის მოყვარულები კივებს ანიჭებენ უპირატესობას.

"ჩვენ ამ ეტაპზე ყველაზე ძლიერ მეტოქეს შევხვდით, მაგრამ ეს, შესაძლოა, კარგიც იყოს. ბიჭები მთელი კვირის განმავლობაში თავდაუზოგავად ვარჯიშობდნენ და ვიცი, ისინი ამ მატჩის მოსაგებად არაფერს დაიშურებენ", - ავსტრალიურ მედიასთან საუბარში აღნიშნა აფრიკელთა მწვრთნელმა რუდოლფ სტრაულიმ. ამ მატჩს დააკლდება მხოლოდ ერთი მორაგბე, ჯო ვან ნიკერკი, რომელსაც ქართველებთან მატჩში ორი ღელოს გამტანი დენი როსოუ შეცვლის. სასტარტოში იქნება თავისუფალი ნახევარმცველი დერიკ ჰუგარდიც, რომელმაც ასევე ითამაშა ბორჯღალოსნების წინააღმდეგ და თითქმის უშეცდომოდ ურტყა.

ამ მატჩში მთავარი, ალბათ, ორი დიდი ნახევარმცველის, ახალზელანდიელი ჯასტინ მარშალისა და სამხრეთაფრიკელი იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენის დუელი იქნება. მარშალი დღეს თავის საიუბილეო, მე-20 შეხვედრას ატარებს აფრიკელთა წინააღმდეგ. რაც შეეხება ვესტჰოიზენს, მისთვის დღევანდელი, კარიერაში 89-ე პაექრობა, შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს. საქმე ისაა, რომ, ვესტჰოიზენის თქმით, ტურნირის დასრულების შემდეგ ის ნაკრებს აღარ გაეკარება.

აფრიკელთა მწვრთნელისგან განსხვავებით, შემადგენლობის შერჩევისას პრობლემები არ შეჰქმნია ზელანდიელთა თავკაცს. ჯონ მიტჩელს მხოლოდ ის აწუხებდა, ეთამაშებინა გამოჯანმრთელებული ტანა უმაგა თუ მოედანზე მისი გაყვანისგან თავი შეეკავებინა. საბოლოოდ მიტჩელმა უმაგა სათადარიგოებში გაამწესა და მოედანზე გაჭირვებისას თუ შეიყვანს.

ბუნებრივია, ასეთი მატჩების წინ, ყველა, ვისაც არ ეზარება, გუნდების შანსებზე საუბრობს. ზელანდიელი გულშემატკივრები თავიანთი რჩეულებისგან ღელოებს მოითხოვენ და ეს გასაგებიცაა. ჯგუფურ ეტაპზე კივებმა 42 ღელოს გატანა მოახერხეს. აქედან გამომდინარე, დღევანდელ მატჩშიც ზელანდიელებისგან ბევრ ღელოს და მოგებას ელიან. აფრიკელები უფრო ფრთხილები არიან, თუმცა... "აგვისტოსგან განსხვავებით, როცა ჩვენ 11:19 დავმარცხდით, მორაგბეები უფრო კარგ ფორმაში არიან, გუნდი უფრო ძლიერია. ამიტომ, ნურავინ იფიქრებს, რომ "ოლ ბლექსთან" მოგების შანსი არა გვაქვს", - გულშემატკივარი დააიმედა აფრიკელთა კაპიტანმა კორნე კრიხემ. არადა, თუ სტატისტიკას ვენდობით, "სპრინგბოკსს" ზელანდიელთა ძლევის მცირე შანსი აქვს. "ოლ ბლექსმა" ბოლო ექვსი მატჩი მოიგო. აფრიკელებთან კი უკანასკნელად 2000 წელს დამარცხდა.

ავსტრალია vs შოტლანდია

მეოთხედფინალური წყვილებიდან ორია ისეთი, გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს რომ არ იწვევს. ერთ-ერთი ავსტრალია-შოტლანდიის წყვილია. სქოთებმა მაქსიმუმი გააკეთეს. დღეს ამ გუნდს მეტი არ შეუძლია, ანუ ამ მატჩში მხოლოდ ისაა გასარკვევი, ოზები რა ანგარიშით დაამარცხებენ მეტოქეს. გუნდების მდგომარეობას რომ თავი დავანებოთ, მასპინძელთა სასარგებლოდ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ავსტრალიელებს 1995 წელს ინგლისელებთან მარცხის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატებზე არ ნაუგიათ. ასეთი რანგის ტურნირზე გუნდები ერთმანეთს ჯერ არ შეხვედრიან, თუმცა... "აგვისტოსგან განსხვავებით, როცა ჩვენ 11:19 დავმარცხდით, მორაგბეები უფრო კარგ ფორმაში არიან, გუნდი უფრო ძლიერია. ამიტომ, ნურავინ იფიქრებს, რომ "ოლ ბლექსთან" მოგების შანსი არა გვაქვს", - გულშემატკივარი დააიმედა აფრიკელთა კაპიტანმა კორნე კრიხემ. არადა, თუ სტატისტიკას ვენდობით, "სპრინგბოკსს" ზელანდიელთა ძლევის მცირე შანსი აქვს. "ოლ ბლექსმა" ბოლო ექვსი მატჩი მოიგო. აფრიკელებთან კი უკანასკნელად 2000 წელს დამარცხდა.

ინგლისი vs უელსი

ეს მეორე წყვილია, სადაც გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს არ იწვევს. მსოფლიო თასის მოგების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი ინგლისის, სადღეისოდ ორით თუ არა, ერთი თავით მაღლა დგას უელსზე. და ეს მიუხედავად სტატისტიკისა, რომლის მიხედვითაც დღემდე ინგლისსა და უელსს ურთიერთშეხვედრებში თანაბარი რაოდენობის მატჩები აქვთ მოგებული. იმავე სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო 11 შეხვედრიდან ინგლისელებს 10 მატჩი აქვთ მოგებული. ყველაფრის მიუხედავად, უელსელთა თავკაცი 1987 წლის მსოფლიო თასს იგონებს, როცა უელსელებმა მეოთხედფინალში დაამარცხეს ინგლისელები. იმდროინდელი ინგლისისგან განსხვავებით, დღევანდელი, კლაივ ვუდვორდის ინგლისის ნაკრები სულ სხვაა, გაცილებით ძლიერი, ტაქტიკურად თუ ტექნიკურად უდიდესი არსენალის მქონე. სულ სხვაა უელსიც, თუმცა, იმდროინდელი გუნდისგან განსხვავებით, შესუსტებული. და მაინც, "ხომ არავის ეგონა, რომ ახალ ზელანდიას ასე ვეთამაშებოდით? ასევე არავინ ელოდება, რომ ინგლისს არაფერს დავუთმობთ, არადა, სწორედ ასე იქნება", - უელსელთა თავკაცი სტივ ჰანსენი მეტოქეს სიურპრიზს უმზადებს.

საგულისხმოა ერთი ფაქტიც: ხვალინდელი შეხვედრა 111-ე იქნება ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში. არანაირი კავშირი არ არსებობს, მაგრამ ინგლისელები არ ივიწყებენ იმას, რომ ურუგვაის სწორედ 111 ქულა გაუტანეს. "ეს კარგი ნიშანია. ცრუმორწმუნე არ ვარ, მაგრამ შეუძლებელია, ამას ყურადღება არ მიაქციო. განა ეს შეიძლება ცუდს ნიშნავდეს?" - განაცხადა კლაივ ვუდვორდმა.

საფრანგეთი vs ირლანდია

წინა წყვილის მსგავსად, ესეც კიდევ ექვსი ერის მონაწილეთა ერთი დაპირისპირება, რომელიც, სამხრეთ აფრიკა-ახალ ზელანდიის მატჩის მსგავსად, ტურნირზე ერთ-ერთი ყველაზე დამაინტრიგებელი და უთუოდ ყველაზე ძნელად პროგნოზირებადი შეხვედრაა. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში გამართული ექვსი შეხვედრიდან მეტოქეებმა თანაბარი რაოდენობის სამ-სამი მატჩი მოიგეს. ბოლო, წლევანდელი დუბლინური შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. გუნდები ერთმანეთს მსოფლიო თასზეც შეხვედრიან - 1995 წელს ფრანგებმა 36:12 დაამარცხეს მეტოქე.

შეხვედრისადმი ინტერესს ისიც ამძაფრებს, რომ გუნდები ერთმანეთის პირისპირ ოპტიმალური შემადგენლობებით წარდგებიან.





ლელო, ლელო და ისევ ლელო

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

ალბათ, ყველას გაგიგონიათ მოსაზრება, რომ თბილისი პატარა პარიზია. არ ვიცი, ეთანხმებით თუ არა ამ აზრს, მაგრამ ამ კვირაში პიონერთა სასახლის სარკეებიან დარბაზში ჩატარებული ჯაბა დიასამიძის მოდების ჩვენება რომ გენახათ, ნამდვილად პარიზი წარმოგიდგებოდათ თვალწინ.

თუმცა, ეს შემთხვევითი არ არის. ჯაბა დიასამიძეს ფრანგული სისხლიც აქვს და, ეტყობა, ასეთი ქართულ-ფრანგული გენის მიქსი ოპტიმალურია გემოვნებისთვის, ქალის სილამაზისა და ელეგანტურობის აღსაქმელად.

ბავშვობაში ყველას ჰყავს რამდენიმე ადამიანი, რომლებიც გამორჩეულად, სხვებზე მეტად მოსწონს. ეს შეიძლება იყოს ცნობილი კინომსახიობი, სკოლის მასწავლებელი, ან ამხანაგის დედა. 17 წლის ჯაბას ბავშვობიდან მოსწონდა ქალი. არა გაკეთებული, ხელოვნური, არამედ მის გვერდზე, მის ცხოვრებაში შეხვედრილი და ნანახი. სწორედ ამიტომ სთხოვა მოდელიერმა, თავის პირველ ჩვენებაში მონაწილეობა მიეღო ნანი ბრეგვაძეს, თავისი რუსული ენის მასწავლებელს, დედის უახლოეს მეგობარს, თავის ბავშვობის ამხანაგს. ანუ, ქალებს, რომლებიც ჩვეულებრივი ყოფითი ცხოვრებით ცხოვრობენ, აქვთ ისეთივე პრობლემები და მისწრაფებები, როგორც სხვებს, არ ჰგვანან მარსიდან ჩამოსულ ზებუნებრივ ლამაზმანებს და მაინც ლამაზები არიან – თავისი ნაოჭებით, არცთუ იდეალური პროპორციებით, არცთუ ავაზის პლასტიკით, მაგრამ იმ ინდივიდუალურობით, რომელიც ბევრად უფრო ფასეულია დღევანდელ ტრაფარეტულ დროში.

მოდელიერის ასეთმა იმპროვიზაციამ კიდევ უფრო მეტი პეწი და სითბო შემატა ჩვენებას. პოდიუმზე გამოდიოდნენ სხვადასხვა ტიპის, სტილისა და ასაკის ქალები და ჯაბამაც ყველა მათგანს სათავისო კაბა თუ კოსტიუმი შეურჩია. ისეთი გრძნობა იყო, თითქოს ეს ტანსაცმელი მათია, თანაც, ყველაზე საყვარელი და მოსახდენი.

ნაჩვენები მოდელები ელეგანტური, ქალური, უმეტესად შავი და დახვეწილი იყო, ოღონდ უფრო ფრანგული. თუმცა, არა მგონია, რომ ეს ცუდი იყოს.

ჩვენების დამთავრებისას ვერც ერთი მაყურებელი ქალბატონი ვერ მალავდა აღფრთოვანებას და იმის სურვილს, რომ ერთმა კაბამ მაინც გადაინაცვლოს მათ გარდერობში.

თუ ჯაბა დიასამიძის ნიჭი და შრომისუნარიანობა დებიუტის შესაბამისად გაგრძელდება, ჩვენ, ქალებო, მოგვეცემა შანსი, ელეგანტურობით პარიზელ ქალებს დავემსგავსოთ, თბილისი კი პატარა პარიზად ვაქციოთ.

რა ხდება?

არჩევნები ჩატარდა. ტელეეკრანებიდან გაქრა წინასაარჩევნო კლიპები, აღარ გვესმის რევაზ ლაღიძის შესანიშნავი სიმღერა, აღარ ვიცით, ვინ ვისი ვინ არის უბანში. მოგვენატრა ის სახეები, რომლებსაც ასე შეგვაჩვიეს წინასაარჩევნო პერიოდში. დაიწყო რეალობა, უფრო რთული და დაუმნტაჟებელი. ხმების დათვლა, გარიგებები, ოპოზიციის პროტესტი, ხელისუფლების გაუთავებელი თათბირი, ქუჩებში ხალხი, მოედნებზე ჯარი და ა.შ.

მოკლედ, ბოლო დღეებში ბევრი რამ შეიცვალა. ერთადერთი, რაც უცვლელი რჩება, ეს საქართველოს პრეზიდენტი და ბატონი კოკა ყანდიაშვილის გადაცემაა. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ გადაცემა "რა ხდება" ასცდა დროს, ოღონდ სად ჩარჩა, ვერ გამიგია. წინასაარჩევნო პერიოდისთვისაც კი ზედმეტად ტკბილი, თბილი და, უფრო უხეშად რომ ვთქვათ, ფლიდი გადაცემის ინტონაცია დღეს სრულებით არ შეესაბამება საერთო განწყობასა და რეალობას.

მე უფლება არა მაქვს, შევეხო ბატონ კოკა ყანდიაშვილის პროფესიონალიზმს, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: გადაცემაში სტუმრების მოწვევა არჩევნების წინაც კი უჭირდათ და ახლა სულ ვეღარ პოულობენ, ვინ დაპატიჟონ. მესმის, რომ დღეს ძალიან ძნელია, მოძებნო საზოგადოების ისეთი წევრი, რომელიც მხოლოდ შენს სათქმელს იტყვის. საზოგადოება შეურაცხყოფილია და სურს ამის გამოხატვა. მაგრამ ეს ხომ პირველი არხის გადაცემაა და იქ შენი აზრი არასდროს აინტერესებდათ.

სწორედ ამიტომ აღმოჩნდა გადაცემის ავტორი აშკარა პრობლემის წინაშე და ყველაზე ხშირად ჩვენს უდიდეს, უკაშკაშეს ვარსკვლავს ლელა წურწუმიას და ჩვენს ულამაზეს ვარსკვლავბიჭუნას, ირაკლი ბათიაშვილს იწვევს. თემატურად თუ არა, ესთეტიკურად მაინც ვისიამოვნოთ.

ბატონი კოკას პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, არ მიკვირს, რომ მან ძალიან წინდახედულად, დროულად მიიწვია "რა ხდება" სტუდიაში ქვეყნის მთავარი პათანატომი. დამეთანხმებით, როდესაც კბილი აგტკივდება, სტომატოლოგს უნდა მიმართო. როცა გული შეგაწუხებს, კარდიოლოგთან უნდა წახვიდე და როდესაც გვამთან, მიცვალებულთან გაქვს საქმე, პათანატომია საჭირო.

გულწრფელად მებადება კითხვა - რა ხდება, ვის სჭირდება პათანატომი?

პასუხი ამ შეკითხვაზე არ მინდა იმ ფუსფუსის ტონით, რომელიც, მართალია, ნამდვილად ადუნებს ყურადღებას, ქმნის უღრუბლო ცის განწყობილებას, მაგრამ ვერ მატყუებს და ვერ მავიწყებს იმ მთავარს, რაც ასე ძალიან გინდათ დამავიწყოთ.

ბატონი კოკა ყანდიაშვილი კი არა, მთავრობამ I არხის სტუდიაში სამოთხის ყველა ჩიტი რომ შეკრიბოს და ერთად წაგვიჭიკჭიკოს - "რა ხდება", ჩვენ მაინც გვეცოდინება, რა ხდება ჩვენს თავს.

მაპატიეთ, რომ გაზეთის საშუალებით გესაუბრებით, მაგრამ თქვენს გადაცემაში მხოლოდ ისეთ ადამიანებს არეკინებენ, რომლებსაც, უმეტესად, სულაც არ აინტერესებთ, "რა ხდება".

P.S. ვერაფრით დავრჩებოდი გულგრილი იმ უდიდესი სამსახიობო ნიჭისადმი, რომელიც ბატონ კოკა ყანდიაშვილში დავინახე. ხუთშაბათს ეთერიდან მან ისე ოსტატურად, ისეთი ნახევარსაათიანი მონოლოგი წაგვიკითხა! ამდენი განცდა, ამდენი ინტონაცია! ეს მხოლოდ დიდ არტისტულ ნიჭს ძალუძს.

ბატონო კოკა! თქვენში სამსახიობო ტალანტი იკარგებოდა. მე მგონი, დროა, ჰამლეტის მონოლოგს შეეჭიდოთ, თქვენ მაგასაც დაძლევთ და გადაცემას კი, "ყოფნა-არყოფნა..." დაარქვათ.

თბილისობა, რომელიც აღარც გვახსოვს

შეიძლება ეს წერილი დაგვიანებულია, თბილისობამ უკვე ჩაიარა. დღეს მთელი საზოგადოების ინტერესი არჩევნების შედეგებისკენაა მიმართული, მაგრამ, ჩემი აზრით, არსებობს პარალელი - არჩევნებზეც და თბილისობაზეც გვატყუებენ.

ვინ, როდის და რისთვის მოგვიტანა თბილისობა? რისი დღესასწაულია, ვერ გამიგია - ჭამა-სმის, ვაჭრობის, მჟავე ღვინის, ქალაქელებისა და გლეხების გაცნობის, დანაგვიანების თუ ლენტების გაჭრის?

ოდესღაც, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, გვითხრეს - ეს თქვენი დღე იქნება, თბილისელებო, და ჩვენც დავიჯერეთ.

სიმბოლურია, რომ სწორედ თბილისობის წინა დღეებში ქალაქის მთავარ მოედანზე დაინგრა სახლი, რომელიც დიდი ხანია შესყიდულია ვინმე ხელისუფალის მიერ. სახლი წლების განმავლობაში ავარიული იყო, ნელ-ნელა, მთელი მერიის თვალწინ ინგრეოდა, შიგნით კი ხალხი ცხოვრობდა, სხვათა შორის, თბილისელები.

კომუნისტების დროს თბილისობაზე საქართველოში საქეიფოდ პოლიტბიუროს თითო წევრი ჩამოდიოდა, იმდროინდელი ხელისუფლებისგან მიიღებდა საპატიო მოქალაქის წოდებას და კმაყოფილი, ნაჭამ-ნასვამი ბრუნდებოდა კრემლში. დღეს კი საპატიო მოქალაქის წოდებას, ფაქტობრივად, იგივე ხელისუფლება ანიჭებს ბორის წიფურაიას. ესეც სიმბოლურია, თუმცა, მადლობელი უნდა ვიყოთ, ვიტალი ხაზარაძე რომ არ გახდა საპატიო მოქალაქე, მაგრამ ბატონმა ვიტალიმ პარლამენტარის წოდება არჩია.

გამომიცხადებენ, რომ ამა და ამ დღეს დაინიშნა თბილისობა (სასურველია, არჩევნების წინ. ნაჭამ-ნასვამი ადამიანი ხომ უფრო მოდუნებულია) და მეც, არ ვიცი რატომ, უნდა გავვარდე რესპუბლიკის ისედაც ულამაზეს მოედანზე და დანჯღრეული სატვირთო მანქანიდან (დღეს დანჯღრეული სატვირთო მანქანები პოლიციის ავტობუსებით შეიცვალა) უნდა შევიძინო რაღაც ნობათი.

პატარაობაში ვერაფრით ვიგებდი, რატომ ზეიმობდნენ ნოემბერში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას, მაგრამ რევოლუცია რომ მოხდა, ეს კი ვიცოდი. ახლა ამიხსენით, ვერაფრით ვიგებ, ღირსშესანიშნავი რა მოხდა თბილისობაზე. იქნებ ხოხობი მოიხარშა ამ დღეს, ან ჩვენს ხელისუფალთ ჰქონდათ რაიმე ხილვა. თუმცა, ხილვები რომ ჰქონოდათ, უფრო სხვა თემატიკისა იქნებოდა.

წლეულს განსაკუთრებული ზეიმი იყო, რადგან წინასაარჩევნო თბილისობა უფრო მნიშვნელოვანია. რიგით თბილისობაზე შეჭამენ, დალევენ, იყიდიან, გაყიდიან და მადლობასაც არავინ გეტყვის. არჩევნების წინ კი რომ დაანაყრებ, იქნებ ხმა მაინც მოგცენ.

სიმბოლურია, რომ წინასაარჩევნო თბილისობა პოლიციის დღეს უფრო წააგავდა. ამდენი პოლიციელი ქუჩაში უკვე ყოველგვარ საზეიმო განწყობას გიკლავს, მათთვის ხომ თბილისობა მხოლოდ რიგითი სამუშაო დღეა.

სახლი

ყველამ ვიცით, რომ ხელოვანის სახლი განსხვავდება მეხინკლის სახლისგან, მაგრამ მხატვარ გუგა კოტეტიშვილის ინტერიერი ხელოვანებისთვისაც კი გამორჩეულად ბოჰემურია. გუგას სახლი ბევრს შეიძლება გადატვირთული, მტვრიანი (მხატვრის ოცნებაა მტვერსასრუტის შეძენა), ჭრელი და ეკლექტიკური მოეჩვენოს.

კოტეტიშვილების სახლი თბილისის ომის დროს მთლიანად დაიწვა. ახალი სახლის მშენებლობის მთავარი პრინციპი სიიაფე და სილამაზე იყო. აქედან გამომდინარე, მაგალითად, დიდი ოთახის იატაკი მოპირკეთებულია ძველი ქართული აგურით, იაფია, ლამაზი და ფუნქციურად გამართლებული. ამავე მოთხოვნით არის შექმნილი მთელი ინტერიერი, რომელიც უამრავი ძველებური დეტალისგან შედგება. ომის შემდგომ პერიოდში გუგა დადიოდა ახალგახსნილ მშრალი ხიდის ბაზარზე, ეძებდა და ყიდულობდა ლამაზს, კარგი ხარისხის, ფუნქციურს, ძვირფასს და აუცილებლად იაფად.

გუგასთვის მთავარია, რომ მის სახლში ყველაფერი გამოყენებითია. სწორედ ამიტომ სხვის ინტერიერში არ უყვარს ვიტრინაში უფუნქციოდ შელაგებული ჭიქები და თეფშები. არ ესმის, რატომ არ შეიძლება, კედელზე ჭიკარტით მიაკრა რამე პატარა რეპროდუქცია, რომელიც იმ მომენტში ასე მოგწონს. არ უყვარს, როდესაც ადამიანი ემსახურება საკუთარ ინტერიერს და არა პირიქით.

ყველაზე მეტად თავის ინტერიერში აფასებს ეკლექტიკას, იმას, რომ ყველა ნივთი მისი შეძენილია და აღიარებს: თავისი პროფესიიდან გამომდინარე ფიქრობს ინტერიერზე.

გუგა კოტეტიშვილთან ხშირად იმართება ხალხმრავალი შეკრებები, სადაც არავინ ნერვიულობს, რომ რამე გაუტყდება. თავს ყველა მაქსიმალურად კომფორტულად გრძნობს და სტუმარი ხშირად საჩუქრდება სწორედ იმ ლამაზი, ძველი, ფუნქციური და იაფად ნაყიდი ნივთით, რომელთა დახმარებით გუგა კოტეტიშვილმა თითქოს დამწვარი წარსული აღიდგინა.

სხეული - ძვირფასი და მნიშვნელოვანი

მერლინ მონრო დედის როლში? წარმოუდგენელია. ჯემი ლი კერტისი – თინეიჯერი? რას ლაპარაკობთ!? ეს როლები მათ სხეულებს არ შეესაბამება.

აბა, წარმოიდგინეთ, როგორია, ყოველ დილას სხვადასხვა სხეულში რომ ამოჰყოთ თავი. სულ არაა აუცილებელი, რომ კაფკასეული გიგანტური მწერის სხეული იყოს. გასაგიჟებლად ნებისმიერი უცხო ადამიანის სხეულიც სავსებით საკმარისი იქნებოდა. წარმოიდგინეთ, სარკეში რომ ჩაიხედოთ და საკუთარი თავი ვერ იცნოთ!

როგორ ფიქრობთ, სხეული რომ იცვალოთ, მაინც იმავე ადამიანად დარჩებით? არადა, რა საწყენია, თუ ახალ სხეულს ჩათრეული უკანალი ან დაგრეხილი ფეხები აქვს ...

კინოში ასეთი რამ თითქოს სავსებით შესაძლებელი უნდა იყოს, მაგრამ ნურას უკაცრავად! მაყურებელი იმთავითვე დარწმუნებულია, რომ ეკრანზე გამოსახულ სხეულში სწორედ ისეთი ადამიანი იქნება "ჩასმული", როგორსაც მოელის. მართალია, ამ კლიშეს შეცვლის მცდელობები კინემატოგრაფს ახსოვს: ჰოლივუდში უკვე გადაიღეს "ქალი მამაკაცში" (1991), "სოლო ორისთვის" (1984), თუ "დიდი" (1988). მაგრამ ეკრანზეც კი ასეთი რამ ყოველთვის კომიკურ ხასიათს იძენდა.

ახალ ფილმში Freaky Friday (მისი პრემიერა დეკემბრის დასაწყისში შედგება), რომელიც ამავე სახელწოდების დასავლეთში საკმაოდ პოპულარული ახალგაზრდული წიგნის ეკრანიზაციას წარმოადგენს, ორი სახეცვლილების მოწმენი ვხდებით.

ორმოცს გადაცილებული დედა და მისი თინეიჯერი ქალიშვილი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადამტერებული. ამ უთანხმოებას ბოლო არ უჩანს, სანამ ერთი ბრძენი ჩინელი ქალი დედა-შვილის მკურნალობას არ მიჰყოფს ხელს და "მებრძოლებს" ერთმანეთის სხეულებში არ "გადასვამს".

ერთ მშვენიერ დილასაც დედა (რომელსაც ჯემი ლი კერტისი თამაშობს) და მისი ქალიშვილი (ლინსეი ლოენი) გაიღვიძებენ და აღმოაჩენენ, რომ ძალიან უსიამოვნო ამბავი შეემთხვათ. მაგრამ, არაფრის გამოსწორება არ შეუძლიათ, და შვილის სხეულში მყოფ დედას გაკვეთილებზე ჯდომა უწევს, მისი მოზარდი ასული კი იძულებულია, ფსიქოთერაპევტის როლში პაციენტებს კონსულტაციები გაუწიოს. ცხადია, კარგად არცერთს არაფერი გამოსდის. გარეგნულად თითქოს არაფერი შეცვლილა, მაგრამ ისინი სხვანაირად მოძრაობენ, სხვანაირად იცვამენ და სხვანაირად უჭირავთ თავი. გარშემომყოფნი გაკვირვებას ვერ მალავენ: ან მანამდე მუდო გოგო რამ გაამკვირცხლა, ან საკუთარ თავში დარწმუნებული ქალბატონი რამ გახადა ასეთი არაადეკვატური და საიდან მოიტანა ეს ამაზრზენი რეპერული ჟარგონი...

კერტისი შესანიშნავად თამაშობს. საოცრად ბრიყვული სანახავია ორმოცი წლის ქალი, რომელიც უგერგილოდ იქნევს ხელებს, თვალებს ნერვიულად ატრიალებს. ეფექტი სულ მარტივად მიიღწევა: კერტისის სხეულისგან ამას არავინ ელის და სულ იმის განცდა ჩნდება, რომ საქმე მთლად კარგად არაა, რაღაცა გვეშლება – ან ჩვენ, ან კერტისის სხვა დროს სექსუალურ სხეულს.

ისე, ვინ გვითხრა, რომ ზუსტად ვიცით, რა არის სწორი და რა – არა? რას ნიშნავს "შესაბამისი ტიპაჟი", ნუთუ მხოლოდ გარეგნობას? ნუთუ ქალების გულის გამგმირავი რობერტ რედფორდი ლაჩარს ვერ ითამაშებდა?

მაშ ასე: სქესს, ასაკს, კლასობრივ და რასობრივ მიკუთვნილებას, სტატუსსა და ცხოვრების სტილს სხეული განაპირობებს. ჯერ როლი უნდა ნახო - ეს მთავარია. ალბათ, ამით აიხსნება ჩარლზ ბრონსონისთანა საშუალოდ ნიჭიერი მსახიობების წარმატება. როდესაც საქმე გადაწყვეტილებამდე მიდის, ვის როგორი როლი შეესაბამება, ეს კლიშეები ყოველთვის მოქმედებს. ყოველ საზოგადოებას მეტ-ნაკლებად მკაფიოდ წარმოუდგენია, ვინ არის ლამაზი და ვინ – მახინჯი, და სილვესტერ სტალონეს, მის მიმართ დიდი სიმპათიის მიუხედავად, ამერიკელი მაყურებელი აშშ-ს პრეზიდენტის როლს ნამდვილად არ მიანდობდა. ისევე, როგორც სექს-სიმბოლო მერლინ მონროს – თავდადებული დედის როლს.

ძალაუნებურად იბადება კითხვა: რატომაა კინოსთვის სხეული ასეთი მნიშვნელოვანი? პასუხი ძალიან მარტივია: კინო, მოძრავი სურათების სამყარო, თითქმის ყოველთვის ადამიანების ამბებს ჰყვება, და ადამიანების საჩვენებლად მათი სხეულების ჩვენებაა საჭირო. ამიტომაა, რომ ეკრანზე ისინი – სხეულები – მაყურებლის სრულ განკარგულებაში იმყოფება. ვარსკვლავებს ტყუილად როდი ჰქვიათ ვარსკვლავები: ვარსკვლავები ხომ ზეციური სხეულებია, და თუკი ვარსკვლავს ზეციური სხეული აქვს – მთლად უკეთესი. კინოვარსკვლავები თითქოს ახლობლები არიან და ამავე დროს ისეთივე მიუწვდომლები, როგორც ზეციური ვარსკვლავები, და ამიტომ მარად სასურველები, როგორიც ოთხმოციან წლებში ჯემი ლი კერტისი იყო ფილმში "სხეული".

ფილმმა Freaky Friday ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე დიდი ინტერესი გამოიწვია. ამას ის კერტისის სხეულის მიერ "სხეულში" შექმნილ იმიჯსაც უმადლის. და თუმცა, ამ ფილმში ვარსკვლავი თინეიჯერული მოეხერხებლობით ისწორებს ხოლმე ჩაჩაჩულ შარვალს, ის ამ დროს უკანალსაც აჩენს (თან ისეთს ნამდვილად არა, ქალთა ჟურნალები, "პრობლემურ ზონას" რომ უწოდებენ), და ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ 40 წლის თინეიჯერისთვის თვალის მოწყვეტა მაყურებელს ძალიან გაუძნელდება.

ძალიან გაბედული ქალი გამოდგა ჯემი ლი კერტისი. "ოსკარი" თუნდაც მამაცობისთვის ეკუთვნის.

ლინსეი ლოენი

ჯემი ლი კერტისი

სკანვორდი



რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** დათვების ქალაქის ზღაპრები **10.20** სპეცრაზმი **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "ველური სამყაროს ამბები" **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "განდგომილი" **19.00** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.35** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი "მაქსი" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** ფსიქო. მხ.ფ. "ალონზოფან" რ-ში: ძმები ტავიანები **02.20** მხ.ფილმი "პოლიციელი". მთ. რ-ში: ჯეიმს ვუდსი, ლესლი ენ უორენი.

პირველი არხი

08.00, 15.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ზეცის დესპანი" **09.45** კრიმინალური ქრონიკა **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სიტყვებში **12.05** გლობუსი **12.35** პოზიცია **13.25** კვალი **13.55** დოკ. სერიალი "ბუნებაში სტეფან პეირონთან ერთად" **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** მხ. ფილმი "იდიოტების აღლუმი" **16.55** მულტსერიალი "კიტუ" **17.10** საწინდარი **17.40** ტელეზღაპარი **18.00** "ვესტნიკი" **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.00, 00.00** მოამბე **20.35** ცაიტნოტი **21.45** პრესეკრანი **22.15** ფორტუნა **22.50** პროფათეული **23.25** ამბობენ **00.15** სერიალი "ფორსაიტების საგა" 1-2ს. **01.30** ღამის ჯაზი

პირველი სტერეო

09.00 მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი "საკალთბურთო ციებ-ცხელება" მთ. რ-ში დემონ ვაიანსი, დენიელ სტერნი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი ქადრი **00.00** "ბრავო" "სიესტა" მთ. რ-ში ელენ ბარკინი, გაბრიელ ბირნი. **01.50** "ღამურა" "ყორანი-3" მთ. რ-ში კირსტენ დანსტი, ერიკ მაბიუსი. **03.45** პაუზის გარემე

მზე

09.00 მულტფილმი "სათამაშოების ისტორია" **10.35** საბ. სერიალი "ჯეკი და ლობიოს ხე" **11.30** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** დეტექტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი "შტრაუსების დინასტია" **19.00** ფეხბურთი. პრემიერლიგა. **20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.20** მხ. ფილმი "სამყაროს შექმნა" **23.10** მხ. ფილმი "განსაკუთრებით მძიმე დანამაული"

მეორე არხი

19.00 მულტფილმი **19.30** ორატორი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** მიზანი **21.00** შემეც. პროგრამა - კაშალოტების გზა **21.30** წარსულის ტერიტორია **22.00** მხ. ფილმი "შემპყრობი"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "რონინი" **14.00** მხ. ფილმი "სამი სურვილი" **16.00** მხ.ფილმი "მოჩვენება" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი "გადამზიდავი" **22.30** მხ. ფილმი "გაქრობა" **00.20** მხ. ფილმი "ფიორინა"

იბერია

08.00 ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "ექსტრაორდინარული ისტორიები" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი "ინდიელი ქალაქში" **02.30** მუსიკა

მესხრე არხი

08.20 მხ. ფილმი "გუშინდელი ქუჩები" **10.00** მულტფილმი "ტომი და ჯერი" **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "ბიჭი თეთრი მდინარიდან" **13.15, 16.20, 17.50, 22.00** მუსიკა **13.30** დოკ. ფილმი "ფურცლები საბ. შაქ. ისტ." **14.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ყვითელი კვადრატი" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ღამის ექიმები" **16.35** დოკ. სერიალი "უჩვეულო კოლექცია" **17.00** სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი "ფაქტზე დაჭერა" **21.15** სერიალი "საფრთხის ზღვარს მიღმა" მე-4ს. **22.20** "ტელემეტრი" **22.30** "ოლიმპი" **22.50** მოკლ.მხ.ფილმი "შეხება" **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "ფრანგი მეკობრის ყურე"

იმედი

09.00 ქრონიკა **09.15, 20.50, 01.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.20** ანიმაციური სერიალი "ჯუნგლების მეფე" 1-ლი ნ. **10.45** მხ. ფილმი "ღმერთის საჭურველი-2" **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.20** ქრონიკა **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.40** დროებითი ზღვარი **15.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია: იუტა - გოლდენ სტეიტი **17.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს იდუმალი ადგილები" **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.20** მხ. ფილმი "დედაჩემი, მამაჩემი, ჩემი ძმები და დები" **21.05** ქართ. სერიალი "ყავა და ლუდი" **22.45** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** კომედია "102 დალმატინელი" **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.20** კომედია "გზაჯვარედინები" **13.50, 23.40** მუსიკა **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** ვესტერნი "მხედარი გვიახლოვდება" **16.20** მულტსერიალი **17.00** თრილერი "მეწამული მოქცევა" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.10** კომედია "გაანალიზე ეს" **21.50** "ბუხარი" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.10** Слово **00.40**"ქართული კინო" **02.10** დოკუმენტური ფილმი **03.40** მელოდრამა "ჰოლივუდის პრინცესა: ოდრი ჰეპბერნის ისტორია"

VII არხი

18.10 მობილურები **18.30** მელოდია **19.00** "აჩიკუდა **19.20** "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.05** "ნა-ნა-ნა"-კარაოკე **21.10** მელოდია **21.20** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.10** მელოდია **22.15** კომპიუტერული ტექნიკა **22.25** "კინოკლუბი " - "ძაღლი"

ОРТ

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости. **07.10 Детектив "БУДНИ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА" 09.00** Сериал "Твинисы" **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** "Смак" с Андреем Макаревичем. **11.30** "Возвращение домой. И. Николаев. жно-Сахалинск" **12.15** Тайны века. "Золото батьки Махно" **13.10 Комедия "КТО ПОДСТАВИЛ КРОЛИКА РОДЖЕРА" 15.15** Дисней-клуб: "Геркулес". **15.40** Умницы и умники. **16.30 Комедия "ВЕРНЫЕ ДРУЗЬЯ" 18.30** Криминальная Россия. "Нелюди". 1-я ч. **19.10** Экстремальном шоу "Трюкачи" **19.50** "Смешние люди". Юмор. программа. **21.00** "Кто хочет стать миллионером? **22.00** Время **22.30** "Последний герой" **23.30** "Золотой Граммофон" **00.30** Фильм "Экстремалы" **02.20** Европейский хоккейный тур. Сб. России - сб. Швеции.

РТР

06.50 Худ. фильм "ДОМ, В КОТОРОМ Я ЖИВУ" 08.25 Сериал "АКАДЕМИЯ КОЛДОВСТВА" 08.45 Золотой ключ **09.05** Русское лото **09.35** Мультфильм "Бобик в гостях у Барбоса" **09.50** Большая перемена **10.15** "ХА". Маленькие комедии **10.30** Результаты голосования "Народный артист - Ваш выбор!" **10.45** Утренняя почта **11.20** "Не скучАЙ!" **12.20** Сам себе режиссер **13.15** В поисках приключений **14.15** Клуб сенаторов **15.00, 21.00** Вести **15.20 Детектив "ПЕТРОВКА, 38" 17.10** Аншлаг на Алтае **20.25** Гала-концерт **23.55 Комедия "БЛЕФ" 01.50 Худ. фильм "НЕЖНЫЙ ВОЗРАСТ" 04.20** Горячая десятка **05.15 Сериал "КЛОУН"**

НТВ

07.50 Худ. фильм "ВАСИЛИСА ПРЕКРАСНАЯ" 09.00, 13.00, 17.00 Сегодня **09.20** "Улица Сезам" **09.45** "Та-рарам!" **09.55** "Без рецепта". Доктор Бранд **10.30** Обозреватель **11.00** Кулинарный поединок: Ларин против Абдуловой **11.55** Квартирный вопрос **12.55** Спорт "Лотто 6 из 49" **13.15** "Дикий мир". Экспедиция Т. Баженова **14.00 Комедия "НЕ ВАЛЯЙ ДУРАКА" 16.05** Своя игра **17.15** "Женский взгляд". М. Боярский. **18.00 Сериал "КОЛЛЕКЦИЯ ДАНИЭЛЫ СТИЛ" 19.05** "Новейшая история. Временное правительство. Иллюзия власти". **20.00** "Личный вклад" **21.00 Комедия "БЛОНДИНКА В ЗАКОНЕ" 22.15** "Обыкновенный концерт" **00.25 Детектив "ЩЕПКА" 02.50** Ночные музы **03.20** "Стиль от..." Ренаты Литвиновой **03.30** Просто цирк **04.00** Про дизайн

მონაკოს პრინცესა გერმანიის წინააღმდეგ

თავის უფლებების დასაცავად სტრასბურგის სასამართლოს თავად მონაკოს პრინცესამ, კაროლინამ მიმართა. ის განაწყენებულია, რომ მის პირად ცხოვრებაში ვიღაც-ვიღაცეები უხეშად ერევიან. ძირითადად, ეს საჩივარი გერმანიის წინააღმდეგაა მიმართული.

გვირგვინოსანის ადვოკატის, მათიას პრინცის აზრით, კაროლინა მართლაც დატანჯული ჰყავთ. 30 წლის განმავლობაში მან სახლიდან გასვლა ვერ მოახერხა ისე, რომ პაპარაცები არ დადევნებოდნენ. "ეს მიზანმიმართულ წამებას ჰგავს", განაცხადა იურისტმა, "ბოლოს და ბოლოს, ადამიანის უფლებები პრინცესაზეც უნდა ვრცელდებოდეს".

პრინცესას განსაკუთრებულ გულისწყრომას გერმანიის მედიების ასეთი "უმსგავსო" ფოტოების მიმართ დამოკიდებულება იწვევს. ადვოკატმა ამასთან დაკავშირებით პრინცესა დაიანაც გაიხსენა და თქვა, რომ ერთ გვირგვინოსანზე ნადირობის ტრაგიკული დასასრული, ალბათ, სავსებით საკმარისი უნდა იყოს. "პრინცესა კაროლინას არავითარი ოფიციალური ფუნქცია არ აკისრია. ის, უბრალოდ, მამამისის შვილია. მისი პირადი ცხოვრება საზოგადო საკუთრებას არ წარმოადგენს".

ნივთმტკიცების სახით, ადვოკატმა გერმანულ გამომცემლობა "ბურდას" კუთვნილ ჟურნალ "ბუნთეში" გამოქვეყნებული, დაუკითხავად გადაღებული ფოტოსურათები წარადგინა. მათზე პრინცესა ვარჯიშის დროსაა გამოსახული.

გამომცემლობა "ბურდას" წარმომადგენელმა, რობერტ შვაიცერმა პასუხად განაცხადა, რომ ის თავის გამომცემლობის კი არა, "მილიონობით მკითხველის" ინტერესების დაცვას აპირებს: "მათთვის კაროლინა ხატია. და საერთოდ, ეს სარჩელი ცენზურას ჩამოჰგავს, რაც მონაკოს არ ეკადრება".

თავად პრინცესა საქმის მოსმენაზე არ მისულა. როგორც ჩანს, ძალიან აღიზიანებენ პაპარაცები.

მონადირე ძაღლმა პატრონს ესროლა

ფრანგი მონადირე საკუთარი უდარდელობის მსხვერპლი გახდა. ნადირობის შემდეგ, იარაღის გადატენვით მან თავი არ შეიწუხა და შედეგად საკუთარი ძაღლის გასროლამ იმსხვერპლა.

როგორც ირკვევა, მონადირემ იარაღი ჩადო ჯიპის საბარგულში და შემდეგ იქვე ორი ძაღლი ჩასვა. ერთერთი მათგანი შემთხვევით ჩახმახს გამოედო, იარაღმა მაშინ გაისროლა, როდესაც მანქანა ტრასაზე მიდიოდა. საბედნიეროდ, ავარია არ მომხდარა.

თეძოში დაჭრილი ფერმერი ქალაქ ბაიონის უახლოეს საავადმყოფოში მოათავსეს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი უჩვეულო ინციდენტები, დრო და დრო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ხდება. მაგალითად, 2003 წლის იანვარში, გერმანიაში ძაღლმა პატრონი მარცხენა დუნდულაში დაჭრა.

როდესაც მონადირე და მისი მეგობრები ნადირობიდან ბრუნდებოდნენ, გზად შეისვენეს და იარაღები სკამზე დააწყვეს. ამ დროს ძაღლი სკამზე ახტა და ერთ-ერთმა იარაღმაც გაისროლა.

გაცილებით ნაკლებად გაუმართლა ფერმერს პამანიდან – მას საკუთარმა ღორმა ესროლა. 46 წლის დევიდ მონტანო დუარტე გარდაიცვალა საკუთარ ფერმაში, მას შემდეგ, რაც ღორი მის იარაღს წამოედო.

ფერმერი ნადირობიდან დაბრუნდა და სადილობა გადაწყვიტა. იარაღი მან იატაკზე დადო პირით სასადილო მაგიდისკენ. ამ დროს ოთახში მისი ღორი დარბოდა. იგი იარაღს წამოედო, გაისმა გასროლის ხმა და ფერმერი ძირს მკვდარი დაეცა. ტყვია მას პირდაპირ თავში მოხვდა.

გვირგვინოსანი მომავალი დედები

როგორც გაირკვა, ევროპის ორი ქვეყნის – ნორვეგიისა და ნიდერლანდების მეფეების ასულები, მეტე-მარიტი და მაქსიმა, ძალიან ხშირად ურეკავენ ერთმანეთს და თავიანთი ორსულობის შესახებ საუბრობენ.

აქამდე ისინი ერთმანეთს მხოლოდ ოფიციალურ მიღებებზე ხვდებოდნენ ხოლმე, ურთიერთსიმპათია სულ ცოტა ხნის წინათ გაუღვივდათ. ამიტომაც იყო, რომ მაქსიმას ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ გაგონებისთანავე ნორვეგიის მეფის ასული ტელეფონს მივარდნია და დაურეკავს.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საოცრად საინტერესო ამბავი საზოგადოებას პრინცესას მოსამსახურემ ამცნო: "ქალებმა დიდხანს ისაუბრეს," თქვა მან. თურმე, ნიდერლანდების პრინცესას ორსულობა გართულებია და მკაცრი წოლითი რეჟიმის დაცვა უწევს.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.